

წიგნების სასაქონლო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАՐՏՎԵԼՈ

1 მარტი 2024წ. №3 (4081) გამომცემის 93-ე წელი ფასი ფასი 2 ლარი



ლათო მელარიძე

სწავლობის

სად იყო ვერ მაშინ ბომბი და რუინი...
ან ვრცელი რუსეთი,
ანდა უკრაინა,
ლმერთს როცა აცნობა დემონმა რაციით,
კაენის პირველი სპეცოპერაცია.
გაისმა თუ არა ღიღინი მეგუთნის
და იცნო მარჯვენამ გუთანში ცაცია,
ხმამალა ვაცხადებ,
რომ კაენს ეკუთვნის
ამქვეყნად პირველი სპეცოპერაცია.
მერე კი ფირენცე...
Palazzo Medici...
ევანგელს +- ათენის რაციო...
და სხვენში დემონის ძიების ფეტიში
და ინკვიზიციის სპეცოპერაცია.

მაშინ ვერ გაგზავნა მისია ეუთომ,
თარიღებს შორის ხომ მრავალი მილია...
და ინკვიზიტორმა კოცონებს შეუწოთო
იისფრად ჩამქრალი,
ფერმკრთალი ლილია.
ჩაინვა კოცონში ფირენცეს სიმბოლო
და აღარ დატოვა საფიქრალ-სამსჯელო,
პიატას ფერფლი რომ გახვეტეს დღის ბოლოს,
მინას გამოსტაცა
ცა მიქელანჯელომ.
... მაღლიან ფრაზაში სიტყვას ვინ გათოკავს,-
ვის ხელში გაცვდება ახლიდან კალამი...
ვინ გააფარჩაკებს კაენის ადვოკატს:
- სალამი!
- სალამი!
და კიდევ:
- სალამი!

▶▶ დასასრული 89-2 გვ.

ელიზაბეთ სკოტ ტერვო

ქართველმა მკითხველმა კარგა ხანია იცის, რომ უცხოელ მეგობართა შორის გვყავს ამერიკელი პოეტი ქალი, რომელიც გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს, სრულიად ახალგაზრდა ჩამოვიდა საქართველოში, როგორც გაცვლითი პროგრამის სტუდენტი, და იმთავითვე ჩვენს კულტურულ ცხოვრებასა და ეროვნულ მოძრაობაში ჩაერთო. ოფიციალურად მისი სახელია ელიზაბეთ სკოტ ტერვო, მაგრამ მეგობრები ასე მოვიხსენიებთ – „ჩვენი ლიზი“.

ქართველ მკითხველს უთუოდ ახსოვს მისი წარმატებული ავტობიოგრაფიული წიგნიც საკუთარი ქართული გამოცდილების შესახებ: „მზე აღარ მზეობს უშენოდ“ („აზრი“, 2021).

ლიზი ბოსტონელია. ცხოვრობს „პაციფიკ ნორსვესტში“, მისი მეუღლე – მაიკლ ტერვო წმინდა სოფიას ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის მამაა.

ამ ახალ წიგნში, სათაურით „ევა დროის მანქანაში“ შესულია ლექსები, რომლის თემატური ღერძიც ადამისა და ევას ბიბლიური ამბიდან დაწყებული, დროის მანქანით ეპოქებში მოგზაურობაა.



ნიმო დარბაისელი-სტრონი

ზამთრის ჯესი

წუხელ სიზმრად ვიხილე კაცი, ადრე ნაცნობი,
მიდიოდა მარტოკა იგი ზამთრის ქალაქში,
წიგნი გამომიწოდა რაღაც, მომცრო ზომისა
დააყოლა, „რაკილა თავს მწერალად იხსენიებ, ვნახით
შენი კრიტიკა“

გადავშალე. ეს იყო რაღაც მოგზაურობა,
როგორც ბროდსკის „წყალმზომი“ გვიხსობს ვენეციაზე
და კითხვისას ვიგრძენი, თოვლის ფანტელეზებით ზამთრის ქალაქს თანდათან როგორ ვეფინებოდი.

ენახე ყინვის დადგომის მე სეზონი,
ვიხილე, ნადნობ ყინულს ახალი ფენა რომ ედებოდა,
მივყვებოდი ბნელ ქუჩებს,
მივდიოდი სახლებთან, სადაც სტუმრად ვყოფილვარ და
ვხედავდი მათ, ვისაც იქ მე ადრე ვიცნობდი,
ჩაუფრინე მეტროსაც,
სადაც ესკალატორი ისეთი დამრეცია,
ჩაგაქანებს პირდაპირ ჯოჯოხეთის კარამდე.

მე დავხურე წიგნი და გავუნოდე სიტყვებით:
„წიგნში ხასიათების არ გვაქვს განვითარება“.

მართლაც,
ზამთრის ქალაქში
ვერაფერი იზრდება, არც ხეები ხარობენ, არც ყვავი-
ლნი, არც ხალხი.

THE CITY OF WINTER

I met a man I used to know in a dream last night:
he was on his way home to the City of Winter.
He handed me a little book and he said
„Now that you call yourself a writer
let’s hear your critique.“

I opened it. It was an exploration of setting,
like Brodsky’s Watermark about Venice,
and as I read it I descended like snow
into the City of Winter.

I saw the season of ice arrive
and I saw its thaw and re-freeze.
I walked those streets in the darkness
to the flats I used to visit
and the people I used to know.
I flew through the Metro
where those escalators are so steep
they carry you straight down to Hell.
I closed the book and I handed it back.
„There’s no character development,“ I said.

It’s true.
In the City of Winter
nothing can grow: not trees, not flowers, not people.

▶▶ დასასრული 89-10 გვ.

<p>„დავანებოთ პოლიტიკას თავი“</p>  <p>ინტ. დამანა მელიქიძის მითა</p> <p>83. 3</p>	<p>ნიღბებით და უნიღბოდ</p>  <p>ირაკლი სამსონაძის რომანი</p> <p>83. 4</p>	<p>გაზაფხული!</p>  <p>ლალი დავაშვილი</p> <p>83. 7</p>	<p>ნარმატაგული რთველი</p>  <p>ინა ჩანტელაშვილის საიუბილეო</p> <p>83. 12</p>	<p>ორი ნოველა</p>  <p>ტონიო გვირა</p> <p>83. 15</p>
--	---	---	--	--

პირველი გვარდიანები

მსურს, რომ სასწაული ჩემს მსმენელს ვახარო, – ამურის ბადეში თუ როგორ გავეცი და როგორ ანათებს დანარჩენ სამყაროს ჩავლილი რომანის პირველი თავები. ფეხშველი პოეტის არ სჯერა ნაყოფის, სტვენით რომ სტრიქონის თოკზე გასული... ის, რომ ტრადიცია მარადი ანწყობა, რომელიც არასდროს არ ხდება წარსული. რაც იყო... არ იყო... დამნაშავე უკლებლივ, დანოსის ანონსით ლიბერას ნათურამ, ახლა გამოხატვის დაარქვეს უფლება, ნახალკით ბოზობა რომ ერქვა ქართულად

ეს განცდა, რომელიც დიდიდან მეურთი – ერთება, ვცდილობ, რომ გავერკვე რა არი... რა სურს საუკუნეს, დღეს, ოცდამეერთეს, რითი სურს აავსოს ბარძიმი გრაალის?... – წინაპარს უარი! – მომავალს უარი! ბრენდული თუ არი... ტრენდული თუ არი... არ ისმის არია: – are you sure? – ის,

ნაპირებს ვერ წვდება მზის აქსესუარი. გითმობენ ტრიბუნას კაციან – ქალიან... პულეს თუ უარყოფ სტიკერით მესისისტი და ვფიქრობ წუხილით, რომ აღარ სცალია, მეორად ეპოქას პირველად ლექსისთვის.

და იყო პირველად არა თუ ფეიკი, არამედ სიტყვა და სიტყვაში მაგნიტი, ახლა კი გინდება, ხანდახან შეიგი-ნო ტელეეკრანთან: – უხხხ, ამის თაღლითი!!! არა თუ თაღლითი, მონაზონს ფატაში მორთავს ბუნუელი, – ცხადი რომ არა სწამს... და ზერეალიზმის განთქმული ატაშე დემონზე ათხოვებს იესოს პატარძალს. თუ ზეცამ წყალობა მოილო სიურპრიზის, თუ შეუძლებელი, მოხდა და შევძელი, და როგორც ფინალურ კადრშია კუბრიკის, ლექსში სარაბანდა გაისმა ჰენდელის...

უცრად... როდესაც ლექსს ვწერდი, ენლომ არია შრიფტი და მომტაცა რაციო... და მიხდა, რომ ხილვა გაგანდო მსმენელო, – ხმა მეცნო შორიდან: – წადი, ჰორაციო!

რაც მოხდა, უამბე ხალხს ჩემი ამბავი, – თუ პრინციპი დანის რა ტვირთი ატარა... არ დარჩეს ამბავი რომ დაუსტამბავი, იცოდეს დიდა და იცოდეს პატარამ!.. და... ნახვალ ვიდრემდის, მომეცი პირობა, რომ იტყვი საჯაროდ, სიმართლე რაცაა: – ვინ განაპირობა... – რამ განაპირობა... ეს ჟურნალისტიკური სპეცოპერაცია.

P.S. მილანი... დუომო... და დილა მზიანი... ფინჯანი ყავა და შაქარის ნატეხი. და ვფიქრობ, სინდისი სად დავაზიანე, ვიხსენებ ცხოვრების თვითეულ ქარტეხილს. მიაქვს სინანული ადრიან ნაფასებს, – ერთ ნამში კვდება და ცოცხლდება პოეტი... წამის უკვდავებას რადგანაც ვაფასებ, სიტყვა რონდანიის შევახე პიეტას: – მომესმა... თუ ქვაში გაისმის არია... – უარი ლოფს! და შევბედავ იარუსს, ჯვარცმული შვილი რომ უჭირავს მარიაშს და... თითქოს თავიდან ასწავლის სიარულს.



მიხეილ ქარდიანის 70 წლის იუბილე

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ორგანიზებით 24 იანვარს, საქართველოს მწერალთა სასახლეში სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის (2003-2010წწ.), ენათმეცნიერის, ლიტერატურათმცოდნის, კავკასიოლოგისა და პოეტის, პროფესორ მიხეილ ქარდიანის დაბადებიდან 70 წლისთავსადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა.

საღამო გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა, მწერალმა დავით შემოქმედელმა. საღამოს წამყვანი: რუსთაველის საზოგადოების ენობრივი კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული.

მიესალმნენ: ქუთათელი-გაენათელი ეპისკოპოსი, მიტროპოლიტი იოანე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძე.

მოსხენებით გამოვიდნენ: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ლევან ბრეგაძე, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული, პოეტი, მთარგმნელი ნინო ქუთათელაძე, პროფესორი ეკა ვარდოშვილი, პოეტი ერეკლე საღლიანი.

სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ლევან ლეინჯილია, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი, პროფესორი იულია გავოშიძე, დ. ნაზარაშვილის კლინიკის დირექტორი, ქუთაისის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, პოეტი მერაბ კვიციანიძე, პროფესორი მირონ ფირცხელანი, პროფესორი მარინა ჯიქია, პოლიტიკოსი თემურ შაშიაშვილი, გენერალ-მაიორი ნუგზარ ბაბუციძე.

საღამოზე აჩვენეს ვიდეოკადრები მიხეილ ქარდიანის ცხოვრებიდან.

ლონისძიების ბოლოს სამადლობლო სიტყვებით გამოვიდნენ: მეუღლე სოფო ლობჯანიძე და შვილი ლევანი.

ამავე დღეს საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ „ქართული კულტურის მოამბის“ წოდება მიანიჭა საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარეს, აკადემიკოს თამაზ შილაკაძესა და სანდრო ახმეტელის თეატრის დირექტორს, მსახიობ გია ჯაფარიძეს. რუსთაველის საზოგადოების საპატიო სიგელით ბორჯომის რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე მაკა ბლიაძე დაჯილდოვდა.

რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაურგრძობს მწერალ თამაზ ხმალაძეს მეუღლის, ლალი ჩიკვაძის გარდაცვალების გამო.

ღვანულადი ისტორიკოსის გახსენება

აკაკი სურგულაძე - 110

2023 წლის 26 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ აკაკი სურგულაძის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა გაიმართა.

ლონისძიება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სა-

ქართველოს საისტორიო საზოგადოების ორგანიზებით ჩატარდა.

ამ თარიღთან დაკავშირებით უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში მოეწყო მეცნიერისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო მისი ნიგნები, საარქივო დოკუმენტები და ფოტოები.

საიუბილეო სხდომა გახსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ. მან აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოამზადებს და გამოსცემს პროფესორ აკაკი სურგულაძის შრომების მრავალტომეულს. ასევე დაამსწერ საზოგადოებას ამცნო, რომ შესაბამისი კომისიის წინაშე იგი შევა ინიციატივით, რათა უნივერსიტეტის პირ-

ველ კორპუსში ერთ-ერთ აუდიტორიას მიენიჭოს აკაკი სურგულაძის სახელი.

სხდომაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა.

შემდეგ სხდომაზე მოხსენებებითა და მოგონებებით გამოვიდნენ პროფესორები: ოთარ ჯანელიძე, დიმიტრი შველიძე, ოთარ ჟორდანიანი, ნინო ჩიქოვანი, ნათელა ვაჩნაძე, დავით დარჩიაშვილი, აკადემიკოსი ომარ გოგიაშვილი, აკაკი სურგულაძის შვილი, ისტორიის აკადემიური დოქტორი პაატა სურგულაძე.

სხდომაზე გაფორმდა ხელშეკრულება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აკაკი სურგულაძის ოჯახს შორის



განსვენებული მეცნიერის ბიბლიოთეკისა და არქივის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის გადაცემის თაობაზე. შესაბამის ხელშეკრულებას ხელი ჯაბა სამუშიამ და პაატა სურგულაძემ მოაწერეს. სხდომის მიმდინარეობისას აჩვენეს დოკუმენტური ფილმი აკაკი სურგულაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მხატვარი „ვეფხისტყაოსნისთვის“



მიმდინარე წლის 31 იანვარს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთაველოლოგიის კვლევით ცენტრში გაიმართა სემინარი.

მოსხენება „ვეფხისტყაოსნის გზა“ ნაიკითხა მონვეულმა სტუმარმა, მხატვარმა დავით მაჭავარიანმა.

სემინარი გახსნა რუსთაველოლოგიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა ივანე ამირხანაშვილმა.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა და მხატვრის თანამშრომლობაზე რუსთაველოლოგიის კვლევით ცენტრთან ისაუბრა ამავე ცენტრის მეცნიერ თანამშრომელმა ლია კარიჭაშვილმა.

მომხსენებელმა საკმაოდ მდიდარი და შთაბეჭქდავი ვიზუალური მასალის თანხლებით წარმოაჩინა საკუთარი შემოქმედებითი მიმართება „ვეფხისტყაოსანთან“, რომლის თემატიკით დაინტერესება დაინყო ჯერ კიდევ 2008 წელს. 2011 წელს დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი

გამოცემა, რომელიც გაფორმდა მის მიერ შესრულებული ილუსტრაციებით. 31 ილუსტრაცია ტრადიციული, კლასიკური სტილით არის აღბეჭდილი. ამას მოჰყვა გრაფიკული რომანი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც 2019 წელს გამოსცა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ. როგორც მხატვარმა აღნიშნა, ეს იყო ოთხწლიანი ინტენსიური ძიებებისა და შრომის შედეგი.

მხატვარმა ვრცლად ისაუბრა იმ დიდ ინტერესზე, რომელიც გამოიწვია გრაფიკულმა რომანმა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის სხვადასხვა ქალაქში გამართულ პრეზენტაციაზე.

დავით მაჭავარიანის შემოქმედებითი ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ კვლავაც გრძელდება. იგი ახალი ჩანაფიქრების განხორციელებას ეტაბზეა.

მოსხენების შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ რუსთაველოლოგიის კვლევითი ცენტრის თანამშრომლები: მაკა ელბაქიძე, ნანა გონჯილაშვილი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის თანამშრომელი ნათია ნაფეტვარიძე, მწერლები როსტომ ჩხეიძე და ბესო ხვედელიძე, ფილოლოგიის დოქტორი ჯულია გაბოძე.

სემინარმა უაღრესად საინტერესო და სასაიმოვნო ვითარებაში ჩაიარა. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი წარმატებულს უსურვებს მხატვარ დავით მაჭავარიანს, რომელიც თავისი შემოქმედებით „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციას ემსახურება.

„მუზა“ - 2023

ლიტერატურულ კონკურს „მუზას“ 2023 წლის გამარჯვებულები:

ლევან ბერიძე – წლის საუკეთესო რომანი („როგორც შენ იტყვი“);

კახაბერ მელითაური – წლის საუკეთესო პროზაული კრებული („ოთხი მოთხრობა“);

მანანა ჩიტიშვილი – წლის საუკეთესო პოეტური კრებული („წრეწული“);

კონსტანტინე (კოკო) გამასახურია – წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზა/ესე („სამ-შობლოსა და ერი-სახელმწიფოსთვის – ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფიული პორტრეტი“);

ლუკა ყაულაშვილი – წლის საუკეთესო დებიუტი („შენთვის და შენზე“);

კონსტანტინე ქანკოტაძე – წლის საუკეთესო დებიუტი („ლოზიური რეალობა“);

ირმა შილაშვილი – წლის საუკეთესო თარგმანი (რაინერ მარია რილკე, „საღამო არის ჩემი ნიგნი“);

რუსუდან ღვინევაძე – წლის საუკეთესო თარგმანი (ფრანც კაფკა, „დღიურები“);

თამარ გელეტაშვილი – წლის საუკეთესო კრიტიკა („მხატვრული ქმნილების პირისპირ“);

კობა ცხაკაია – წლის საუკეთესო პიესა/ინსცენირება („სამი პიესა სხვადასხვა ამბავზე“);

თემურ ჩალაბაშვილი – ლიტერატურაში შეტანილი წვლილისთვის.

გამარჯვებულებს გადაეცათ მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის „მუზის“ მიხედვით შექმნილი პრიზი და ჯილდო თითოეულს 5 ათასი ლარი.

დავანა გელიქიშვილი: „დავანაგოთ პოლიტიკას თავე და სიყვარულით ვიხსოვროთ“



დამანა გელიქიშვილი. დაიბადა 1939 წლის 14 ივნისს მცხეთაში. ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო შრომა, მათ შორის: „იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი“ (1975), „ქართული ზმნის უღლების სისტემა“ (2001); „The Georgian verb: A morphosyntactic analysis“ (2008). მიღებული აქვს: „VTB bank jorjias“ პრემია „პარნასი“ (2007), შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია (2008). 2018 წელს – ღირსების ორდენი, 2000 წელს – დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია (გელათის მეცნიერებათა აკადემია), 2008 წელს „რუსთაველის ფონდის“ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაენიშნა შოთა რუსთაველის სტიპენდია. 2009 წელს მიენიჭა დამსახურებული პროფესორის წოდება.

– ქალბატონო დამანა, როგორი იყო თქვენი ბავშვობა?

– ძალიან ლალი და მდიდარი ბავშვობა მქონდა. დავიბადე მცხეთაში, მამაჩემი იყო მცხეთის აღმასკომის თავმჯდომარე, ნიკო მელიქიშვილი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი პატიოსანებით, ნარსულით... ექვსი წლის ვიყავი, როცა იგი მცხეთიდან თბილისში გადმოვიყვანეს, მცხეთელები გამოეტირნენ... დედა კი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის შვილი გახლდათ, ცნობილი ბაბო მჭედლიძისა, რომელიც განთქმული იყო თავისი ცოდნით, სიმკაცრით. სხვათა შორის, იგი ასწავლიდა ბერძნულს და შემდეგ შილს. ჩემი ბავშვობა ძალიან კარგი და მდიდარი იყო ყველანაირად...

– სტუდენტობის წლები ყველა ადამიანისთვის მნიშვნელოვანია, მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს ჩვენს მომავალს. „ჩემი გზის გამკვლავი ვარლამ თოფურია იყო“, – ამბობთ ერთ-ერთ ინტერვიუში, გვიამბებთ თქვენი მასთან ურთიერთობის შესახებ.

– ცოტა გათამამებული ვიყავი, რადგან ოქროს მედალოსანი გახლდით (იციან). სტუდენტობის წლები ძალიან ბედნიერი იყო... ბატონი ვარლამი არაჩვეულებრივი პიროვნება გახლდათ, დინჯი, ბუმბერაზი, მყინვარნერივით თეთრი თმებით, მას ზეგს ვეძახდით. გამოცდაზე გასაუბრება გავიარე ბატონ ვარლამთან და ვანო გიგინეიშვილთან. ისიც მასსოფს, თეთრი კაბა მეცვა... ბატონი ვარლამი დაბალ სმაზე ლაპარაკობდა ყოველთვის, დაკვირვებული იყო, მუდამ სათვალთ, კეთილი პიროვნება არაჩვეულებრივად ინტელიგენტი და მასწავლებელი, რაც მთავარია.

– რამ განაპირობა თქვენი, როგორც ენათმეცნიერის ჩამოყალიბება?

– მოკლედ, გამიტაცა ამ ენამ. თავიდან ვითომ გატაცებული ვიყავი ლიტერატურით, დისერტაცია დაცული მაქვს ლიტერატურაში. მაგრამ მერე სხვა რამ აღმოჩნდა. მეცნიერება არის ენათმეცნიერება (იციან) და ამან ძალიან დამინტერესა: ენის კვლევა, სტრუქტურების ძიება და ისე გამიტაცა ქართულმა ზმნამ, რომ, რა გითხრათ, ეს იყო წარმოუდგენელი ფენომენი, ვერ გეტყვით, სინთეზური და ანალიზური გონების შექმნილი ფენომენი,

არ არსებობს ასეთი ზმნა. ფაქტობრივად, ზმნა არის ენა.

– თქვენ ორი შვილი გყავთ, ანა და ლევან ხარანაული. საინტერესოა, როგორ უთავსებდით პროფესიულ საქმიანობასა და შვილების აღზრდას ერთმანეთს, არ იყო ეს რთული? მათ პროფესიულ არჩევანში თქვენი როლი რამდენად დიდია?

– არჩევანში არა, მაგრამ მეცადინეობაში ვერედი. ანას არ სჭირდებოდა ზედამხედველობა, ასე ვთქვათ, ძალიან დაკვირვებული და მონსკრიგებელი იყო, ბავშვობაში აინტერესებდა ლიტერატურა, ტექსტი და ჰქონდა ამის აზროვნება, ანალიზის უნარი. ლევანი განსხვავდებოდა ანასაგან. იგი ხატვაზე დადიოდა და იმით იყო გატაცებული, კარგადაც გამოსდიოდა ყველაფერი. რაც შეეხება ჩემს საქმიანობას, მის შეთავსებას ბავშვების აღზრდასთან, რთული იყო, კი, მაგრამ ვახერხებდი, ზოგჯერ ბესიკს დაჰყავდა ბავშვები და მეხმარებოდა ამით.

– მკაცრი დედა და ბებია ხართ?

– კი, კი. ბებია ისე არა, მაგრამ დედა კი მკაცრი ვიყავი, განსაკუთრებით ლევანთან. ბავშვობაში ერთხელ ვატირე ჩემი სიმკაცრის გამო, გამოცდები კარგად რომ ჩაებარებინა, არ ვიცი, ახლა ისე მანვეს ეს გულზე, როგორც ლოდი, ღმერთო, მეტირება. როგორ ვატირე ბავშვი...

– სტუდენტობა?

– ჯოსს არ ვურტყამდი, რა თქმა უნდა, არა, ვუყვარდი სტუდენტებს, მართალი რომ ითქვას, ნიშანს ყოველთვის ვუმატებდი.

– როგორც ვიცით, თქვენთან ინახება ბებია-ბაბუისაგან ნაბოძები ივირონის ღვთისმშობლის ხატის ასლი, რომელიც თქვენი ბაბუისთვის, მამა სიმონ მჭედლიძისთვის დაინვა ათონზე. მისი ხსენების დღეა 15 თებერვალი, მირქმის დღესასწაულზე. გვიამბეთ მის შესახებ.

– კი, ასეა. იგი იყო სასულიერო მოღვაწე, მოგვხსენებთ, ასწავლიდა ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში, 1902 წლიდან იყო სვირის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი. მისი საქმიანობის სფეროს საგამომცემლო საქმიანობაც წარმოადგენდა, ბაბუა სიმონი იყო რედაქტორ-გამომცემელი ყოველკვირეული გაზეთისა „მინაური საქმეები“, რომელშიც მე-19 და მე-20 საუკუნის ქუთაისის ხელისგულზე... იყო დამაარსებელი და რედაქტორი პოლიტიკური და ლიტერატურული კრებულისა „განთიადი“, მან სტამბაც დააარსა „იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა“, რომლის მიზანი იყო სასულიერო წიგნების გამოცემა, მის მიერ დაარსებული სკოლა სოფელ ლაშქში დღესაც მოქმედებს... მისი ნაშრომია: „სადეთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა“, „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“, ბებელი იყო ცნობილი გერმანელი მარქსისტი და აქ, ფაქტობრივად, დაცინის, ეს რომ ნაიკითხოთ დაინახავთ ბაბუას ენის სტილს, ნამდვილ იმერულ იუმორს... მღვდლებმა აკურთხეს ეკლესია როდინოულში და ტრაპეზის შემდეგ მასპინძლებთან დატოვებ, ღამე კი ნაიყვანეს პერანგის ამარა, ვიღაცამ დაასმინა ისინი... 1924 წელს რეპრესიების დროს დახვრიტეს სულ 5 მღვდელი – სიმონ მჭედლიძე, მიტროპოლიტი ნაზარი და სხვები. სამწუხაროდ, ივირონის ხატი არ მაქვს, ჩემს დეიდაშვილს აქვს, ასლი კი აქ არის.

– 1967 წელს თქვენ დაიცავით საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი“, რომელიც მონაგრავის სახით გამოქვეყნდა 1975 წელს. რატომ დაინტერესდით ამ თემით, თქვენ ხომ ქართული ზმნაც გაინტერესებდათ?

– კი, პეტრიწთან სიახლოვე განაპირობა მზექლა შანიძემ, რომელიც ქართული ენის ისტორიის ლექციებს გვიკითხავდა მესამე კურსზე. როდესაც პეტრიწის პერიოდს მიადგა დაიწყო იოანე პეტრიწის კრიტიკა, რომ ღვთაურული ენა აქვს და გაუგებარია, ზმნებით ღარიბი და მნიშვნელობით მდიდარი და სხვ.

მე კი ამით დაინტერესდი, მზექლა შანიძის დამსახურებით დავინეე ამ თემაზე მუშაობა.

– ქალბატონო დამანა, თქვენ 1995 წლიდან ხართ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული გელათის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ნამდვილი წევრი, არ ფიქრობთ, რომ საერთო გაქვთ XI- XII საუკუნეებთან?

– ჩემი იდეა იყო. კი, როგორ არა, დღესაც იქ ვცხოვრობ, გელათის აკადემიაში... მთელი ისტორიაა გელათის აკადემიის დაარსების ისტორია. ძალიან საინტერესოა და ამის შესახებ მიწერია კიდევ. ვიზუალურად ვხედავ მას, არ ვიცი, ეს რატომ ხდება, სურათებზე ვხედავ ყველაფერს, ხანდახან მანუხებს ეს, იცით, რაზეც ვფიქრობ, სულ ვხედავ.

– არაერთი მონაგრავის ავტორი ბრძანდებით, თქვენი ნაშრომები ევროპასა და ამერიკაში ცნობილი, რაც თქვენ შესახებ უკვე ბევრს ამბობს. ამერიკულმა გამომცემლობამ „Dunwoody Press“-მა „ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი“ გამოაქვეყნა, რა იფიქრეთ საკუთარ თავზე ამ დროს, რას ნიშნავდა ეს თქვენთვის?

– რა უნდა მეფიქრა, არ მქონია სიამაყის გრძობა, არა, სრულიადაც არა, მიკვირს კიდევ. უბრალოდ, მიხაროდა, რომ სტუდენტები იმუშავებდნენ... გამიხარდა უბრალოდ.

– საინტერესოა, არის ისეთი რამ, რის გამოც ნანობთ, ვერ მოასწარიტ და ახლა, უბრალოდ, ამის დრო არაა? საკუთარ თავს ხშირად უპირისპირდებით?

– სინანულის გრძობა არის, სინანული კი არა, ტრაგედია... საკუთარ თავს ხშირად ვუპირისპირდები, კი. აზროვნების პროცესი ეგ არის, რომ ფიქრობ, მერე რომ ნახავ შეცდომას, რომლის გამოსწორებაც გინდა, გაქვს დარდი, ჩქარობ... კი, როგორ არა. საკუთარი თავის მიმართ თუ არ ხარ კრიტიკული, არაფერი არ გამოვა.

– რომელი ქვეყნის ლიტერატურით იყავით გატაცებული?

– ჩვენს ძვირფას ლიტერატურას თავის-თავად ვკითხულობდი, ილია ჭავჭავაძის ენა და წერილები, საუკეთესოა, გალაკტიონი, რა თქმა უნდა, ვაჟა განსაკუთრებით... ფრანგული ლიტერატურა მიყვარდა, ერთი პერიოდი ფრანგულადაც ვკითხულობდი, ამასთან, ვსაზრდობდი ტოლსტოით, ტურგენევით...

– საინტერესოა, გიყვართ პოეზია და ეს თქვენთვის რას წარმოადგენს?

– პოეზია მუსიკაა ჩემთვის. მე მიყვარს მუსიკა და პოეზია ჩემთვის მუსიკაა. ეს ორი ერთია.

– დავისახელეთ ერთი ლექსი და ერთი წიგნი, რომელმაც შეიძლება ადამიანი დააფიქროს გრძობებზე, ურთიერთობებზე და ასწავლოს სიყვარული.

– ასწავლოს?! სიყვარულის სწავლება არ შეიძლება, როგორ შეიძლება ეს. სიყვარული უნდა გქონდეს შინაგანად, ის არაა მატერიალური, სულიერია და ეს ადამიანს დაბადებიდან ეძლევა. რაც შეეხება ლექსს, დავასახელებ, „სულო ბოროტო“, ადამიანურ გრძობებსა და ურთიერთობებს კიდევ გვასწავლის ბიბლია.

– როგორ ფიქრობთ, მიზანი ამართლებს საშუალებებს?

– არა, არა. არავითარ შემთხვევაში, როგორ შეიძლება... მაშინ საშუალებებში ყველაფერი იგულისხმება ხომ?! არაა, არ ამართლებს.

– რა იქნება თქვენი გზავნილი ახალგაზრდებისთვის?

– ახალგაზრდებისთვის?! დავანებოთ პოლიტიკას თავი და სიყვარულით ვიცხოვროთ! სიყვარულია სიცოცხლის აზრი საერთოდ. სიყვარულის გარეშე შეიძლება იყოს რაიმე გაკეთებული?! „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარზე“... სიყვარული სჭირდება სულს იმისათვის, რომ სული იყოს ცოცხალი. **საუბრა ანა გამუკაპვილი**

ენა, ლიბერალიზმი და ხელოვნება – ერთად

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მაცნე“ (ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია) მე-2 ნომერი წარმოგიდგენს შემდეგ მასალებს:
ელიზბარ ჯაველიძე – რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით;
იზა ჩანტლაძე, ჯორჯ ჰოიტი, ნანა ქავთარაძე – ევროპელები სვანეთში;
ვაჟა შენგელია – რამდენიმე ლესიკოლოგიურ-ეტიმოლოგიური ძიება ქართველურ ენებში; მარინე ივანიშვილი, ნანა მირაშვილი – ანტიუნა მიე; წერილები ტიფლისიდან და სომხეთიდან; ავთანდილ არაბული, ვახტანგ გურული – ყაზბეგი და სტეფანნინა (ადგილის სახელთა ცვლილების ისტორიული შინაარსი); ინესა მერაბიშვილი – რატომ უწოდა რუსთაველმა თავის პოემას „ვეფხისტყაოსანი“?
ივანე ამირხანაშვილი – აგიოგრაფიის გმირი და ანტიგმირი;
გიორგი ალიბეგაშვილი – „წმინდა ნინოს ცხოვრების“ რამდენიმე იეროპარადიგმული მოდელები; ნანა მრევლიშვილი – „მუშინის ნამების“ ერთი კონტექსტის დაზუსტებისათვის;
ირაკლი რობაქიძე – ქართველთა „მსოფლსახე“ გრ. რობაქიძის შემოქმედებითი ნააზრდის მიხედვით;
ელდარ ნადირაძე – ლუდის კულტის გენეზისისათვის საქართველოში;
რისმაგ გორდენიანი – „ანტიკური კავკასია“ – სიძველეთმცოდნეობაში. ახალი დარგობრივი ენციკლოპედია ქართულ ენაზე;
აკაკი დაუშვილი – ფორსმანის მორფმდინარე ფუნქცი და რეზო ადამიანს მართალი ნააზრდები; ნინო ჯაველიძე – სერგი ჯიქია – 125;
ნომადი ბართაია – ლუდშილა გონაშვილი – თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ღვაწლმოსილი მკვლევარი;
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – ვინააზრდები ბოლდერის გამოსათხოვარი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მაცნე“ (ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სერია) მე-2 ნომერი წარმოგიდგენს შემდეგ მასალებს:
ელიზბარ ჯაველიძე – რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით;
იზა ჩანტლაძე, ჯორჯ ჰოიტი, ნანა ქავთარაძე – ევროპელები სვანეთში;
ვაჟა შენგელია – რამდენიმე ლესიკოლოგიურ-ეტიმოლოგიური ძიება ქართველურ ენებში; მარინე ივანიშვილი, ნანა მირაშვილი – ანტიუნა მიე; წერილები ტიფლისიდან და სომხეთიდან; ავთანდილ არაბული, ვახტანგ გურული – ყაზბეგი და სტეფანნინა (ადგილის სახელთა ცვლილების ისტორიული შინაარსი); ინესა მერაბიშვილი – რატომ უწოდა რუსთაველმა თავის პოემას „ვეფხისტყაოსანი“?
ივანე ამირხანაშვილი – აგიოგრაფიის გმირი და ანტიგმირი;
გიორგი ალიბეგაშვილი – „წმინდა ნინოს ცხოვრების“ რამდენიმე იეროპარადიგმული მოდელები; ნანა მრევლიშვილი – „მუშინის ნამების“ ერთი კონტექსტის დაზუსტებისათვის;
ირაკლი რობაქიძე – ქართველთა „მსოფლსახე“ გრ. რობაქიძის შემოქმედებითი ნააზრდის მიხედვით;
ელდარ ნადირაძე – ლუდის კულტის გენეზისისათვის საქართველოში;
რისმაგ გორდენიანი – „ანტიკური კავკასია“ – სიძველეთმცოდნეობაში. ახალი დარგობრივი ენციკლოპედია ქართულ ენაზე;
აკაკი დაუშვილი – ფორსმანის მორფმდინარე ფუნქცი და რეზო ადამიანს მართალი ნააზრდები; ნინო ჯაველიძე – სერგი ჯიქია – 125;
ნომადი ბართაია – ლუდშილა გონაშვილი – თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ღვაწლმოსილი მკვლევარი;
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – ვინააზრდები ბოლდერის გამოსათხოვარი.

თემატიკა და ავტორები

ჟურნალ „მაცნის“ 2023 წლის მე-2 ნომერი გურამ ჯავახიშვილის ლექსებით იხსნება. მისივე განცხადებით ურბანულ-პანდემიური სურათების ფონზე ლაიტმოტივით: „ეძინა ქალაქს – რკინის ავაგარდს, არ ყველა ძალი. დუმდა ბაზარი“;

მაია მინდელის ლირიკა სუბიექტურ, პიროვნულ, იმანენტურ საწყისებზე დგას და მთელი პუბლიკაციის კვიტესენციალ მეგვიძია ეს სტრუქტურები წარმოადგენს: „დავიძინო და სხვა სიზმარში გამომეღვიძოს... დავიძინო და ბედნიერს რომ გამომეღვიძოს“.

ალექსანდრე კაკიაშვილის მოთხრობები „მე-საათე“ და „აჩრდილი იორკშირის საგრაფოში“ ორ სხვადასხვა სივრცეს – თბილისსა და ბრიტანეთს – ეხება ერთი განსაზღვრული მოტივით – გახსნას ადამიანური ხასიათები და ურთიერთობები რაციონალურ-ლირიკული იმპულსებით. გურო დავითიძის „კუნტრუშა“ მართლაც კუნტრუშ-კუნტრუშით ანუ სწრაფად იკითხება, ოღონდ სუფიური დრამატული გრადაციებით არის აგებული.

კრიტიკა-ესეისტიკის რუბრიკა ახალგაზრდა პროზაიკოსების შემოქმედების ანალიზს ეთმობა: მაია ჯალაღვილი განიხილავს გიორგი კაჭარავას რომანს „პილატე და კაიაფა“, ხოლო სოფიო წულაია ლევან ბერიძის რომანის, „ფორას“ შესახებ გვიხიარებს შთაბეჭდილებებს.

გურამ მეგვლიძის პიესა „ფერფლისფერი ფანტელის უდაბნო“ ორი ადამიანის, ქალისა და მამაკაცის, ურთიერთობას ასახავს. საყმაწვილო გვერდები ნუგზარ გიგაურის ლექსებს ეთმობა.

ახალი თარგმანების განყოფილებაში ნაიკითხავთ სამ ნოველას: რობერტ ფოქსის „იგავს“ (ინგლისურიდან თარგმნა მაია ბოლაშვილმა), ნილ გეიმანის „კაჟიანი გზის მოგონებებსა და ვლადიმერ ნაბოკოვის „ნიშნებსა და სიმბოლოებს“ (თარგმნა ზურაბ სონულაშვილმა).



ესაა ადამიანის, კაცის ცხოვრება, დასაწყისი-დასასრული, ყოფნა-წვლელება-ჯახირი, ბრძოლა, წაგება და მოგება (ჩაღბისა, ერთ-ერთი პერსონაჟის, თქმით, წაგება და მოგება ძმები არიან).

რომანში რამდენიმე კაცია ერთი თაობისანი ანუ თანატოლები, ისინიც თავიანთი შვილთაშვილების თვალეში ცხოვრობენ (სუქო, წრიბა, ჩაღბისა...) და, შესაძლებელია, ასე უამრავი ადამიანი დასახელდეს, მაგრამ პრობლემა ამით არ იწურება, სათქმელი უფრო ფართო მასშტაბს გვიჩვენებს და, სავარაუდოდ, კონკრეტული ადამიანების დრო უფრო ზოგადისკენ მიგვიანიშნებს, საყოველთაოსკენ, ასე პატარა-პატარა წრეებისგან რომ შედგება უთვალავობით და, ფაქტობრივად,

სიცოცხლეს, მხოლოდ საზღვრავს სამყოფელს კაცისას.

საყოველთაოდ საუბარი ამ რომანზე არც დამიბრებია, მაგრამ აზონდას კვალს თუ არ გავყვები, ყოველი ალაღად ამოთქმული სიტყვა სრულიად გამეცხვება ან დამეცხვება.

აზონდას ნაკვალევი ხელშეხსებითა და სავარაუდოდ, ვინაიდან იგი რომანში არაა შემოპრძანებული საკუთარი ბიოგრაფიის გასაცნობად და წერტილ-წერტილ ამა თუ იმ თავგადასავლის მოსათხრობად. რამდენადაც არაორდინალურია მისი ზმანებანი, იმდენად ძლიერდება ინტერესი მისადმი, ვინაიდან ვგრძნობთ, მასთან შეხვედრით რაღაც ისეთი უნდა გვეუწყოს, ყურს რომ ეუცხოება. ასეც ხდება. ეს ადამიანი მეუღლესთან ერთად

როგორც ჩანს, აზონდა არაა ხელნაწი-საკრავი კაცი. მაგრამ ეს აზონდა გვაფიქრებს თავისი სიმწარითა და შხამიანობით. ეს მცენარე სხვაგანაც გვხვდება ტექსტში, ონანის „სალოცავი“ ადგილია იგი და ხშირადაც მიმართავს.

ვის როგორ, მაგრამ აზონდას სამკურნალო თვისებებიც აქვს. არ ვიცი, ამჟამად ამის გახსენება რამდენად ნაადრევია საქმეს, ანუ უკვე ადამიან აზონდას, მაგრამ ერთი კია, სიმწარისა და ტკივილების განცდა მას ნამდვილად აქვს, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, სრულიად მარტოვანად რომაა მიჩენილი წუთისოფელში დაბადებულა და განშორებულა მაცქერალი, რომ ვერ გაურკვევია, რატომ ესიზმრება, რაც ესიზმრება,

ნიკაიი სასონაიკის „ნუციკოდან ნუციკომდე“ - როგორი ნიღბებით და უნიღბოდ

ნიკაიი სასონაიკის რომანი „ნუციკოდან ნუციკომდე“ მესამედ რომ წავიკითხე, რატომღაც მომიხდა, მეც ნუციკოს თვალეში დამედო ბინა და იქედან გამომეხედა. არაფერიც არ დაშავდებოდა. პირიქით, მეტაფორას მეტაფორა მიემატებოდა და მეტი თავსატეხიც გამოჩნდებოდა. ამასთანავე, საშუალება მომეცემოდა, თუ გზადაგზა აკრფოდა კითხვები ვერ გავცემდი პასუხს, მოგზაურობა მაინც შემრჩენოდა, რომანის გარედან, თანამგზავრით კი არა, არამედ შიგა მთავარ მაგისტრალს დავადგებოდი და სანამდეც მივალწევდი, ეს იქნებოდა ჩემი მონაპოვარიცა და სასიერო აზროვნებაც.

ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა მეგრძნო, რომ ლიტერატურა, თანაც მხატვრული, მართლაც დიდებული ხელოვნებაა, ნიორსახოვანი თამაშობებით, ოდნავადაც თუ მოუნახავ შესასვლელს, ისე აგვიყოლებს, ისე გადაგასხვავებებს, სარკვეში ჩახედვისას, არცაა გასაკვირი, ვინმეს ჰკითხო, ვინ შემოგვტყერის იმავე სარკიდან. ხოლო მწერალი? მწერალი სავესტით ბედნიერია, ასეთად შემტვე თამაშს თუ წამოიწყებს და მკითხველები ლიფსიტეზებით მისდევნენ – მიცურავენ ფურცლებად დარბაზულ თუ აქერცლილ სტადიონზე.

ნუციკოს თვალეზიდან მინდა გამოვიხედო, მაგრამ სურვილიც მიჩნდება, ამ თვალეზმა პროექტორის მოხერხებულობით ზემოდან დაანათონ რომანში განთლილ სივრცეს, უფრო მკაფიოდ რომ გამოჩნდეს ხერხემალი, რომლის მალეობი დაფარული არ არიან, ძალიან შინაურულადაც გეჩვენებოდა, მაგრამ დანათებისას თავი და ბოლო ამ ხილულობისა მეტ ეფექტს იძენს, თანაც გვიჩვენებს, რომ მეცა და უამრავი მეც, არავითარი გარე მაყურებლები არ ვართ, ამოდენა სიგრძე-სიგანის უჯრედებში ვართ მოყუჩებული და იქედან ვერავითარი სურვილიცა და ძალაც ვერ გავცივანს. ეს გარეგანი დათვალეზება მხოლოდ პირობითი გამოგონებაა სათავისა და ბოლოკიდურის თვალის გასაყოფელად.

მწერალი თავიდანვე ცდილობს და ახერხებს კიდევ, თითქმის უცნაურ ლაბირინთებში მოგვაცუცოს, რათა უფრო ყურადღებითა და დაძაბვით შევეხოთ ლამის გამაღიზიანებელი ნერვიული იმპულსებით მოცახცახე რომანის კედლებს. პირველივე სტრიქონიდან, პირველივე მეტაფორიდან იწყება მკითხველის ტყვედ აყვანა, თუმცა მალე დაეტყობა, რომ ეს მეტაფორა დაუშლელი არაა და მკაფიოდ გამოჩნდება მისი ცალკეული ხედები და მასთან ერთად შემოთავაზებული ნახაზების კავშირიცა და მფეთქავი ძარღვებიც. ძალიანაც რომ მოვიინდომო, არავინ დამტკიცებს ნუციკოს თვალეში, გინდ ჩემი შვილთაშვილი იყოს, გინდ ნინოსა და აზონდასი. რომანში ერთობ მრავლისმთქმელი ამოსუნთქვებითაა შემოთავაზებული თაობიდან თაობამდე მასსოვრობისა და ნედლი სიცოცხლის სურათოვნებაცა და ბიძგებიც. თუნდაც ერთი თაობისა სამაგალითოდ, სათვალსარჩინოდ, ბებია-ბაბუის ამქვეყნიურ დასაღიერამდე რომ მიდის, შვილთაშვილამდე მაინც რომ მიდის ხილულობით, ცოცხალი შეგრძნებებით, ესაა მანძილი შვილიდან შვილთაშვილამდე ანუ ერთი თაობის ხანგრძლივობა, ერთი გადასარბენი, ერთისა – სამ თაობაში: შვილის, შვილიშვილისა და შვილთაშვილის. საუკეთესო შემთხვევაში

ერთი და იგივე დრამატული სარჩული აქვთ – დანყება-დამთავრება და ისევ გაგრძელება.

ახლა კი უფრო გასაგებად ვილაპარაკოთ, თუნდაც ჩვენი მოსაზრებანი კარგა მანძილით ავიღდეს რომანში დანთებულ ცეცხლს, ეს ლაპარაკი აუცილებელია, სხვადასხვა მხრიდან რომ მიგვაყენებს ამ მხატვრულ განფენილობასთან და ეგების მიზანიც სწორად გამოჩნდეს.

პირველივე სტრიქონი რომ არა, იქნებ არც მიგვეძალეზინა გონებისთვის, „სხვანაირად“ ჩართულიყო. მოკლედ, ჩვეულებრივი ოჯახური გარემოდან გავდივართ ქუჩაში, მერე ფიჭვნარში, მერე პლაჟზე, მალე ახლადმეხვედრილი მეგობრები, მესამე თაობისანი, ყველანი თავთავიანი შვილთაშვილების თვალეში რომ ცხოვრობენ, გასაგებია, საქეიფოდაც რომ შედერდებიან და ქეიფობენ კიდევ, სუქოს შვილთაშვილის, სოფოს დაბადების დღეს აღნიშნავენ, რაც შესანიშნავია და ჩვენც გვახალისებს, მაგრამ მანამდეცა და ხაჭაპურით დანყებული ქეიფის მიმდინაობისა ისეთი აზროვნება და ლექსიკა დატრიალდება, მიუხედავად იმისა, ის ხაჭაპურიც, საგანგებო ჯიშის ძროხათა რძისგან ამოყვანილი ყველით რომაა გაპეტყნილი, ცოტა ხნით გვერდზე მიიწევა და სხვა არტილერიის ცეცხლში მოვექცევით.

თანაც ეს ხდება ნელ-ნელა, მიწიდად, მალე გაცხატულ, კინაღამ ხელჩართულ შეტაკებაში რომ გადაიზრდება და უფრო გასაგები ხდება ამ მესამეთაობელების „გასაჭირი“, ერთმანეთს რომ ედავებიან თავლისფერი ნესტის მიერ გაჩენილი რეგმატიზმი უფრო მტკივნეულია თუ ნაფლისფერისაგან გაჩენილი. „გასაჭირიც“ ცნაურდება რამდენადმე და მათ ბაბუობასთან ერთად თითქმის თანაბარ პირობებზე აგებული ცხოვრება, ერთი შეხედვით შვილთაშვილების თვალეში რომაა მოქცეული, მაგრამ ალუზიური ძალმოსილებით უფრო რეალურ ცხოვრებას განრიდებულთა სამფლობელოს უნდა წარმოადგენდეს, რაღაც ძაფებით თუ უფრო ძლიერი საშუალებებით ჩარჩენილი რომ არიან მათთვის ბოლო შთამომავლის სამხერებში და ამას სიცოცხლის გაგრძელებად მიიჩნევენ.

რა თქმა უნდა, არც მიფიქრია, პირნმინდად გავყვი რომანის სიუჟეტურ ქარგას და ყოველ მოსაცდელთან ჩავიმუხლო. ეს ძალიან შორს წავიყვანს, თანაც დანერვილ-მანებულ მხრეკელობას ვერ იგუებს ასეთი სტრუქტურის მქონე რომანი, სადაც ყველაფერი თითქოსდა გეახლობლება, ამავე დროს კი გირჩენია ზოგიერთი სახე თუ ხედი ნიღბითუხდელად იდგეს და უყურებდე, „განვალეზდეს“ გამოსაცნობად, შესაგრძნებლად, დრო და სივრცის გასარკვევად, არ ჯერდებოდეს ერთჯერად პასუხს თუ პასუხებს.

თუმცა პასუხები თავად რომანშია მოცემული. უპირველესად კი ორი დიდი და განმსაზღვრელი ფორმულირება ყალიბდებიდა. პირველი გახლავთ მოკლე მონაკვეთი – კონკრეტული ადამიანის სანუთისოფლო გადასარბენისა, სანუთისოფლო სიცოცხლისა. მერე კი საერთო გასაღებია, თუნდაც ბიბლიური სივრციდან აღებული, – რაც ოდესმე დაკანონდა და წესად ექცა ცხოვრებას, არაფერიც არ შეცვლილა, მთავარია დაბადება, ხოლო სიკვდილი ვერ ანადგურებს

შვილთაშვილის თვალეში ანუ ოროთახიან ბინაში ცხოვრობს. მეგობრებიც ასეთივე მაცხოვრებლები ჰყავს. ბინაში, ყოველდღე თუ არა, არაერთხელ, წარღვნა, თანაც ცისფერი, ატყდება თავს პატარა ნუციკოს მონარდვისაგან, ატირებისაგანაც. ბოლოს დატოვებს შვილთაშვილის თვალეზს და თავის ნამდვილ ბინაში გადმოსახლდება. გზადაგზა კი ათასი საწუხარი აქვს: ბაბუანვერა კაცის ნინასწარმეტყველებაც აფორიაქებს, ნითური ფურის მთვარისკენ გაფრენაც, უამრავი ძველი საწუხარიც იჩენს თავს, ახალიც, არ მთავრდება ილუზიები, ოცნებები, წარმოსახვები, თითქოს პანდემიური შფოთვები, ავადმყოფური ხილვები, შიში თავის მოსალოდნელი ტრეპანაციის გამო, ტვინი რომ არ დაუზიანდეს, ტვინი – მასსოვრობის საწყობი, დიდი მასსოვრობისა, რომელშიც მხოლოდ შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, დედ-მამა... კი არაა ჩაკურულ-ჩაბეჭდილი, არამედ თავისივე ყოველდღიურობა, მატერიალუიცა და სულიერიც, უმთავრესი ლექსიცა, არსებითი, ნამდვილი, აზრის მიმცემი სიცოცხლისთვის... მეტიც მასში, ანუ ამ ტვინში, ჩანწებლია შორეული სიცოცხლეც, უნარი ამ სიცოცხლისა, ძალა და სიმშენიერეც, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ ვთქვათ... მართალია, რომანში მითითებულია აზონდას სამყოფელი, ხან ქალაქში, შვილთაშვილის თვალეზზე რომ არაფერი ვთქვათ, ხან სამსახურში, ხან საავადმყოფოში, სხვაგან და სხვაგან, უფრო მეტად კი სიზმარში, სიზმრადაცა ქცეული, მისი მეუღლეს, მეგობრებიც, სიზმარი განაგებს ყველაფერს, სიზმარი იშვიათად მოვიდო, გაღვიძებისთანავე კარგ ხასიათზე რომ აყენებს კაცს, ისეთი, უმეტესად – სამხიელი, ტკივილიანი, გამთავგავი, შემადრწუნებელიც კი.

ამ მშფოთვარე სიზმრებისა და ზმანებების მიხედვით, შეიძლება არ ავჩქარდეთ სასახლეებოდ, მაგრამ ჩავლილი ცხოვრების შემოღანდება უფრო იკვეთება, როცა უკვე კარგ ხნის მიწველებულია ცისფერში, ნაბლსფერიც, მოლიფერიც, თავლისფერიც და მათ მაგიერ ლილისფერი ანუ ქიმიური, ანუ ხელოვნური ფერი ლიცლიცებს გონებაში, ანუ სიცოცხლე ნელ-ნელა ეგუება ან უკვე შეგუებულია სიკვდილს, დანყებულია ახალი განზომილება – ბლანტი ლილისფერი სამყარო და, ალბათ, მანამდე გასტანს იგი, სანამ არ გამოსახლდება შვილთაშვილის თვალეზიდან.

მშფოთვარე სიზმრები მასშტაბურადაც არიან მოკალათებული საზოგადოებაში, მთელი ქალაქის მოსახლეობა რომ მოუცავს და ტკივილებიც უზომოა და აქ თავს იჩენს ეჭვი, თაობათა მუდმივ სატკივარზეც ხომ არ მიგვითითებს მწერალი, გულში ჩახშულ სატკივარზე, გამკითხავი რომ არასდროს გამოჩენია, და ეს ეჭვი კიდევ უფრო გვიძაფრდება, როცა ქალაქის თავის, დიომიდეს, სასულე ორკესტრი გამოჩნდება, ცოტა მოგვიანებით ჩოხოსნებიც, რათა მათმა მუსიკალურმა იერიშმა და სიმღერამ გადაფაროს ან გამოაკეთოს მოქალაქეთა მშფოთვარება, უფრო ხალისიანად წარმოჩინდეს ადამიანთა ყოფა. ეს ორონიულ-სარკაზმული პასაჟი, რა თქმა უნდა, ბევრის მთქმელია, მით უმეტეს, თუ იგი მიგვიანიშნებს უკვე ლილისფერ დროზე, როცა მუსიკასაც და სიმღერასაც უკან მიდევნებული ლამპარის იერსახე უჩნდება.

ან ვისგანაა თავად იგი დასიზმრებული. ამ სახლავართო საკითხებზე ფიქრი შედის ადამიანის საცხოვრის მენიუში, მაგრამ ზოგჯერ თუ არ გაუტევი და „წორმიდან“ არ ამოვრდი, შესაძლებელია ლილისფერი სამყარო ადრე გესტუმროს. ამიტომაცაა ხანდახან აზონდას აზანოდან მოლისფერი რომ მოჰყვებოდა, მაგრამ მაინც საკითხავი ხდებოდა, როგორ აჯობებდა ეცხოვრა. აზონდას კი უსამყოფლო გასაჭირმა მოუტანა: ნინო ეუბნება, სიცხისაგან ვკარგავთ ნუციკოს და რაიმე იღონეო. ბაბუა ფიქრობს, რომ ნუციკოს გახალისება უმეგლის და მის დათუნისა დაექებს აზონდას ველზე. პოულობს, მაგრამ თავი ცალკეა ამ სათამაშო დათუნისა და ტანი – ცალკე. ვერ მიაკერა ისინი ერთმანეთს. აი, სწორედ მაშინ „აივსო მწარე აზონდი“ და გამწარებული ღრუბლიდან გამომზირალ მამას შესძახებს, უკვე აზონდა რომაა, დასჯილია სიცოცხლისთვის, რაც მამისგან მიენიჭა, რომ დრო დაუდგა თავისი გამოის, ალბათ თავისი დამთავრების.

განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს აზონდას აკონია საავადმყოფოში. მთელი რიგი ამბებისგან გამორჩეულია იქაური სიზმარული სცენები, ალბათ სირთულითაც, მრავალმხრივი შენაკადებითაც თანდათან აძლიერებს წარმოსახვების ეფექტებს, ძირითადად სიკვდილის თუ მოკვდინების ფაზას რომ აახლოებს ადამიანს, მაგრამ ასეთი გააქტიურება არც იყოს, შესაძლებელია, დასასრულის მაშუშებელი, ვინაიდან ტვინი, ურთულესი ფენომენი სიცოცხლის მართვისა, არ ემორჩილება მედიცინის რაღაც ნებსებს და აგრძელებს მუშაობას. რა თქმა უნდა, ძნელი გარკვევა და არცაა, მგონი, სრულყოფილად გამოკვლეული, სინამდვილეში რა მექანიზმები, რა ხანგრძლივობით აგრძელებენ ფუნქციონირებას, მაგრამ ამის გარკვევა სრულებითაც არაა საჭირო, მწერლის მოულოდნელი გადაწყვეტილების გამო, აზონდას კატეგორიულ ტონს რომ გვაცნობს, არ დაინყონ ტრეპანაცია, არ შეეხონ ტვინს, ვინაიდან, შესაძლოა, დაინყოს სტერილური მარტოობა, სიცარიელე, განაყოფიერებას მოკლებული აზროვნება, ამ შემთხვევაში კი განყდეს კავშირი წარსულთან, სრულიად ამოიხაპოს უზარმაზარი მასსოვრობა იმ ტვინიდან, რომელშიც უკვე იღანდება შორეული საწყისი, ლტოლვითი ძმების ისტორიები, ნითური კაცის, მერმედ ონანის, ლაჰიმას, ცეფერის, ნოფათის და სხვათა სახეები, ჯერ კიდევ რომანის შუა გზაში ვართ და წინ უამრავი ამბებია ერთმანეთში გადახლართული.

მკითხველი გრძნობს, როგორ გარდაიქმნება ჩვეულებრივი არაჩვეულებრივად, ნაკლებმნიშვნელოვანი მნიშვნელოვნად, ისე მოუმზადებელი აღმოვჩნდებით ხოლმე მოვლენათა განვითარების ეპიცენტრში, გვიჭირს გამოკვეთა კონკრეტულისა და ზოგადის, ცალკეულისა და გაერთიანებულის, ბევრადმეტყველი რომაა რაღაცნაირი ყოფიერი ლირიკითა და ფილოსოფიური აღნაგობით, კიდევ რომ გეცნობა და კიდევ გაუცხოებით უყურებ, როგორც აზონდა ზამთარში შაშვის სისხლიან და მჩატე სხეულს...

ბია სოფარიანი

▶▶ დასასრული ზედიზე ნომერი

გურამ ბენაშვილი

კვალი ნათელი და ნარეული



ლადო ასათიანი

ამაღლებული და სათუთი ფიქრის შთამაგონებელი ლადო ასათიანის ცხოვრება... რა იყო მისი ხანმოკლე სიცოცხლე, თუ არა თხემით...

ყოფიერების თანმდევი, ამოუხსნელ და მოუხელთებელ „ფანტომებს“... საგულისხმოა, რომ მისმა სულიერმა წიაღმა და...

წყარო არ ღაპრა

დავით შამოქაძის „წვეთები მინაზე“ ბევრს შეიძლება ვერ მიესადაგოს ისე ზუსტად მისი ლიტერატურული ფსევდონიმი...

სიუორის ფილოსოფია

გადამლის ამ ნიგნს მკითხველი და თავისთვის იტყვის: რატომ უნდა ნავიკითხოთ...

პირველივე ლექსი ამ განწყობას გამოხატავს რწმენის, განახლების, სულიერი ფერისცვალების...

შალვა საბაშვილი

ნების გალალი კულტურისათვის

28. ორზროვანი, სხვადასხვა ობიექტურად შესაძლო შინაარსთა დამტყვეფრება.

ასეთი რამაც არაა ენისათვის უცხო. ნაიკითხავ ფრაზას და ხედვები, რომ მასში ორი ურთიერთგამომრიცხავი აზრის ამოკითხვა შეიძლება. აი ამონერლი ნიმუშიც: „მხატვარი სილარიბეს სიმდიდრეს ამჯობინებს“. რა იკითხება ამაში? რა ურჩევნია მხატვარს: სილარიბე თუ სიმდიდრე? ვგულისხმობ: რა გამომდინარეობს მოტიანილი ფრაზიდან, თორემ რეალურ ცხოვრებაში სხვადასხვა მხატვარს სხვადასხვა პრიორიტეტი შეიძლება გააჩნდეს. ან ასე დავსვათ საკითხი: როდის უფრო ადვილად მიადნევენ შემოქმედების უმაღლეს დონეს ხელოვანი, მდიდარი რომ იყოს მაშინ, თუ ღარიბი რომ იყოს? სხვაც ბევრი შესაძლო ასპექტი არსებობს, მაგრამ ამ წუთას მინტერესებს, რა არის ნათქვამი თვით ფრაზაში: „მხატვარი სილარიბეს სიმდიდრეს ამჯობინებს“? ანუ რომელს აძლევს იგი უპირატესობას? რა გვითხრა ავტორმა? აი აქაა საოცარი ციმციმი, როცა ხან ერთი აზრი გამოკრთება და გააქრობს მეორეს, ხან კი, პირიქით, საპირისპირო პასუხი გაკაჟაშდება და გვარწმუნებს, რომ სწორედ ეს იგულისხმება ფრაზაში.

მათემატიკური სიზუსტით ამას ვერავის დაუშვტყცივბ, მაგრამ ერთ სასინჯ მეთოდს შემოგთავაზებთ. ცნობიერებაში დავაფიქსიროთ სიტყვა „სილარიბე“ და რიგრიგობით დავსვათ ორი სხვადასხვა შეკითხვა: 1. რა სჯობია სილარიბეს მხატვრის აზრით? ვთქვათ, პასუხია „სიმდიდრე“. მაშინ ანმყოს მწკრივში მიიღება სწორედ საწყისი ფრაზა: „მხატვარი სილარიბეს სიმდიდრეს ამჯობინებს“, რომელიც ეკვივალენტურია ფრაზისა: „მხატვარს სიმდიდრე ურჩევნია სილარიბეს“. 2. რას სჯობია სილარიბე მხატვრის აზრით? ვთქვათ პასუხია „სიმდიდრეს“. მაშინაც მიიღება იგივე ფრაზა: „მხატვარი სილარიბეს სიმდიდრეს ამჯობინებს. ოღონდ ახლა უკვე ეს ფრაზა ეკვივალენტურია ფრაზისა: „მხატვარს სილარიბე ურჩევნია სიმდიდრეს“. გამოდის, რომ ჩემ მიერ ამონერლი ფრაზა შინაარსობრივად ორზროვანია – ასეც შეიძლება გავიგოთ და ისეც. ჩვენ „ვიციოთ“, რა ვუპასუხეთ პირველ და რა მეორე შემთხვევაში, ვინაიდან ვიცოდით, რას გვეკითხებოდნენ. შემკითხველმაც ორივეჯერ „გაიგო“, რა ვუპასუხეთ, რადგან იცოდა რა გვკითხა. მაგრამ მან ხომ ამ ორ შემთხვევაში სხვადასხვა რამეები გვკითხა! პირველ შემთხვევაში სილარიბისთვის უნდა ეჯობნათ, თუმცა წინასწარ არ ვიცოდით, რა იქნებოდა დამჯავბნელი. მეორე შემთხვევაში კი სილარიბეს უნდა ეჯობნა, თუმცა არც ამ შემთხვევაში არ ვიცოდით, რა აღმოჩნდებოდა დავჯაბნილი.

მაგრამ თითოეულ პასუხში ჩვენც ვიცოდით და შეკითხვის დამსმელმაც, სილარიბე დამჯავბნელი იქნებოდა თუ დავჯაბნილი, ამიტომ საპასუხო ფრაზის გააზრებაში შეცდომა თავიდანვე გამორიცხული იყო. ანუ ორივე მხარე პასუხის ქუმმარტი აზრს ხედებოდა საპასუხო ფრაზისა და შეკითხვის ერთობლივი გათვალისწინებით. და ეს შესაძლებელი იყო, თუმცა ორივე შემთხვევაში პასუხები აბსოლუტურად იდენტური იყო თავისი სიტყვიერი შედგენილობით. მაგრამ საკმარისი იყო, ჩვენც და შემკითხველსაც დაგვენიყებოდა, რა რიგით დასვა მან ის ორი შეკითხვა და მარტო საკუთრივ პასუხებიდან გვეცადა გაგვერკვია, მხატვარს სილარიბე ურჩევნია, თუ სიმდიდრე, რომ მივმხვდარიყავით: ეს შეუძლებელია! სინამდვილეში თავიდანვე მოტიანილი ფრაზა: „მხატვარი სილარიბეს სიმდიდრეს ამჯობინებს“ არავითარ ინფორმაციას არ შეიცავს, გარდა იმისა, თუ რის რასთან შედარებას ახდენს მხატვარი. ისეთივე სიტუაციაა, ვინმემ კითხვა დავისვას და შენ პასუხად ზუსტად იგივე კითხვა გაუმეორო. ამიტომ ეს წინადადება წერილის ავტორს არ უნდა დაენერა. აბსოლუტურად უნიკალური სიტუაცია!

ოღონდ განვმარტავ, რომ ორზროვანება მხოლოდ ანმყოს მწკრივში იქმნება, რადგან ორივე დამატება („სილარიბეს“ და „სიმდიდრეს“) მიცემით ბრუნვაში ექცევა. წყვეტილში ერთ-ერთი დამატებათაგანი მიცემით ბრუნვაში ჩაისმება და კითხვებზე: 1. რა ერჩია მხატვარს სილარიბეს? 2. რას ერჩია მხატვარს სილარიბე?, მივიღებთ ორ, სიტყვიერად ურთიერთგანსხვავებულ პასუხს: 1. მხატვარმა სილარიბეს სიმდიდრე ამჯობინა. 2. მხატვარმა სილარიბე სიმდიდრეს ამჯობინა. ახლა უკვე თითოეულ პასუხში სრულიად ამომწურავი ინფორმაციაა და კითხვებიც რომ დავგვანიყედეს, მათ თავისუფლად აღვადგენთ პასუხების მიხედვით. ეს

ორი წინადადება, თავის მხრივ, იმასაც გვიჩვენებს, რომ სიტყვათა (გრამატიკულად დამატებათა) რიგს არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. უპირატესად მიჩნეული ფენომენი (პირველ წინადადებაში „სიმდიდრე“, მეორეში კი „სილარიბე“) შეიძლება მოსდევდეს მის მიერ დავჯაბნილს (როგორც პირველ წინადადებაშია), ან, პირიქით, წინ უსწრებდეს მას (როგორც მეორე წინადადებაში). ორივე ფრაზა აბსოლუტურად გამართულია. ეს ფაქტიც მოწმობს იმას, რომ თავდაპირველ წინადადებაშიც („მხატვარი სილარიბეს სიმდიდრეს ამჯობინებს“) ასევე იქნება, ანუ აქაც წინმსწრები „სილარიბე“ შეიძლება მხატვრისათვის უმჯობესიც იყოს და უარესიც შესადარ მომდევნო ფენომენზე და იგივე ითქმის მომდევნო „სიმდიდრეზეც“, ე.ი. კიდევ უფრო ცხადი ხდება ამ წინადადების ორზროვანება.

მსგავსი სიტუაცია იქნება თურმეობითიც (მაგ.: „მხატვარს სილარიბისთვის სიმდიდრე უმჯობინებია“, და „მხატვარს სილარიბე სიმდიდრისთვის უმჯობინებია“). სამაგიეროდ, ანმყოს მსგავსად, სრულიად არავითარი ინფორმაციის მატარებელი იდენტური პასუხები გაეცემოდა უწყვეტელში ანალოგიურ კითხვებს: „რას აძლევდა უპირატესობას მხატვარი სილარიბის მიმართ?“ და „რის მიმართ აძლევდა უპირატესობას მხატვარი სილარიბეს?“ (ეს პასუხია: „მხატვარი სილარიბეს სიმდიდრეს ამჯობინებდა“) და ა.შ. საოცარი ეფექტებია. გულწრფელად თანავუგრძნობ ყველა უცხოელს, რომლებიც ქართული ენის სრულყოფილად შესწავლას მოინდომებენ: ამას ისინი ვერ მოახერხებენ.

საბოლოოდ კი რა გამოდის? ის, რომ ამგვარი ორზროვანი წინადადებების ნამდვილ აზრს მკითხველი თუ მსმენელი მხოლოდ ტექსტში არსებული დამატებითი გარემოებების დახმარებით თუ დაადგენენ.

ერთი მაგალითიც: ტყეში ორი მონადირე შევლსა და მის ნუკრს რომ გადააწყდეს და რომელიმე მათგანს ერთ-ერთმა მონადირემ თოფი დაუმზნოს, მეორე მონადირემ შეიძლება შესძახოს: „რას შერები, დედას უკლავ შეილს?“, და ეს წინადადება სწორი იქნება ორივე შემთხვევაში, იმისგან დამოუკიდებლად, დატენილი თოფი შევლზე იქნება დამიზნებული თუ ნუკრზე. ოღონდ თვით ფრაზის წარმომთქმელი პირველ შემთხვევაში იგულისხმებდა იმას, რომ მონადირე აპირებს ნუკრს მოუკლას დედა, მეორე შემთხვევაში კი – შევლს მოუკლას ნუკრი. წინადადების წარმომთქმელიც და მისი მსმენელიც ზუსტად ხედებიან წინადადებაში ჩადებულ ნამდვილ აზრს მხოლოდ და მხოლოდ იმდომ, რომ თვითონვე ხედავენ, რომელი ცხოველისკენაა მიმართული თოფი. მაგრამ ეს ნამდვილი აზრი საკუთრივ წინადადებიდან ცალსახად არ გამომდინარეობს. ამიტომ მას ვერც მკითხველი ამოიცნობს, თუ მოთხრობის ავტორმა თვითონ არ მიანოდა მათ დამატებითი ინფორმაცია (მიზანში ამოღებული ცხოველის შესახებ). ამდენად მსგავსი წინადადების ხმარება ტექსტში მთლად გამართლებული არაა, მაშინაც კი, ყველა დამატებითი გარემოება ტექსტის წინა ნაწილში აღწერილიც რომ იყოს. აჯობებს წინადადების სხვანაირად, უფრო ინფორმაციულად აგება (მაგალითად: „დედას შეილი გინდა მოუკლა?“, ან : „შეილს დედა გინდა მოუკლა?“). მე გგონია, ამან შეიძლება უფრო დრამატულიც კი გახადოს თხრობა.

29. არსებითი შეცდომები ხშირად გვხვდება ისეთ წინადადებებში, რომლებშიც წინადადების რამდენიმე ერთი სახის ნეერია (მაგალითად, რამდენიმე განსაზღვრება). შეცდომა ჩამონათვალთა არაერთგვაროვნებაშია. უფრო ნათლად კი ამას ნიმუშთა განხილვისას ვნახავთ.

ა) საბუის დარბევის და მოსახლეობის ამონყვეტაში ბრალი მიუძღვის თელავის მაზრის უფროს მაიორ სტეპანოსს“. წინადადება არასწორად არის აგებული, ამიტომ გამოდის, თითქოს „ამონყვეტა“ საზღვრულია, „საბუის დარბევის“ და „მოსახლეობის“ კი მისი მსაზღვრელები (ისე როგორც „დედის და შეილის საუბარი“ გულისხმობს ორ მსაზღვრელს: „დედის“ და „შეილის“). მაგრამ „საბუის დარბევის ამონყვეტა“ უაზრობაა. ავტორმა თვალი არ გააღვენა მთელ წინადადებას და უხეში შეცდომა დაუშვა. უნდა დაენერა: „საბუის დარბევაში და მოსახლეობის ამონყვეტაში...“. ოღონდ არსებობს გრამატიკული ნიუანსი: როცა ერთი და იგივე თანდებული რამდენიმე სიტყვას დაერთვის, ბოლო სიტყვას უთანდებულად ვსვამთ შესაბამის ბრუნვაში. მაგალითად, ნაცვლად გამოთქმებისა: „ზღვებში და ოკეანებში“, „წარსულზე და მომავალზე“, „მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის“ ვნერთ: „ზღვებსა და ოკეანებში“, „წარსულსა და მომავალზე“, „მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის“. ამიტომ, საბოლოოდ, მოყვანილი წინადადების სწორი ფორმა იქნება „საბუის დარბევასა და მოსახლეობის ამონყვეტაში ბრალი მიუძღვის...“.

ბ). „რამდენიმე ჩანაწერი გასაჯაროვდა, სადაც დანაშაულებრივი ქმედების, მათ შორის ადამიანების გატაცების,

წამებისა და ჩვენების იძულებით მოპოვებაზეა საუბარი“. თუ გავიგებთ ისე, როგორც წერია, გამოდის, რომ იძულებითი მოპოვება ხდებოდა არა მარტო „ჩვენების“, არამედ, ასევე, „წამების“, და „ადამიანთა გატაცებისა“. მაგრამ „წამების მოპოვება“ უაზრობაა, ასევე „გატაცების მოპოვებაც“. ამიტომ სამი ჩამოთვლილი ნეერიდან ნათესაობით ბრუნვაში უნდა იყოს არა ყველა, არამედ მხოლოდ მესამე, პირველ ორს კი „ზე“ თანდებული უნდა ერთვოდეს, ანუ ენეროს: „ადამიანების გატაცებაზე, წამებაზე და ჩვენების იძულებით მოპოვებაზეა საუბარი“. ზემომითითებული ნიუანსის გათვალისწინებით კი დარჩება: „ადამიანების გატაცებაზე, წამებასა და ჩვენების იძულებით მოპოვებაზე...“. აშკარაა, რომ ავტორი გულდაგულ არ ჩაუყვირდა წინადადებას მთლიანობაში, ამიტომაც მოუვიდა კურიოზი. სამწუხაროდ, მსგავსი კურიოზები პრესაში ხშირია.

30. ზედმეტწინდებულიანი კონსტრუქციები.

ზოგ სიტყვას ზედმეტად ურთავენ ხოლმე ბოლოსართ „იანი“-ს. მაგალითად, სრულიად გასაგებია, რომ „სურათებიანი ნიგნი“ ჰქვია ისეთ ნიგნს, რომელიც, ტექსტს გარდა, სურათებსაც შეიცავს. მაგრამ რა არის „იფიანი პროდუქტი“? უფრო სწორად, რას ნიშნავს „იფიანი“? „იფი“ ხომ უკვე გულისხმობს დაბალ-, მცირე, მისაწვდომფასიანს. ე.ი. „იფიანი“ ეკვივალენტურია „დაბალფასიანიანი“-სა, რაც აშკარად მცდარი ფორმაა. ისედაც, „იფი“ ზედსართავი სახელია და არა არსებითი, ამიტომ მისთვის „იანი“-ს დამატება არაბუნებრივია (მხოლოდ გამონაკლისებს შეიძლება მივაკუთვნოთ „ნითლიანი“, „მწვანინანი“, „ლურჯინანი“ და მსგავსი გამოთქმები“. ამის გამო ითქმის „იფი საქონელი“ და „ძვირი საქონელი“. „იფიანი საქონელი“ და „ძვირიანი ტანსაცმელი“ გაუგებრობაა, თუმცა ზეპირ საუბარში „იფი“-ს და „იანი“-ს შერწყმა შეიძლება მოხდეს შედარებით ხელოვნურ სიტყვებში, როგორცაა, მაგალითად, „იფპროდუქტებიანი მალაზია“. ასევე, „ძვირი“-ც ზედსართავი და ავტომატურად გულისხმობს მაღალი ფასის მქონე საქონელს, ასე რომ არც მას სჭირდება „იანი“-ს დამატება. ამიტომაც სრულიად კანონიერია სიტყვები: „სიიფი“, „იფობა“, „სიძვირე“, „გაიფება“, „გაძვირება“, ხოლო ხელოვნური და გაუმართლებელია „სიიფფასიანი“, „იფფასიანიობა“, „სიძვირფასიანი“, „გაიფფასიანება“, „გაძვირფასიანება“. ამ მხრივ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს სიტყვა „იფფასიანი“ (ხერხის, ხუმრობის, კომპლიმენტის მიმართ), რომელიც არაკორექტულად არის შექმნილი (კონსტრუქციით „დაბალფასიანი“ აჯობებდა, ბუნებრივობითა და სახიერებით კი „უღიღამო“, რადგან „იფი“, როგორც უკვე აღვნიშნე, თავისთავად გულისხმობს ფასის სიმცირეს), მაგრამ უკვე გამჯდარია ენაში და ძნელად შეიცვლება. ან იქნებ „იფი ხუმრობა“ თუ „იფი კომპლიმენტი“ გამოდგეს? ასევე არაკორექტულია „იფი ფასები“ და „ძვირი ფასები“ – ჯობია „იფი საქონელი“ და „ძვირი საქონელი“, ან „დაბალი ფასები“ და „მაღალი ფასები“. და აქაც არის გამონაკლისი: სიტყვა „ძვირფასი“ არა საქონლის, არამედ ადამიანის მიმართ, რომელიც ასევე დამკვიდრებულია და მას ვერაფერი შეცვლის. იგი ეკვივალენტურია სიტყვებისა „საყვარელი“ (ადამიანის შემთხვევაში) და „მაღალი ღირებულების მქონე“ (ნივთის მიმართ). ყოველ შემთხვევაში, სიტყვა „ძვირფასიანი“ არ იხმარება და ესეც მეტყველებს, რომ არც „იფფასიანი“ უნდა დამკვიდრებულიყო.

ანალოგიურია სიტყვა „მაღალსართულიანი“ (სახლის მიმართ). უნდა ვიხმაროთ „მრავალსართულიანი“. თავისთავად სართული არც მაღალია და არც დაბალი, ის შეიძლება იყოს სხვა სართულთან შედარებით უფრო ზემო ან უფრო ქვემო. ამიტომ შეიძლება გამოვიყენოთ შესიტყვებები: „ზედა სართული“ და „ქვედა სართული“, „მაღალი სართული“ და „დაბალი სართული“ კი გაუგებრობაა. შესაძლოა „მაღალსართულიანი სახლი“ პირდაპირი თარგმანია (ანუ კალკი, რაც ენისთვის მიუღებელია) რუსული „Высокоэтажный дом“-ისა, მაგრამ იმ ენაშიც ხომ არსებობს მისი უფრო სამართლიანი პარალელი „многотажный дом“? სწორია გამოთქმა „მაღლა მდებარე სართული“, მაგრამ „მაღალი სართული“ სწორ ფორმადაც რომ მივიჩნიოთ, „მაღალსართულიანი სახლი“ მაინც არ იქნებოდა მართებული, რადგან მრავალსართულიანი სახლი „მაღალ“ სართულებსაც შეიცავს და „დაბლებსაც“. მით უფრო არასწორია გამოთქმა „დაბალსართულიანი შენობა“, რომელსაც სწორ ფორმას ვერც კი ვუძებნი (ალბათ პირდაპირ „დაბალი შენობა“ უნდა ეწოდოს), რადგან „ცოტასართულებიანი“-ც და „მცირესართულებიანი“-ც ულამაზოდ ჟღერენ.

„იფფასიანიანი“ დაკავშირებით კი ამონერლი მქონდა ნიმუში: „ბალტიისპირეთის ქვეყნები ... იფიანი მუშახელისა და ნედლეულის წყაროები არიან“. აქ „იფიანი“ აშკარად უხერხულია და უნდა ჩანაცვლდეს „იფი“-თ.



ლალი ლაჭავაძე

რისი შემოქმედება?

თეთრ ბალდახინით დაქროდა ლანდი, გაზაფხულს ჩეკდა აშარი მარტი, მე მარტობდა ბოდვები ქარის და მუსაიფი შიშნაქამ შაშის;

განათხრობი

ცისარტყელადან ამოყვავილებულმა ყოჩივარდებმა უმარჩიელეს: - განედლებულ ჯიქანში ჩამდგარ გაზაფხულს ჩაეკონებაო -

ჩვენი გაზეთის მეგობარსა და ძველ ავტორს, შესანიშნავ კალმოსანს, უურნალისტსა და პოეტს ზურაბ ქობალიას ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ დღეგრძელობასა და შემოქმედებით წარმატებებს.



ზურაბ ქობალია

დავბადებულვარ

დავბადებულვარ იმ მარტის თვეში, ყოფილა როცა წვიმა და თქეში.

ბავშვობამ ჩემმა განვლო ალერსში, ზეცად ვფრინავდი, ძირს არ დავეშვი.

მერე მომწყინდა როცა თარეში, თოკები შევხსენ აფრებს, ავეშვი.

ყოჩივარდები ეჩურჩულებოდნენ დაგმანულ მზის სხივებს: - ჩაღნა და ჩანვეთ-წვეთდაო ჯოჯოხეთის ხახაში,

ფოთლები დაეხსნენ ხეს: - ნახოს ერთი, უჩვენოდ რა ხეც არისო!.. ეს მოხდა იმ დღეს, რომელსაც არ ჰქონდა ხვალე,

ბოლომით ყვრივს

მეშინია პოეზიის მზის, რომელიც მაჯერებს, არ შევწყვიტო გლოვა, რადგან სასარგებლოა, რომ მდულარე მარჯანში მხოლოდ ის არ ჩაიღვენთება...

როცა სიკვდილს აქვს ფასი! ნაბარბაცდება, როს ცისკრის ვარსკვლავი ჭრილობიდან მოუშუშებლად წამსკდება

არ არის ცოდვა

ხემ თქვა: - უფოთლოდ ყოფნა არ არის ცოდვა - მე ვლოცულობდი სიმარტოვისთვის,

მინდა ვიყო ბავშვი ან არავინ

მეუბნებოდნენ: სამოთხეაო ბავშვობა! ვიპარებოდი სასუფეველიდან - სიცოცხლე ხანმოკლეა,

ვიხეტილა ცოტა მთა-ველში, დასრულდა უკვე ჟამი თარეშის.

დაღმა მივდივარ, თავქვე დავეშვი, რაც კი ვიშრომე, მიმდის ვალეში.

ამ ცხოვრებისთვის ველარ დავგეშვი, კვლავაც იქნება წვიმა და თქეში.

როგორ შევხედო უფალს თვალეში, უნდა ვიპოვო სიმშვიდე ტყეში.

ჰამ ორი ო ხარ

რა ლამაზი ხარ, ღრუბელო, ცაზედ ნუ მოიქუფრები,

ატალახდება ქუჩები, ეზო-კარი თუ უბნები, იყავი ცაზედ ლამაზად, მიჯერე, ნუ შეურჩები.

წვიმად კარგი ხარ ხანდახან, თოვლადაც მოსვლაც გიხდება, ქარს რომ აჰყვები ქარდაქარ,

ჰამ ორი ო ხარ, კი ვიცი, მაგრამ ცას სხვაგვარ უხდება, ხან თოჯინა ხარ, ბაჭიაც, ხანაც - ციყვი თუ კნუტები.

ცას მოგვიხატავ ლამაზად, პალიტრის გშენის ფერები, შენზედა ვფიქრობ ანაზღად,

ცნო სიმართლეს ვერა შობს

ვერა ვნახე ვერა საქმე ჩემი შესაფერისი, ახლა უნდა ისე ავდგე,

ამ სამყაროს ვალი მადევს, იმ სამყაროს გამყოლი, არა ვყვები მაინც დარდებს,

სადამსჯელო რაზმი დამსდევს, ღამეს დღესთან ვასწორებ, შეღავათი არ შემარგეს,

რაც ბავშვობა მოვილიე, კოჭიც ვერ გავაგორე, ძალაც, ღონეც შევალე, ძვრა ვერ ვუქენ ამ გორებს.

ახლა უკვე იმ გზაზე ვარ, ვარჩევ ავს და უარესს, კარგის მქნელი არვინ არ ჩანს,

ჩემ შესაფერ საქმეს ვეძებ, ვერსად ვნახე მასეთი, როგორ ვკითხო ახლა ბერძნებს...

არც სიმართლე არვის უნდა, ან სიცრუე თარეშობს, ჰო, ავიკრა იქით გულად, ცრუ სიმართლეს ვერა შობს.

მოქანოლო სიყვარულის

მინდა, მოპარულ სიყვარულს ჰიშნი შევუქმნა ახლა მე, ჰოდა, მით შეყვარებულებს

რადგან ვიცი, სიყვარული ყველა არი ნაპარი, ლამაზია გრძნობა ესე,

მას ხომ არვინ გვჩუქნის ისე, უნდა ვინმეს მოპარო, მოპარული სიყვარულის გემო არის მომწვანო.

სუფთა არის, ანკარაა, მაგრამ მაინც ჩუმათობს, მარად განახლებადია,

ვისგანაც არ მოიპარო, ტკბილად ირგებ ნაქურდალს, დედამინა იქალამნო და მიგაჩნდეს ცა ქუდად.

მოპარული სიყვარულის ვართ ყველანი პირმშონი, მისკენ გვიდევს ყველას გზანი, ვის - ახლო და ვის - შორი.

მოპარული ქვეყნად მხოლოდ სიყვარული შეგრჩება, სხვას არაფერს არ უხდება, ქურდის ნაზი შეხება.

– ბატონო პრეზიდენტო, ჩვენმა მეგობარმა დიდმა ქვეყანამ საუკეთესო რეცეპტი მოგვანოდა, ლიკვიდაციის გეგმაც შესანიშნავად შესრულდა, მაგრამ ერთი ლაფსუსი მაინც გაიპარა. საბედნიეროდ, ამ ლაფსუსისთვის მზად ვართ...

– ჯერ ლაფსუსი ჩამოაყალიბე, – წარმოთქვა შემფოთებულმა პრეზიდენტმა.

– ახლავე მოგახსენებთ. იმისთვის, რომ ნახშირბადის მონოქსიდით მონამგვლის ვერსია დამაჯერებელი ყოფილიყო, ჩვენმა ბიჭებმა გაზის ქვესადგური დააზიანეს და ქსელში წნევას მოუმატეს. თუმცა, ერთმა მობინადრემ, მომატებული წნევის გამო გაზის საავარიო სამსახურში დარეკა. საავარიო სამსახურმა კი გაზი გადაკეტა. ეს უდავოდ ლაფსუსია, მაგრამ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრემიერი მანამდე გარდაიცვალა, სანამ საავარიო სამსახური გაზს გადაკეტავდა. ამის გარდა, მალე მეორე მეგობარი დიდი ქვეყანაც მხარს დაგვიჭერს და ადამიანები დაიჯერებენ, რომ ყველაფერი გაზის გადაკეტვამდე მოხდა. ამის შემდეგ რასაც თქვენ იტყვი, სიმართლე ის იქნება, ასეთია ხალხის ბუნება. და, თუ ხალხს ხელს შევეწყობთ, არანაირი ლაფსუსი აღარ იარსებებს.

– გრანდიოზულ სამოქალაქო სამგლოვიარო ღონისძიებას ვგეგმავდით ბატონო პრეზიდენტო. გულისხმიერი და თანაგრძნობით აღსავსე გამოსვლებით, მეგობარი დიდი ქვეყნების წარმომადგენლების თანდასწრებით. მაღალი სასულიერო პირებისთვისაც გამზადებული გქონდა მოწვევები. მაგრამ ზოგიერთმა მღვდელმთავარმა აიკვიტა, პრემიერი ისეთი მორწმუნე იყო, სამგლოვიარო ცერემონიალი ტაძარში უნდა ჩავატაროთ.

– იცი, რას ნიშნავს ეს მინისტრო „ვ“? – ჩაეკითხა პრეზიდენტი.

– დიახ, ბატონო პრეზიდენტო, ისინი იმაზე მიანიშნებენ, რომ პრემიერის სულიერ ცხოვრებას კარგად ვიცნობთ და ის მამათმავალი ვერ იქნებოდაო.

– ესე იგი ეკლესიაში ჩატარებულმა სპეცოპერაციებმა არ გაამართლა მინისტრო „ვ“!

– ასე ვერ შევაფასებდი, ბატონო პრეზიდენტო, სპეცოპერაციების ხარისხი საუკეთესო იყო. მღვდელმთავრები, სპეცოპერაციების შემდეგ სანიშნოდ თანამშრომლობენ ჩვენთან. პრემიერის ბედით ისინი ჩვენთან, უბრალოდ, ვაჭრობენ. საქვეყნოდ არაფერს იტყვიან, მაგრამ ჩვენ გვეუბნებიან, ყველაფერი კარგად ვიცით და უფრო მეტი ანაზღაურება გვერგებო. ამ სამგლოვიარო ცერემონიალს მალე ყველა დაივიწყებს, ჩვენი გეგმა კი შეუფერხებლად იმუშავებს! საგანგაშო არაფერია!

– მინისტრო „ვ“, მეუბნებიან, რომ თავი ნამოყვებს ადამიანებმა, რომლებსაც ოფიციალური ვერსიის არ სჯერათ. ხომ შეიძლება ამაზე ხმამაღლა აღაპარაკდნენ?, – შფოთავდა პრეზიდენტი.

– ყველაფერი კარგად მიდის, ბატონო პრეზიდენტო! ვისაც არ სჯერა ოფიციალური ვერსიის, უგუნური არ უნდა იყოს. ამიტომ გონიერება ეყოფათ, ხმამაღლა არ ილაპარაკონ. ერთნი ხვდებიან, რომ პრემიერ-მინისტრის დამარცხება ჩვენი გამარჯვებაა და საქმე გამარჯვებულთან უნდა დაიჭირონ. მეორენი კი განდგეგმობისა და გარიყულობისთვის არიან განწირულნი... – იქამდე ლაპარაკობდა მინისტრი „ვ“, სანამ პრეზიდენტს კმაყოფილი გამოუმეტყველება დაუბრუნებდა.

– უმნიშვნელო ლაფსუსებია, ბატონო პრეზიდენტო, მხოლოდ უმნიშვნელო ლაფსუსები!

– რა არის უმნიშვნელო, მინისტრო „ვ“, იმის გამჟღავნება, რომ გამოძიებამ კონსპირაციულ ბინაში პრემიერ-მინისტრის და მისი მეგობრის ვერც თითის ანაბეჭდები

და ვერც დეენემის კვალი ვერ აღმოაჩინა? ეს სერიოზული ლაფსუსია! როგორ უნდა დადასტურდეს მათი კონსპირაციულ ბინაში ყოფნა, თუ მათი ანაბეჭდები და დეენემის კვალი ვერ აღმოჩნდა შემთხვევის ადგილზე, მით უმეტეს, რომ ჩვენი ვერსიით, პრემიერი და მისი მეგობარი კონსპირაციულ ბინაში კონიაკს და ძეხვს მიირთმევდნენ, პრემიერ-მინისტრის სიგარეტის ნაშენებლები კი იყო სუფრაზე და არც ერთი ანაბეჭდი, დეენემის არც ერთი კვალი, ამაზე რა პასუხი უნდა გქვონდეს? სად არიან ჩვენი ექსპერტები?

– ახლავე მოგახსენებთ, ბატონო პრეზიდენტო, სიგარეტის ნაშენები საქმიდან, საერთოდ, შეგვიძლია ამოვიღოთ. ყველაფერი შეგვიძლია ამოვიღოთ რაც გამოძიებას არ დააკმაყოფილებს. ჩვენი ექსპერტები ამბობენ, რომ გვამების გაკვეთის დროს მათ საქმლის მომწიფებელ ორგანოებში აღმოაჩინეს ძეხვის ნაჭრები, რომ სისხლში იყო ალკოჰოლის შემცველობა. ეს საკმარისი მინიშნებებია, ბატონო პრეზიდენტო. რადგან მთელი სატელევიზიო ინდუსტრია ახლა მხოლოდ ძეხვისა და ალკოჰოლის კვლებზე ლაპარაკობს. ჩვენმა მეგობარმა დიდმა ქვეყანამ კი გაამზადა დასკვნა, რომ ეთანხმებიან ჩვენს გამოძიებას. – ამბობდა მინისტრი „ვ“.

– და არის უკვე მოთხოვნები დიდი ქვეყნებისგან?

– დიახ, ბატონო პრეზიდენტო, ერთი მოითხოვს ენერგეტიკას და იდეოლოგიას, მეორეც – ენერგეტიკას და იდეოლოგიას. ამაში ორივე ფულს გადაგვიხდის და მათთვის საჭირო ხელისუფლება ვიქნებით. ამ ყველაფრის გარეშე ორივე მაინც იგივეს მოგვთხოვდა და პრემიერიც ცალკე ტვირთად დაანვებოდა ჩვენს პოლიტიკურ ყოველდღიურობას.

საქმე გაიოლებულია – ჩვენ, უბრალოდ, მარადიული ერთგულება ავირჩიეთ, მათ დამაჯერებელი ერთგულებაც მიიღეს.

– ვნახე, ჩვენს ექსპერტებს ზუსტად ისე დაუწერიათ, როგორც მითხარი, პრემიერ მინისტრის გაკვეთის დროს მისი საქმლის მომწიფებელი ორგანოებიდან ძეხვის ნაწილები ამოიღესო. მაგრამ მინისტრო „ვ“, ისეთი ექსპერტებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ამბობენ, თუ პრემიერ-მინისტრი კონსპირაციულ ბინაში ნახშირბადის მონოქსიდით მიიწვინდა, ის მაშინვე არ გარდაიცვლებოდა, ჯერ გრძნობდა დაკარგავდა და საქმლის მომწიფებელი სისტემა ამ დროს ისე იმოქმედებდაო. ამბობენ, რომ გაზის მიწოდება საავარიო სამსახურმა პირველ საათზე შეწყვიტა, დაცვის წევრები კი ამბობენ, ბინაში დაახლოებით ოთხი საათისთვის შევალნიეთ, მისი გადარჩენა ვცადეთ და ხელოვნური სუნთქვაც ჩავუტარეთო. და ამის გამო ჰქონდა სისხლჩაქცევა ტურწეო.

– დიახ, ასე ამბობენ, ბატონო პრეზიდენტო, – დაეთანხმა მინისტრი „ვ“.

– საქმეც ისაა, რომ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც გაიძახიან, თუ ყველაფერი ასეა, ორი საათის შემდეგ ძეხვის კვალის გარკვევა შეუძლებელი იქნებოდა კუჭის შიგთავსშიო. და, თუ ხელოვნური სუნთქვის დროს პრემიერ-მინისტრს ტურწე სისხლჩაქცევა განუვითარდა, ამ დროისთვის ის ჯერ კიდევ ცოცხალი უნდა ყოფილიყო, რადგან გარდაცვლილს სისხლნაწლენით აღარ წარმოექმნებოდაო. ეს ძალიან სერიოზული ლაფსუსებია მინისტრო „ვ“, ეს როგორ უნდა ავსნათ? ჩვენმა დიდმა მეგობარმა ქვეყანამ კი ექსპერტებში თქვა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულ გამოძიებას არ ეწინააღმდეგება, მაგრამ ისიც ჩანს, რომ კონსპირაციულ ბინაში გამათბობელი გამართულად მუშაობდა და ადამიანის სასიკვდილო პირობები არ არსებობდაო. უფრო მეტიც, გამათბობელში ჭვარტლის კვალი ვერ აღმოვაჩინეთ, რაც ნახშირბადის მონოქსიდის გამოყოფას დადასტურებდაო.

– უდავოდ მძიმე დასკვნაა შინაარსობრივად, ბატონო პრეზიდენტო, მაგრამ, იმავდროულად, პოლიტიკურად, ჩვენდამი სრულიად კეთილგანწყობილია, რადგან ცალსახად აცხადებენ, რომ არ ეწინააღმდეგებიან ჩვენი

გამოძიების დასკვნას და პრემიერ-მინისტრი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა.

– ნეტავ კიდევ რა კეთილგანწყობილობებს უნდა ველოდოთ ჩვენი დიდი მეგობრისგან? – თითქოს თავისთვის იკითხა პრეზიდენტმა.

– ბატონო პრეზიდენტო, იმდენი საშინელება დანერეს დასკვნაში, ფაქტობრივად, ვერასოდეს დავამტკიცებთ, რომ პრემიერ-მინისტრი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა, მაგრამ, იმავდროულად, ისეთი ნდობა გამოგვიცხადეს, ამის მტკიცება არასოდეს დაგვჭირდება.

– მინისტრო „ვ“, უამრავი რამ მოუთხოვიათ დიდ ქვეყნებს ჩვენგან ისტორიულად, რაღაც უბედურეკი სარგებელი რომ მიგვეღო, მაგრამ ახლა ისინი მოგვთხოვენ იმის გაკვეთებას, რაც ჩვენვე გამოგვადგება!

– დიახ, ვხვდები, ახლა პირველი დიდი მეგობარი ქვეყანა მოითხოვს ჩვენგან ვიყოთ მასთან მეორეს წინააღმდეგ და როგორ უნდა შევასრულოთ ეს მოთხოვნა, როცა მეორე მეგობარი ქვეყანაც იგივეს მოგვთხოვს? როგორი პოლიტიკური დღის ნესრიგი დავგჭირდება ბატონო პრეზიდენტო?

– ერთი მეგობარი დიდი ქვეყანა კულტურულია და ჩვენი ველურობით თავს გავიტანთ, მეორე დიდი ქვეყანა კი ისეთი ველურია, ჩვენი კულტურულობა არც დასჭირდება.

– კიდევ არის საკითხი, ბატონო პრეზიდენტო! ვინც ეცდება, არ დაიჯეროს თქვენი მონაწილეობა პრემიერის მკვლელობის დაგეგმვაში, ერთი კითხვა გაუჩნდება, თუ პრემიერ-მინისტრი სხვამ მოკლა, არ უნდა გასჩენოდა პრეზიდენტს სურვილი, რომ საქმე კი არ შეენიღა, არამედ მკვლეელი ეპოვაო... ხომ არ დავიჭიროთ ვინმე დამაჯერებელი მოტივებით და ყველაფერი ვალიარებინოთ?

– ენას ძვალი არ აქვს მინისტრო „ვ“, მაშინ იტყვიან, რომ პრეზიდენტს თავისი დანაშაულის სხვისთვის შეტენვა აქვს განზრახულიო. ვინმე რომ დავიჭიროთ, შეიძლება უფრო მეტი რამე გამოიშვდეს! რისკები გაიზრდება. ამიტომ უნდა გადაწყვიტოთ რა უკეთესია, პრეზიდენტზე ჰქონდეთ ეჭვი და ჩვენ თავი განზე დავიჭიროთ თუ ბრალდებულის თავგანწირულ თავისმართლებებს შევეჭვიდით! სწორი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ! წარმოგიდგინია, რა გველის ნინ? ხვდები, რა არის ძალაუფლება, როცა ველარავინ გელობება? როცა ადამიანები იძულებული იქნებიან, დაიჯერონ, რომ მხოლოდ შენი დადებული აგურით შეიძლება შენება? მხოლოდ შენ შეგიძლია ყველა ბედნიერების წყაროდ იქცე? როცა მშობრ-მწყურვალნი შენი დანახვით დაპურდება? ახლა უკეთესია ამ ძალაუფლებაზე ვიფიქროთ! ამის შემდეგ სურვილი გაგიჩნდება, რომ მარადიულად იცხოვრო. გაუძლებ ამ ცდუნებას მინისტრო „ვ“? – ჰკითხა პრეზიდენტმა.

– ასეთი ძალაუფლებით ერთი დღით ცხოვრებაც მარადიულობაა, ბატონო პრეზიდენტო!

– ისევ ლაფსუსები გვაქვს! გამოჩნდა ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ დინახა, როგორ გადმოასვენეს კონსპირაციულ ბინასთან ცხედრები მანქანიდან და სადარბაზოში შეიტანეს. იმავე შენობის მაცხოვრებელია. არასასურველი ადამიანია, მაგრამ ახლა აღარ არსებობს ადამიანი, რომლის მოშორებაც აუცილებელია, – ამბობდა მინისტრი „ვ“, – ამიტომ გავეცი განკარგულება, რომ დაცვის წევრებმა გამოძიებას ჩვენება მისცენ, თითქოს უბედური შემთხვევის შემდეგ, როცა ბინაში შეაღწიეს და პრემიერ-მინისტრი მეგობარ მამაკაცთან ერთად იხილეს, დაიბნენ და უხერხულობის დასაფარად გვამების ბინიდან გამოტანა გადაწყვიტეს. ამას არაპირდაპირ, ორაზროვნად იტყვიან, უხერხული სცენა რომ იგულისხმებოდეს. ადამიანებმა რომ გაიზრონ შინაარსი და ასეთი დაბნეულობის გამო გვამების ბინიდან გამოტანა გასაგები გახდეს. თუმცა, გამოტანისთანავე მიხვდნენ, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება არ იყო და გვამები ისევ ბინაში დააბრუნეს. ამით, ერთი

მხრივ, ისევ გავამახვილებთ ყურადღებას, რომ ჩვენ უხერხულობის დაფარვას ვცდილობდით და, მეორე მხრივ, იმ მეზობლის მონათხრობსაც გავაბათილებთ, რომ გვამები ბინაში მანქანიდან შეიტანეს.

– კარგია მინისტრო „ვ“, კარგი გადაწყვეტილებაა, მაგრამ რაღაც აკლია. კიდევ სხვა ადამიანი შეიძლება გამოჩნდეს, რომელიც ახალ საფეიქრალს გაგვიჩენს და როდემდე უნდა ვითვალთ ეს ახალ-ახალი ლაფსუსები! – ამბობდა პრეზიდენტი, – უკეთესია, ის ადამიანები იპოვოთ, რომლებიც იტყვიან, რომ პრემიერ-მინისტრი უშუალოდ მე მოვკალი, მაგალითად, თავში საფერფლის ჩარტყმით, ვილაცამ იქნებ ისიც დაინახა, როგორ დაესხნენ თავს პრემიერ-მინისტრის მანქანას და ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. რაც უფრო მეტი ისტორია გავრცელდება, რაც უფრო მეტად აბსურდული იქნება ეს ვერსიები და დაიბეჭდება პრესაში, მით უფრო მეტი წონა მიეცემა ჩვენს მხარდამჭერ დასკვნას, რომ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ვერაფერი აღმოაჩინა ისეთი, რაც შეენიღა და დაგვამოდა ჩვენი გამოძიების ვერსიას პრემიერ-მინისტრის უბედური შემთხვევით გარდაცვალების შესახებ!

– საფერფლის თავში ჩარტყმის ვერსია ყველას მოსწონს, ბატონო პრეზიდენტო. გაზეთებიც წერენ ამაზე და უბნის ბიროებზეც ლაპარაკობენ. პოლიტიკურმა პარტიებმაც კი დაიწყეს ამ თემის განხილვა. კომიკური სახე მიიღო თემამ! ბრიყვებად და არადა-მაჯერებლად გამოიყურებიან ტაბლოიდები. მაგრამ ჩვენმა დიდმა მეგობარმა იციან, რომ ეს ყველაფერი პროპაგანდაა და რაც უფრო მეტად ვიმართლებთ თავს პროპაგანდით, მით უფრო მეტად ვხვდებით მათზე დამოკიდებულებას. – თქვა მინისტრმა „ვ-მ“.

– აი, ზუსტად აქ არის საჭირო შორსმჭვრეტელობა, – უპასუხა პრეზიდენტმა. – დიახ, ისინი უფრო მეტად და მეტად გამოგვიყენებენ ერთმანეთის წინააღმდეგ და ეს ნიშნავს, რომ ჩვენც შეგვიძლია გამოვიყენოთ ორივე ჩვენს სასარგებლოდ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ეს ხანგრძლივი პოლიტიკური თამაშია, იმდენად ხანგრძლივი, რომ ამ დროსთან მიმართებაში მალე პრემიერ-მინისტრის საქმე აღარ იქნება არანაირი კომპრომატი, რადგან ისინი ჩვენი თანამოაზრეები და თანამზრახველები გახდებიან. აი, ასეთი ძალაუფლების ფორმულა მინისტრო „ვ“. და მერე ფაქტები დაუჯერებელი გახდება! მერე ვინც დაიჯერებს, რომ წინააღმდეგობრივი ფაქტები, მართლაც წინააღმდეგობრივი იყო, პოლიტიკისთვის მარგინალურად გადაიქცევიან. პრემიერის სიკვდილზე ისე ილაპარაკებენ, როგორც დეკარტის მონამვლაზე, მას ხომ მაინც ფრანგ განმანათლებლებს ადარებდნენ, მაგრამ აღარავინ დაიჯერებს მკვლელობის ისტორიას, ვისაც პოლიტიკური და საზოგადოებრივი თითმკვლელობა არ მოუწევდა.

– რა თქმა უნდა, ბატონო პრეზიდენტო, ვინ დაიჯერებს, რომ ამ ყველაფერს ჩვენ ვგეგმავდით, თუ ამას დიდი ქვეყნები არ დადასტურებენ?! აღარავინ დაიჯერებს! ეს ხომ დიდი ქვეყნების თანხმობის გარეშე დაუჯერებელ სიგჟედს გამოჩნდება! ისინი კი არაფერს დაადასტურებენ, რადგან ამ საქმეში თავიანთი მონაწილეობის დადასტურებაც მოუწევთ.

– ასეა, მინისტრო „ვ“, ადამიანები გულუბრყვილობები არიან. მათ სჯერათ, საყოველთაოდ აღიარებული ქრისტეს აღდგომის, მაგრამ მართლა რომ დაინახონ მკვდრეთით აღდგომა, ამას არაფრით დაიჯერებენ! – თქვა პრეზიდენტმა და მინისტრ „ვ-ს“ გახედა, რომელიც გონებასახვილურად ჩაფიქრებულიყო. – გაიძევა ბევრია პოლიტიკაში, მაგრამ მდაბიოები ჩინებული გაიძევერები არიან. ისინი თავიანთი მდაბიობის კომპენსირებას საუკეთესო გაიძევერებით ცდილობენ, – გაიფიქრა პრეზიდენტმა.

– ყველა ფიქრობს და პასუხს ვერ პოულობს, „სიამის“ სკოლა უფრო მაგარია თუ „კაგებესი“, მაგრამ პრეზიდენტი ორივესთან ერთად მაგარია. საკამათოც არაა, – თავისთვის გაიფიქრა მინისტრმა „ვ-მ“.



ევეს რა დროის მანქანა

ხომ არ ისურვებ, რომ დაბრუნდე და ფანჯრიდან დაინახო უწინდელი შენივე თავი?

გინდა, უცქირო, უკვე დაშვებულ შეცდომას როგორ გაიმეორებ, შეხვალ და აგებ მერე პასუხს უკვე მომხდარზე, უფროსო ევა?

„მან დაიფიცა დიდი ფიცით და რაც წარმოსთქვა, იქცა იმად, რაც მართლა მოხდა.“¹ და გადაკეტა მომავალი.

შენ იმნამს ოდენ მონა იყავი, მაგრამ უეცრად შეიგრძენი სამოთხის ჩიტნი როგორ დაფრენდნენ, კვეთდნენ დინებას, გაკვირდებოდნენ. ან, იქნებ, სულაც ანგელოზები იყვნენ ისინი. ახლა კი იცი, თქვენ იყავით ის უკანმხედი ანგელოზები, შენ და პრუდენსი – შენი მფარველი ანგელოზი, სიბრძნით ყველასგან გამორჩეული.

EVE IN THE TIME MACHINE

Would you go back and look through a window at your old self? Would you watch yourself make the same choice? Would you step in and take over, older Eve?

„She swore a great oath and what she said became what really happened“² and closed the future. You were a slave in that moment,

But you had a sudden sensation that birds of Paradise were in the air in a tree across the stream, observing you. Perhaps it was even angels. Now you know those angels were you, looking back: you and Prudence, your guardian angel.

სვენების ვაშლი

ბრუნავს ჰაერში მომლოდინედ მოქანავე სიცარიელე. ჩვენება-ვაშლი.

ის უარზეა, დარჩეს ადგილას. გვედევს, სადაც წავალთ, რათა ნამდვილ საქმეს მოგვწყვიტოს.

GHOST APPLE

A round emptiness dangles in the air Still waiting. A ghost apple is hanging there.

It refuses to stay put. It follows us wherever we go distracting us from our proper work.

ქარვის ვაშლი

ფუტკრების მარადიული ზუზუნი და გასაოცარი ჩრდილი ბაღში შემოკრული სამი ხე.

პირველს ეჭირა ახალი წითელი ხილი და ასე დაარქვეს „ვაშლი“. ის აშკარად კუჭისთვის იყო განკუთვნილი, ამიტომ ჭამდნენ. ჯერჯერობით კარგია. როცა მეორე ხესთან მივიდნენ, ისინი აღარ იყვნენ მშვიდი ასე გადაყარეს ვაშლები და დაუშვეს ლპობა. ხის ძირში გაიზარდა ხის სახლი. სასიამოვნო იყო იქ წასვლა ვაშლ-კონიაკის მისამაში მაგრამ ამ ხეს არავინ დაჭრიდა. ან შეჭამეთ მისი ხილი. როდესაც მივიდნენ მესამე ხესთან, შეარყიეს იგი, მაგრამ შემდეგ ერთი ვაშლიდან ხელები უკან გამოსწიეს და დატოვა რხევაში. ისინი გაიქცნენ. მათ ყოველთვის შეეძლოთ უკან დაბრუნება მოგვიანებით. მაგრამ გზა ნემსების ტყეში დაიკარგა და წლები გადავიდა მასზე. წლების შემდეგ, ჭიქა ღვინოზე, დაიმახსოვრებდნენ ამას და იკვებდნენ: ეს იყო ყველაზე დიდი ვაშლი ოდესმე! და ყველაზე წითელი! ეს იყო ასეთი დიდი! არა, ამხელა! ეს არ ჰგავდა შენს ფერმკრთალ თანამედროვე ხილს. და კვენისთ, ჩვენ რომ აგველო, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. მართლაც, დიდი ხნის წინ იქნებოდა შეჭამული და დავინწყებულ. ეს ვაშლი იყო ვაშლი, რომელიც გაცურა და დაკარგული ბაღი მხოლოდ, ალბათ, სამოთხეში არსებობს ან სხვა ხმელეთზე – არა აქ. ცდილობდნენ. ვაშლის ფორმის გოგრა გამოკვეთეს და შიგნიდან ანთო ცოცხალი სანთლით. ცოტა ხნით ეს სასიხარულო შესხენება იყო, მაგრამ ის იყო ძალიან ახლოს და ძალიან შორს ორიგინალური წითელისგან იყოს რაიმე სხვა, გარდა შემამოფოთებელი. შემდეგ გამოკვეთეს ვაშლის ქვის გამოსახულება და დაადგინა იგი ღვთისმსახურებად. მათ შესთავაზეს თეთრი ვაშლის ყვავილის ტოტები, მაგრამ ფუტკრებმა იცოდნენ განსხვავება და მოშორდნენ. და ბოლოს, მათ აირჩიეს ფიჭვი, დაელოდნენ წვეთი წვეთი, და მთელი ძალით წარმოაჩინა მათი ვაშლი. თაფლისფერი ქარვა მათ ფანტაზიას აფრქვევდა და საბოლოოდ, აიღეს და მიიღეს იგი.

AMBER APPLE

The everlasting hum of the bees And the startling shade in the orchard Enclosed three trees.

The first held fresh red fruit and so they named it „apple.“ It was plainly meant for the stomach, so they ate. So far, so good.

When they came to the second tree they weren't hungry anymore So they threw down the apples and let them rot. A wooden outhouse grew up at the foot of the tree. It was pleasant to go there in the apple-brandy miasma But nobody would prune that tree or eat its fruit anymore.

When they came to the third tree, they shook it, but then pulled back their hands from the single apple And left it swinging. They wandered away. They could always wander back later. But the path was lost in the forest of needles And the years rolled over it.

In after years, over a glass of wine, they would remember it, boasting: That one was the biggest apple ever! And the reddest! It was this big! No, this big! It wasn't like your pale modern fruit. And, with a sigh, If only we had taken it Everything would have been different.

Really, it would have been eaten and forgotten long ago. That apple was the apple that swam away And the lost garden exists only, perhaps, in Paradise or on some other terrestrial plane- not here.

They tried. They carved a pumpkin in the shape of an apple and lit it from within by a living candle. For a little while, it was a glad reminder but it was both too close and too far from the original red To be anything other than disturbing.

Then they carved a stone image of the apple and set it up as for worship. They offered it branches of white apple blossoms but the bees knew the difference and stayed away.

Finally, they chose a pine, awaited a drop of sap, and pictured their apple with all their might. Honey-colored amber licked up their imagining and then at last they took it, and had it.

ოჯახის ქალის ზეყოლი მოღერს

სანოლები – არეული, არეული – თმა, სადილი კი უკვე მზად მაქვს, აღარ უნდა თქმა!

The Victory Song of the Ordinary Housewife Beds not made Hair's a mess But dinner's in the crockpot-- Yes!

ყითხვები

ეს ლამფა ხომ კარგად გინათებს? სითბოც ხომ ჩაგირთე, კარგია? კითხვებს ესვამ, შენ კი ფლობ პასუხებს. მაგრამ იმ პასუხებს არ ამბობ, უთქმელად შენთვისვე ინახავ.

პალტო ხომ გაცვია, აცივდა. ფოლაქებს ხომ იკრავ ბოლომდე? შენ სულ მოგზაურობ მე – აქ ვარ, მე ვშიშობ, არ მითხრა ტყუილი, უბრალოდ, სიმშვიდის გულისთვის.

სად მივალთ? ეს შავი კოსტიუმი კარგია? მოვასწრებთ შინ მოსვლას, ვიდრე დაღამდება? რომ ნახო, თმები მითხელდება. ვერც ამჩნევ, რადგანაც დამჯდარი მიყურებ, დამჯდარი მიყურებ. ვიცი, საზრუნავი ბევრი გაქვს.

როდის დაბრუნდები, რომ მნახო? მიფრინავ? მგზავრობ მატარებლით? მიჰყვები ავტობუსს, ნავს, ტაქსის? დაცდა მე არ მიჭირს, უბრალოდ, არ მიყვარს, როდესაც მტოვებენ. მე ვიცი, მთლად მართო რომ ვიქნები იმ ღამით, როდესაც სული აღმომხდება.

იცი კი, სად დადე ანდერძის ასლი რომ მოგეცი?

მაცადე, სულ წუთით მაცადე, მაცადე, ვიდრე აბს მივიღებ. ვშიშობ, დამიფრინებ მაშინვე და ვცდილობ, კითხვები მოვასწრო. მოდი, მესაუბრე რამეზე, მინდა საუბარი გავწელო, მინდა ძველებურად, რომ ვიყო მე შენი სამყაროს ნაწილი.

QUESTIONS

Is the lamp bright enough for you? Is the heat turned up right for you? I have questions. You have answers. But you won't tell them to me. You keep them for yourself.

Are you wearing your coat? Did you button up your coat? You travel all around and I stay here. I'm afraid you might tell me a lie just for some peace and quiet.

Where are we going? Is my black suit okay? Will we be back by the end of the day? If you look at me you'll see my hair is thinning but you won't notice that if you sit down too. Sit down too. I know you have things to do.

When are you coming back to see me? Will you come by plane, train, bus, boat, or taxi?

I don't mind sitting here alone but I don't want to be left out. I know well enough when I really will be alone: on the night my soul is required of me.

Did you put away your copy of my will? Wait, wait for a minute, wait, while I take my pill. I'm afraid you will forget me before then and so I throw out a question again. Let's have a conversation, let's converse. I still want to be part of your universe.

წრსვითარნი რისცხენიას

შენ შორს იყავი, როცა ინეკი სასიკვდილო სარეცელზე. მე ვერ შევძლებდი შენთან მოსვლას და შენც ველარსად ვერ წახვიდოდ.

მითხრეს, გეღვიდა და არსებობდა გადარჩენის შესაძლებლობა, მე დაგინახე ეკრანიდან.

გონი არ გქონდა, მერე მცნობდი, მერე გონი გეკარგებოდა, მერე ისევ მცნობდი, მერე კი უცებ თვალები აატრიალე და გამოგიჩნდა თეთრი გულები ჩამქრალ სახეზე.

მერე მობრუნდი და ჩვენ თვალებით გადავებით და ერთმანეთს ვუზიარებდით სიყვარულსა და მონატრებას და მწუხარებას.

მივხვდი, დარჩენა აღარ გელოდა.

ვერ მოვდიოდი მე შენამდე და შენც ველარსად ვერ წახვიდოდი. ძალიან ბევრი მილი იყო ჩემგან შენამდე და შენ ტონობით ჰაერი მკერდზე განეზობოდა.

ვთქვი, დაასვენეთ.

როდესაც მითხრეს, რომ წახვედი, ნაიშალა დისტანცია, შენ გადმოფრინდი მაშინ ჩემკენ და სამუდამოდ ჩემთან დარჩები. იმაზე ახლოს, ვიდრე ვიყავით ჩვენ სამყაროს იქითა მხარეს, ამ ცხოვრებაში.

NO DISTANCE

You were far away when you lay dying. I could not go to you and you could not go anywhere.

They told me you were awake and might recover. I saw you in the screen.

You were confused, then you saw me, you knew me You were confused again, you knew me again, then your eyes rolled right up and were only white- no pupil in your dark face.

Then you returned and our eyes nailed together giving and receiving fondness and missing and sorrow

and I understood that you would not recover.

I could not go to you and you could not go anywhere. Too many miles were in my way and tons of air were pressing on your chest.

I said to let you rest.

When they told me you were gone the distance was erased you flew instantly to my side and will always be here now closer than when you were on the other side of this world in this life.

დასასრულ, წიგნის შექმნა შესაძლებელია „ამაზონით“, ამ ლინკის მეშვეობით

https://www.amazon.com/dp/B0CQVTRDR-Z?ref=pe_93986420_774957520

1 ჰომეროსი – „ოდა აფროდიტესადმი“
2 Homer, Ode to Aphrodite

ნიხია სადღოჯალაჟილი

SALVE, იგალია ნეაპოლი

ვისაც არ უნახავს ნეაპოლი, მან არ იცის იტალიის სული – ეს გავრცელებული აზრი მოსმენილიც რომ არ გქონდეთ, ნეაპოლთან პირველივე შეხებისას თქვენში დაიბადება.

ხოლო როცა მოგზაურობას ამ სულიდან იწყებ, ეს ნიშნავს, რომ სამყარომ შენთვის მთელი მადლი გამოასხვია.

ნეაპოლი – სამხრეთ იტალიაში, ვეზუვის მთასა და ფელეგრინის ველს შორის მოქცეული უძველესი ქალაქი, ცნობილი დიდი კულტურითა და ისტორიით, მგზნებარე იტალიური ტემპერამენტით, ფეხბურთის კულტით და შემოქმედვალელებული სიყვარულით, საგვ სიცოცხლის ხმაურით და დღესასწაულებით..

კულტურის სამინისტროს პროექტის „ცოცხალი ნიგნების“ მცირე ჯგუფი იტალიას იენისის დასაწყისში ეწვია. პროექტის ხელმძღვანელი – ქეთევან დუმბაძის და, პოეტისა და „ცოცხალი ნიგნების“ კოორდინატორის – მარიამ ნიკლაურის თაოსნობით, დაიგეგმა ლიტერატურული შეხვედრები ქართველ და იტალიელ მკითხველებთან. თან გვახლდა გადამღები ჯგუფი. მათ ჩვენი მოგზაურობის ვიდეო-ქრონიკაც უნდა შექმნიდათ და იტალიაში დაცული რამდენიმე უძველესი ქართული ხელნაწერის შესახებ დოკუმენტურ ფილმზეც ემუშავათ.

ნეაპოლში გამთენიას ჩავედით. ქალაქის აღმოსავლეთ გარეუბანში დაგვინაგდით, ლეთისმშობლის ტაძრის გვერდით. ტაძარი დაკეტილი იყო. საერთოდ, ნეაპოლში იშვიათად ნახავთ ღია ტაძრებს. უფრო სწორად, უნდა იცოდეთ კონკრეტული დრო, როცა შეძლებთ მათ მოინახულებას. ძირითადად, ისინი საღამოს სუთ საათზე იხსნება. თუმცა, როცა ნეაპოლის ქუჩებში გავშინაურდით და მეტ-ნაკლებად ყველა კუნჭულში ვიხეტივით, ალაგ-ალაგ ღია ტაძრები დილითაც შეგვხვდა.

მოდით, სწორედ ერთი რომელიმე ღია ტაძრიდან დავიწყით ნეაპოლი – დილის შვიდი საათია. შეიძლება ცოტა მეტიც. ქალაქი ღამის ნამთვრალევი ბორგვიდან იღვიძებს. ვნებისა და ხმაურის ლექი ქუჩის კიდევზე ნაგვის ბორცვებზე შერჩენია, გზებსა და გაზონებზე ჭუჭყის ლორწოა გადაღვლილი, ყველაფერს ატყვია სიცოცხლის მკაფიო და უხეში კვალი, ოღონდ მთელი მაგია იმაშია, რომ ეს ყველაფერი კი არ გაძაბავს და განგიზიდავს, პირიქით – წარმოუდგენელი მოლდინით გმუხტავს, წარმოსახვას გიფორიაქებს, თითქოს წინასწარ გრძნობ, როგორ უნდა ამოიძაროს ამ ნაგვისა და ჭუჭყის კვალიდან ახალი, ქათქათა, მოღვარე და მოგუფუნე სიცოცხლე!

სწორედან სარწყავი მანქანის მოკვლევაზე გეგმის – ცოტა ხანში აქვე, შენ გვერდითა და ჩაივლის და გზებს და გაზონებს წყლის ვერცხლისფერ ჭავლს შეასხურებს, რომელსაც მაშინვე ააშრობს ვეზუვის ზურგიდან მძლავრად ამომავალი მზე და გაანათებს ქალაქს ისეთი მხატვრული განათებით, როგორც

რითაც ხელოვნების მუზეუმებში გაანათებენ ხოლმე უძველეს და უძვირფასეს ექსპონატებს.

ნეაპოლიც ექსპონატია, ოღონდ ცოცხალაა შორის ყველაზე ცოცხალი.



ლი. ძველებრძნულად „ახალ ქალაქს“ ნიშნავს და მისი საიდუმლოც ალბათ ისაა, რომ ყოველ დილით ნაგვიდან ჩვილივით იბადება, სიცოცხლის უკიდურესი სიხშირით ცხოვრობს და ღამით თავისივე ცეცხლში იბუგება.

ჰოდა, ნაგვიდან დაბადებული სიცოცხლის ჩვილის ნახვა თუ გინდათ, დილით გაღებულ ტაძარში უნდა შეხვიდეთ. გარეთ რომ უკვე გინახავს, ხმაური რომ ძაღლებს ელვისებური სისწრაფით იკრებს, ამ დროს კიდევ უფრო მეტყველია ტაძრის სიჩუმე. თითქოს აი, იმ ჩვილს უნახავებენ, საუფლო ძღვენად სიჩუმეს მიაგებენ... ვდგავარ იოანე ნათლისმცემლის ტაძრის კედელში და მორიდებით ვათვალიერებ სულ რამდენიმე ადამიანს, ამ დილაუთენია აქ რომ შეკრებილა. გულისყურს თუ დაძაბავ, მათ გულისხმასაც გაიგონებ, ისეთი მეტყველია აქ და ახლა მათი განმარტობა...

ცოტა ხანში სიცოცხლის ჩვილი ძაღლებს იკრებს და სიმარტოვიდან გარეთ გამოდის. გარეთ კი ახალი ღმერთია, ნეაპოლის დიდი და დაუფიწყარი ღმერთი – ფეხბურთი და მარადონა. რამდენიც ტაძარია (და ნეაპოლში ყოველი ფეხის ნაბიჯზეა ტაძრები), იმდენივე – მარადონას კულტი – ფოტოებით და ბანერებით დაწყებული, ბარელიეფებით, ობელისკებით და ღამის სამლოცველოებით დამთავრებული. მარადონა მათი სიყვარულია, მათი განხორციელებული ოცნება.

და ახლა უკვე ხეივა კვარაცხელია! გული გვიფრთხილავს ხვიჩას ყოველი ფოტოს დანახვისას. ჩვენს ქართულს რომ ყურს მოკრავენ, ნეაპოლელებიც სიხარულით გვეგებებიან. რამდენიმე მალაზიაში ღამის საჩუქრადაც გამოგვატანეს ის, რაშიც ფული უნდა გადაგვხადა – ეს ყველაფერი ხვიჩას გამო. ჩვენი ემიგრანტები დაუფრებელი ისტორიებს ყვებიან – როგორ გადარჩა ერთი კონტროლიორის ჯარიმას, როცა ამ უკანასკნელმა შეიტყო, რომ ქართველი იყო; როგორ აუმალდათ წარმოდგენა დამქირავებელთა თვალში, ისევ და ისევ ხვიჩას თანამემამულეობის გამო და ასე შემდეგ...

ჩვენი იქ ყოფნის დროს ხვიჩა საქართველოში იყო, ყოველ დღე და დღეში სამჯერაც მადლობას ვუთვლიდით ჩვენს ვარსკვლავს ამ ყველაფრისათვის. გამარჯვება ხვიჩას და ყველა ადამიანს, ვინც თავისი საქმით საქართველოსაც ასახელებს!

მარიამ ნიკლაურმა თბილისშივე იზრუნა და ნეაპოლის ორ მუზეუმში ბილეთები დაჯავშნა – სამეფო სასახლისა და არქეოლოგიურ მუზეუმებში. ორივე მათგანი იმდენად მასშტაბურია, რომ ერთ დღეში მათი დათვალიერება წარმოუდგენელია, ამიტომ დროსაც სწორად ვანაწილებთ. ლიტერატურულ შეხვედრამდე ცოტათი დრო გვაქვს და მას მთლიანად ქალაქის გაცნობას ვუთმობთ.

სამეფო სასახლის ბიბლიოთეკაში დაცულ უძველეს ხელნაწერებს შორის ერთ-ერთი ჩვენი გადამღები ჯგუფის ინტერესის ობიექტია – იტალიელი მისიონერის, ქართველებზე შეყვარებული და ქართული ენის უზადლოდ მცოდნე მნიგნობარის – ბერნარდო ნეაპოლელის ხელნაწერები. მე-17 საუკუნის მოღვაწე ბერნარდო ნეაპოლელი საქართველოში 1661 წელს ჩამოვიდა და ათი წელი დარჩა. მან ქართული ენა შეისწავლა, ხელნაწერ ნიგნში 12 ქართულ ზღაპარს მოუყარა

თავი, თარგმნა სასულიერო ლიტერატურა (მათეს სახარების რედაქცია).

ერთ პატარა ყუთში მოქცეული ეს ფასდაუდებელი განძი თავდაპირველად ავსტრიელმა ქართველოლოგმა მუხარდტმა აღმოაჩინა. ხელნაწერთა ნუსხა კი, იტალიაში არსებულ სხვა სიძველეებთან ერთად, მიხეილ თამარაშვილმა შეადგინა. ბოლო პერიოდში იტალიაში დაცულ ქართულ ხელნაწერებზე ნაყოფიერად მუშაობს მეცნიერი გავა შურაია, რომელმაც ზუსტად გამოიფრა და საბოლოოდ დაადგინა საბიბლიოთეკო ერთეულთა რაოდენობა.

სწორედ ეს საუზრე-ყუთი გაიხსნა საქართველოდან ჩასული გადამღები ჯგუფის კამერების წინ. რეჟისორ თამარ მახარაძის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი იტალიაში დაცული ქართული საგანძურის შესახებ მაყურებელმა შემოდგომაზე იხილა.

ზღვის ყურეში არეკლილი ვეზუვი პომპეის ტრაგიკული ისტორიას ასხენებს ყველას. დაეშვები სანაპიროსკენ, უახლოვდები ვეზუვის ხედს და ფიქრობ, როგორ იქნებოდა რომის იმპერიაში ეს ერთ-ერთი უმდიდრესი და უღამაზესი ქალაქი ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, იმ საბედისწერო ღამეში, იმ უკანასკნელი ღამის წინ?.. როგორ კვდებოდნენ ქალაქები, როგორ ფერფლებოდნენ ერთ ღამეში, როგორ ცურავენ ცეცხლის ტბებში, რათა ამ წარღვნასა და ცოდვის ტრიუმფში მესხიერების ხომალდებით სამყაროს დვრიტა გამოიტანონ?..

ეს ფიქრები ნეაპოლის არქეოლოგიურ მუზეუმში უფრო მძაფრდება – უძველესი დროიდან მოყოლებული, ნეაპოლის ისტორიულ-კულტურულ არტეფაქტებთან ერთად, აქ პომპეის ნათებიცაა დაცული – მხატვრობის, ხელსაქმის, ყოფისა და მითოსის ამსახველი, წარმოუდგენელი ტალანტისა და შესაძლებლობების ნაყოფი, მშვენიერებისა და სიყვარულის ნახავი ხელოვნება!..

ამ შთაბეჭდილებებსაც ვულკანური სიმძლავრე აქვს – ცოტა ხანს მუზეუმის ბაღში სულს ვითქვამთ, ყვავა ვსვამთ და ბაღის სიჩუმეში ვყურდებით.

ჩვენ გვერდით ახალგაზრდა კაცი ზის, ფანქრით ბლოკნოტში რაღაცას იწერს. დროდადრო თვალს ვაპარებ, ამასობაში უკან მოუხედავად ავსებს ფურცლებს. სადაც, გულის სიღრმეში მშურს კიდევ მისი ძალისხმევით, ამ შოკის-მომგვრელი ემოციის ასე სწრაფად გადმოცემა რომ შეუძლია (დავასკვნე, რომ აქ და ახლა მუზეუმში მთავრობით უნდა წერდეს, აბა რატომ აირჩევა საწინააღმდეგავერდ აქაურ ბაღს?). ფიქრობ, მე რამდენი დრო დამჭირდება იმისთვის, რომ რასაც ახლა ვგრძნობ, ტექსტად ვაქციო. ან შეეძლებ კი? ან საერთოდ, არის კი საჭირო?.. ერთადერთი, რაც გულით მინდა ისაა, რომ ყველას მიეცეს შესაძლებლობა, ცხოვრებაში

ერთხელ მაინც მოხვდეს ნეაპოლში, ესტუმროს ამ მუზეუმს და საკუთარი თვალთა იხილოს ყოველივე. ჩვენ, დედამიწელები, ერთმანეთის კულტურას უკეთესად უნდა ვიცნობდეთ. ერთმანეთზე უფრო აქტიური წარმოდგენა უნდა შევიქმნათ. იქნებ მერე მაინც გადავიფიქროთ ომი და ბრძოლა, ეს გაუთავებელი ქიშპობა და ძალადობა, იქნებ ყველანი იმ აზრით განვიმსჭვალეთ, რომ სამყარო მართლაც მრავალი ფერიტაა განფენილი და თითოეულ ქვეყანას და ხალხს აქვს რაღაც ისეთი, რითაც შეუძლია იამაყოს და რაც მთავარია – სიკეთე მოუტანოს დანარჩენ პლანეტას!..

პომპეის აჩრდილებო, გამაღობო სიყვარულის ამ მუხტისათვის, ჩემში რომ აღდართი!..

ლიტერატურული საღამო ასე ლოვდება – იტალიელ მკითხველთან ერთად ქართველ ემიგრანტებს უნდა შეხვედეთ. სიურპრიზიც გველოდება – ქართველები ბარიდანაც კი ჩამოდიან საგანგებოდ ჩვენთვის. შეხვედრა ღია სივრცეშია, ბუნებრივ დეკორაციად – ძველი კიბე, რომელიც ორ ქუჩას ერთმანეთთან აერთებს. მაყურებელი კიბეებზე განთავსდა. ქართველებმა საქართველოს დროშა გაშალეს. წარვადგინე ნიგნს – „როცა ქვეყნებს სძინავთ“ – ქართულ-იტალიური პოეზიის კრებული. ეს კრებული რამდენიმე წლის წინ გამოიცა საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით და მასში შევიდმა ქართველმა და შევიდმა იტალიელმა პოეტებმა ქალმა მოიყარა თავი. კრებულის შემდგენელი და ორივე ენაზე მთარგმნელი ნუნუ გელაძე გახლავთ – უნიკალური ადამიანი, მთარგმნელი და ლიტერატორი, მილანში არსებული ორგანიზაცია „სამშობლო გული სატარებელი“-ს ხელმძღვანელი. თუ ვინმეზე შეიძლება დღეს ითქვას „მოღვაწე“ – ერთ-ერთი ნუნუ გელაძეა. მის მიერ საქართველოს სახელით, საქართველოსა და იტალიის კულტურული კავშირების ეგიდით გაკეთებული საქმე ურიცხვი და უძვირფასესია.

შეხვედრას იტალიელი პოეტებიც ესწრებიან – რიტა პაჩილიო და ანიტა პისკაცი. საღამო მარიამ ნიკლაურის ლექსით იხსნება „რა ვუთხრათ შვილებს“. ეს ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ლექსია ემიგრანტებისთვის, სხვა ქალაქებშიც ნაკითხებენ მას მარიამს, სხვა ლექსებთან ერთად.

ბევრი ემოცია გროვდება, ცრემლიც, სინანულიც... აქაც და სხვა ქალაქებშიც, სადაც ემიგრანტებს შეხვედებით, ეს შეგრძნებები სულთან გვექნება, მათი გაცნობის და მათთან ჩახუტების სიხარული, სი-ახლოვის მშობლიური განცდა, თითქოს ერთმანეთს დიდი ხნის ნაცნობები გადავეყარეთ... მე მათთვის თვალეში ბოლომდე შეხედვაც მიჭირს. დანაშაულის აუხსენი განცდა მაქვს, თითქოს ისაც კი მეუხერხულემა, რომ კარგად ვარ, რომ რამდენიმე დღეში ისევ სამშობლოში დავბრუნდები... არადა ეს მხოლოდ ჩემი კომპლექსია, არა-ნაირად მათგან პროვოცირებული. პირიქით, მათ ზუსტად ის უნდათ, რომ ჩვენგან კარგადყოფნის ამბები მოისმინონ, მთელი გულით უხარიათ, მხიარულობენ, დღესასწაულს გვიქმნიან. ჩემი ქართველები, ჩვენი ქართველები... დედეები, დეები, ცოლები და ბებიები, მინიდან წლობით გადახვეწილი, საკუთარი ჯანმრთელობის და ნერვების ფასად ოჯახების გადამრჩენლები.

ოჯახებისაც და სამშობლოსიც... ჩემი ანტიპენელოპეები – საკუთარი ოდისეა აქვთ, დედამინის ზურგზე, ქარსა და წვიმაში ხეტიალობენ პატრუქივით მბუჭტავი იმედით – შინ

ერთგულად ელოდებთ თავიანთი ოდისეის.

ოდისეისი – საქართველო... ნეაპოლი კი ღამის ზეიმში იძირება, ფუნქიკულიორიდან ზღვამდე ცეცხლნაკიდებელი გულებით ნათდება – ეს ის გულეზია, მთელი დღის მანძილზე რომ ძაგდაგებდნენ, ბობოქრობდნენ, მოტოვითა და ავტომობილებით დაშუიონდნენ, გაჰვიონდნენ, ჩხუბობდნენ და კოცნაობდნენ, ეს გულეზია – მათზე გამავალ არტერიებში ნეაპოლის სისხლი რომ ჩუხჩუხებს, ქალაქს წამდვილი რიტმით რომ ამოდრავებს, სიცოცხლის უსწრაფესი რიტმით.

ღამის ცეკვას იწყებს ნეაპოლი! სცენაზე გამოდიან ბომჟები და ავაზაკები, მაფიოზები და შეყვარებულები, ცხვება მილიონობით პიცა და ფოკაჩა, შუშუხუნებს ლიმონჩელოს ნაკადულები, ყიფინებს ეკრანს მიჭყლებული ფეხბურთის გულშემატკივართა ლეგიონი, ესპანური კვარტლებიდან მოყონავს მარისუანის და ჰაშიმის ორთქლი და ვეზუვის ნაპირებიდან დაძრულ ზღვის ნისლს ერევა!

ვინთქმები ნეაპოლის შუალა-მეში, პატარა სოციალურ კაფეში, სადაც ისე ახლოსა ერთმანეთთან მაგიდები, რომ უნებურად ზურგით ან მკერდით ენებები მეზობელს, მაგრამ ეს იქ არავის ანუხებს, შენი სურვილების უფლებები ბოლომდე დაცულია – სადამდეც გინდა, იმ საზღვრამდე შეხვალ ვენებლის და ემოციების ოკეანეში, ბოლოს და ბოლოს, უცნობებთან ერთად მაინც იმერებ! კარაკეს წამყვანი ჩვენს სუფრასთან მოდის, მიკროფონს სათითაოდ აჩერებს ყველას, ეს მიკროფონი ჩამოტარებითაა – მთელ კაფეს მოივლის. არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად სწორად მღერი ან საეროდ მღერი თუ არა, მთავარია, უარი არ თქვა და ეს საყოველთაო დღესასწაული არ გააფუჭო, მთავარია ამ ერთიანობას შეერწყა, მის ნაწილად იქცე, ენდო როგორც საკუთარ სხეულს, სხვა-ნაირად ზეიმი არ შედგება!

ნეაპოლმა ემოციის სიღამაზეზეც დამაფიქრა. მისი ბოლომდე, დაუზოგავად გამოხატვის ესთეტიკაზე. თუ ერთიანობის ეს რიტმი და არსი ვერ იგრძენი, ჭარბად გამოხატული ემოცია უშნოდ გაგედლაზნება. ხოლო თუ ამ დღესასწაულს სისხლით იგრძნობ, მისი გამოხატვის კონტურებსაც თვითონ გიკარნახებს, ქმედების ნატვიცხე ეს-კიზს შეგაქმნევინებს და რაც მთავარია, საკუთარ თავს ხელახლა გაგაცნობს.

შესაძლოა ამიტომაც ვგრძნობთ იტალიელები და ქართველები სულიერ ნათესაობას – ემოციის, ტემპერამენტის ეს ხარისხი გვაახლოვებს. სიცოცხლე იქამდე და ისეთი სიხშირით, თითქოს ეს იყოს უკანასკნელი დღე შენთვის...

ეს გიჟური ღამეც გასრულდა. დილით რკინიგზის სადგურში მივიდვართ – გზა გენუისკენ გვაქვს. ვემშვიდობები ნეაპოლს, ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელ ქალაქს, სადაც ათი დღეც კი გადამშულად რომ ვიცხოვროს, შეიძლება გულიც გამისკდეს, მაგრამ სადაც ყოფნის ოთხდღიანამ ამბავმა მომცა იმაზე მეტი ძალა და სიყვარული, ვიდრე რამდენიმე თვის ან სულაც წელიწადის ხანგრძლივობამ...

„ნახე ნეაპოლი და შემიდე თუნდაც მოკვდი“ – ამ მთარულ ფრაზას დღეიდან ასე ვთარგმნი – ნახე ნეაპოლი და მოკვდი ალტაცებისაგან, რათა უფრო დიდ სიყვარულში დაიბადო.

►► ბაზრძიმება იქნება

იზა ჩანტლაძის საიუბილეოდ

ნარმატიკული რთვალი

იზა ჩანტლაძე, გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საიუბილეო თარიღი შეუსრულდა. მე წინ მიდევს არაჩვეულებრივი წიგნის ხელნაწერი, რომელიც მეცნიერის დაბადების დღისადმი მიძღვნილი. ვკითხულობ მას და დიდი აღფრთოვანება მეუფლება. წიგნის რედაქტირება მავალია, მაგრამ ამ ფუნქციის შესრულებას ვერ ვახერხებ. მასალა სულის ერთი ამოთქმით ნავიკითხებ. რატომ? გულწრფელად ვიტყვი – **ამგვარი წიგნი ჯერ არ მინახავს**. მეცნიერის ღვაწლი აღმატებულ ხარისხშია შეფასებული. შეფასებაც არის და შეფასებაც. **ეს იზა ჩანტლაძის აპოლოგია... სრულიად დამსახურებული აპოლოგია...**

გამოსაცემად გამზადებული ტექსტის კითხვის გასრულების შემდეგ გენიალური ვაჟა-ფშაველას სტრიქონი ამეკვიტა:

„ეგრე კარგი თუ იყავი, რად არ ვიცოდი, იქაო?“..

საიუბილეო კრებული „ღვანლი“ იზა ჩანტლაძის ცხოვრების, მისი შემოქმედების ყოველი კუთხით შეფასების შემცველია. როდენ სასიამოვნოა, რომ როგორც ქართველი, ისე არაქართველი საზოგადოების დამოკიდებულება ქალბატონი იზას შემოქმედებისადმი თითქმის ერთგვარია: **აქ არის მალაქა შეფასების კასკადი. ასე აფასებენ მასწავლებლებიც და კოლეგებიც, ასე აფასებენ მონაფეხებიც. წიგნს შეიძლება პროფესორ იზა ჩანტლაძის შემოქმედებით რთველი ვუნდოთ, წარმატებული რთველი... როინ მეტრეველი**

„ღვანლი კათილი მომიღვანაბის“

ასაკი მაშინ შეენის ადამიანს, როდესაც მას ნამოღვანარის ნათელი ადგას და ნაყოფმსხმოიარე კვალი მისდევს...

ჩვენი უცხოელი კოლეგების აღიარებას იმიტომაც ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ მათ არ სჩვევიათ და არც სჭირდებათ, გადაჭარბებულად შეაფასონ ამა თუ იმ პიროვნების დამსახურება. საქართველოს ერთგული გულშემმატკივარი და მეგობარი, გერმანელი ქართველოლოგი ვინფრიდ ბოედერი გასულ საიუბილეოდ ასეთი პროფესიული ნიშნადობით ულოცავდა ქალბატონ იზა ჩანტლაძეს:

„თქვენი იუბილე ჩვენ, ქართველოლოგებს, ბუნებრივად გვძალავს შესაძლებლობას, სვანოლოგიის მომავლისა და მის წინაშე მდგარი გადაუდებელი საჭიროებების შეფასების მიზნით, **კიდევ ერთხელ მონივნებით განვიხილოთ და შევაჯამოთ თქვენი მოღვაწეობა და, წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, მომავლისთვის დასკვნები გამოვიტანოთ. პირადად მე თქვენს დამსახურებათაგან აქ მხოლოდ რამდენიმეს გამოვყოფდი განსაკუთრებულად, რომლითაც თქვენ, როგორც ერთ-ერთმა მცირეთაგანმა საქართველოში, მეცნიერებას სვანური ენის შესახებ სიცოცხლე შეუნარჩუნეთ.**“

შემთხვევითი, ცხადია, არ გახლავთ სვანურის შესწავლაში ქალბატონი იზას მნიშვნელოვანი წვლილის წინ ნამოწვევა. ერთია ის, რომ ამით ხაზი გაესმის სვანური ენის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართველ ენების სტრუქტურისა და ისტორიის კვლევაში და ამ სფეროში იზა ჩანტლაძის სახელი უკვე იკავებს თავის ღირსეულ ადგილს. მაგრამ მთავარი ამ შეფასებაში არის ის, რომ ამ რაკურსით კონცენტრირებულად ჩანს მეცნიერის პიროვნების რამდენიმე არსებითი ასპექტი...

აპოლოგია არაბული

ქალბატონ იზას!

თსუ არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი დაბადების დღეს ულოცავს გამოჩენილ და გამორჩეულ ენათმეცნიერს, დიდი არნოდ ჩიქო-

ბავას მონაფესა და მისგანვე ხელდასმულ ქართველოლოგს, სვანური ენის უბადლო მკვლევარს – ქალბატონ იზა ჩანტლაძეს.

იზა ჩანტლაძემ 1967 წელს დაიწყო მუშაობა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში. სხვადასხვა დროს იგი გახლდათ ამავე განყოფილების უმცროსი, უფროსი და წამყვანი მეცნიერთანამშრომელი, ხოლო 2017 წლიდან ქალბატონი იზა ქართველურ ენათა განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელია.

დიდა იზა ჩანტლაძის დამსახურება ქართველურ ენათა კვლევის სფეროში. მის კალამს ეკუთვნის 13 მონოგრაფია და 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა ანალიზს ვერაფრით დაიტევს ერთი პატარა მილოცვითი წერილი. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს, უმთავრესს – იზა ჩანტლაძის ნაშრომებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველურ ენათა შესწავლის ისტორიაში. მრავალმხრივია ქალბატონი იზას სამეცნიერო ინტერესების სფეროც და კვლევის დიაპაზონიც – ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია, ეტიმოლოგია, ონომასტიკა, ტოპონიმიკა, შედარებითი ენათმეცნიერება, ეთნოლინგვისტიკა, კულტუროლოგია... მისი ნაშრომები გამოირჩევა ორიგინალური თეორიული დებულებებით. მათში გაანალიზებულია ქართველურ ენათა აგებულების მრავალი საკვანძო საკითხი...

ცალკე უნდა ითქვას იზა ჩანტლაძის პიროვნული თვისებების შესახებ: იგი უებრო მეგობარია, გაჭირვების ტალკევის, მისი თანადგომის იმედი ყოველთვის რომ უნდა ჰქონდეს მოყვასს (ნებისმიერ საქმესა და სიტუაციაში). ქალბატონი იზა ამავდროულად სამაგალითო დედა და ბებიაა.

იოლი არ არის, 60 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართველურ ენათმეცნიერებას პრეფესორის ხარისხში ნაშრომებით. ეს მხოლოდ ერთეულების ხვედრია. მიზეზი ამისა კი (პროფესიონალიზმის ისეთი რანგისა, როგორსაც ქალბატონი იზა ფლობს) მარტივია – სიყვარული მშობლიური ენისა და სამშობლოსი.

არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი კიდევ ერთხელ ულოცავს ღვანლმოსილ მეცნიერს დაბადების დღეს და უსურვებს ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლეს.

ქალბატონი იზას სამეცნიერო მოღვაწეობის გზა ჯერ კიდევ „გასავლელი მინდორია“... პროფ. **ნანა მაჭავარიანი** – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი; პროფ. **მედეა ლლონტი** – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე; პროფ. **ვაჟა შენგელია** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელი, დირექტორის მრჩეველი; პროფ. **თამარ ვაშაძე** – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

გმირობის ტოლფასი შრომა

ქალბატონი იზა ქართველოლოგიის არაერთი მიმართულების შესანიშნავი მკვლევარია. ქართული გრამატიკა, სვანური და მისი დიალექტები, კოდორული მეტყველება, ანთროპოლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, დიალექტოლოგია, ონომასტიკა – ესაა მიმართულებები, რომლებიც იზა ჩანტლაძემ არაერთი შესანიშნავი ნაშრომით გაამდიდრა.

უდავოდ გმირობის ტოლფასია ის შრომა, რაც ქალბატონმა იზამ და მისმა ჯგუფმა გასწავა კოდორული სვანურის შესწავლის საქმეში. ამ პროექტით ქალბატონმა იზამ დაიღის ხეობის მეტყველების უნიკალური დოკუმენტური მასალა და ლინგვისტური ანალიზი შესძინა ქართველოლოგიას...

2006 წლიდან ქალბატონი იზა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორია და აქტიურადაა ჩართული როგორც სასწავლო-საგანმანათლებლო, ისე კვლევით საქმიანობაში. განსაკუთრებით



იზა ჩანტლაძე

უნდა აღინიშნოს უკანასკნელ პერიოდში იზა ჩანტლაძის კვლევითი ნაშრომები, რომლებიც ეხება დიდ ბრიტანეთში, ბოდლეს ბიბლიოთეკაში, დაცული სვანური ხელნაწერების შესწავლას. იზა ჩანტლაძემ აღზარდა 15 მკვლევარი, მათგან 11 ფილოლოგიის აკადემიური დოქტორია. დღეს მისი მონაფეხები აგრძელებენ სვანური ენის სწავლებას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის ილიას უნივერსიტეტშიც.

ვუსურვებთ ქალბატონ იზას მხნეობას, ახალ-ახალ წარმატებებს, საინტერესო სამეცნიერო ნაშრომებს და ათეული წლების მუხლჩაუხრელი შრომისა და სამეცნიერო ღვაწლის სათანადოდ დაფასებას.

ნიმო ღობოჯგინიკა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

სიტყვის გულიდან თაფლის გამოღება

უნივერსიტეტი, პირველი კურსი, ფილოლოგიის ფაკულტეტი, სადაც ისინიც აბარებდნენ მისაღებ გამოცდებს, ვისაც ლიტერატურა უყვარდა და ისინიც, ვინც ზუსტ მეცნიერებას გაუბოძა. ამიტომ ძალიან ბევრი სტუდენტი იყო თავიდანვე თვალში მოსახვედრი, გამოვარჩევი ერთი – ბოტიჩევი „გაზაფხულს“ ჰგავდა, მეორე – ნითური და კობტა იყო... მოკლედ თმა შეკრეჭილი, ევროპული გარეგნობის ლალი, თხელი, ხვეულთმიანი ლეილა, „აპონელი“ ია – ყველანი მზის სხივებით მიზიდვდნენ; მათ შორის ერთი სულ სხვა ფერისა იყო, მუქი, მყავალივით შავი თვალები ჰქონდა, რაღაცნაირი – სიღრმიდან წამოსული, დამაჯერებელი ხმა; ამიტომ თავიდანვე დავმეგობრდით მე, იზა და ნინო (ცაცო).

იზა ჭკვიანი იყო, ანალიტიკური ტვინი ჰქონდა, მე და ნინო უფრო ემოციურები გახლდით – ამიტომაც გავიყავით მერე: მე და ნინო ლიტერატურას შევრჩით, იზამ ენათმეცნიერება აირჩია, მაგრამ პოეზიას ისე გრძნობდა, რომ ჩემს ლექსებს ხშირად ვუკითხავდი და ხელნაწერებს ვჩუქნიდი კიდევ... გისურვებ, ჩემო იზა, მთელი სიცოცხლე მუშაობას, სიტყვის გულში ყურებას და იქიდან თაფლის ამოტანას, რასაც საკუთარ თავსაც ვუსურვებ. ჩვენ, ალბათ, ის ადამიანები ვართ, ვისაც შეგვეფერება ერთი ცნობილი გამოთქმა: **„სანამ ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი!“**

ლია სტურუა

გულის სიღრმეში ვერღატაული...

კარგად მახსოვს ამ ღვთისნიერ ქალბატონთან პირველი შეხვედრა: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტთა საენათმეცნიერო წრის სხდომაზე, რომლის მეცნიერ-ხელმძღვანელი ქალბატონი იზა გახლავთ, მოხსენებას ვკითხულობდი. აღვლევსაგან ხმაკანკალებულმა ჩავიკითხე ნაშრომი და შემდეგ პროფესორ იზა ჩანტლაძის შეფასება უდიდეს ჯილდოდ აღვიქვი. ხუთი წლის წინათ მსგავს სიტყვებს, რასაკვირველია, არ ვიმსახურებდი, მაგრამ დღეს ჩემთვის ნათელია ქალბატონი იზას ჭკუმიარტად პედაგოგიური ტაქტი. მას შემდეგ მოყოლებული, **თილისმად დამყვება ჩემი დამკვალანებლის თითოული რჩევა, შენიშვნა-შესწორება და დარეგება.**



ქალბატონი იზას შვილთაშვილი – 4 წლის საბა ბენდიანიშვილი

ქალბატონო იზა, დღეს, როდესაც უკვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი ვარ, **პირველად მეძლევა საშუალება, საჯაროდ მოგვეფერო და გითხრათ მადლობა იმისთვის, რომ თქვენი აღზრდილი** (ამ სახელით მე ძლიერ ვამაყობ) **კი არა, აღსაზრდელი ვიქნები დიდხანს.**

იკა ჭითაშვილი

საუკუნო ახალგაზრდობა

პატივცემულო ქალბატონო იზა, გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ სიკეთესა და წარმატებებს ყველა დარგში! **ასაკზე არაფერს ვეტყვით, მხოლოდ იმას, რომ წარმოუდგენლად ახალგაზრდა მეჩვენებით გარეგნობითა და ენერჯით, წლები სულ არ გემჩნევათ. თეორიულად რომ მივუდგე ამ ვითარების ახსნას, ვიტყვი: აჰა, აქ გურიამ და სვანეთმა ერთად იმოქმედა და შედეგად მივიღეთ საუკუნო ახალგაზრდობა. რაც უნდა ითქვას, ჩემთვის და ჩემი სტუდენტებისთვის თითქმის დაუჯერებელია, რომ უკვე ოთხმოცს გადააბიჯეთ.**

ჩვენთან დიდი პატივისცემით იხსენებენ თქვენს დაუღალავ შრომას ენათმეცნიერებაში, ქართველოლოგიასა და განსაკუთრებით სვანური ენის კვლევის დარგში. თქვენ ხომ დიდი გივი მაჭავარიანის მოწაფე ხართ და არაჩვეულებრივი ნიჭითა და უნარით განაგრძობთ მის მიერ დაწყებულ საქმეს!

სულითა და გულით გილოცავთ იუბილეს, გისურვებთ უღვევ ენერჯიას თქვენს ნაყოფიერ მოღვაწეობაში და ურყევე ჯანმრთელობას! **გერმანიაში თქვენ სამართლიანად მოაპოვეთ შესანიშნავი მეცნიერის სახელი არა მხოლოდ სვანური ენის გამოკვლევის სფეროში, არამედ საერთოდ ქართველურ ენათა შესწავლის ფართო დარგში.** თქვენი ენათმეცნიერული ნაშრომები სამაგალითოა ჩვენი სტუდენტებისა და კოლეგებისათვის, ის ძვირფასი შენაძენია, რომელიც მყარ საფუძველს უქმნის მომავალ კვლევა-ძიებას.

ჰაინც ფინრიხი

მისიის გაგრძელება

ქალბატონი იზა იმყოფებოდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში მომუშავე იმ მკვლევარებს შორის, რომლებიც 1975 წელს გავიცანი, მაგრამ 1965 წლიდანვე (ასპირანტურის დამთავრების შემდეგ) იზას კალიბრს (ანუ კომპიუტერიდან) ედინება შეუწყვეტილი რუნიშანდობლივი მეცნიერული სტატიებისა, რომელთა უმრავლესობაც სვანური ენის სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილი. გარდა ამისა, იზას მეცნიერულ მოღვაწეობაში ბოლო მეოთხედ-საუკუნე გამოდგა განსაკუთრებით ნაყოფიერი, ვინაიდან მისი ხელმძღვანელობით გამოიცა ორი მონუმენტური და მნიშვნელოვანი წიგნი, სახელდობრ, „კოდორული ქრონიკები“ (გამოკვლევებითურთ), ტომი 1, თბილისი (2007-10 წწ.) და „კოდორული სვანური“ (გამოკვლევები, ლექსიკონი, ტექსტები) (2020 წ.).

ამიერიდან, როცა კავკასიოლოგები სვანურზე იფიქრებენ, თავში, ალბათ, მოუვათ არა მხოლოდ სახელ-გვარი ვარლამ თოფურია, არამედ იზა ჩანტლაძეც. დაე, მისცემოდეს მას ჯანმრთელობა და საკმარისი ძალ-ღონე, რომ შეძლოს მამულიშვილური მისიის გაგრძელება!

ჯორჯ ჰიუიტი

თეატრის მსახური

თეატრის მსახური

ვიდრე ზეინაბ მეტრეველის ციფრალურ თეატრზე დანერგულ ლექსს განვიხილავდეთ, მცირე ექსკურსი გავაკეთოთ მე-2 საუკუნის საქართველოში.

დავით აღმაშენებელმა, რომელიც თურქულენოვანი ხალხის – ციფრალის სიძე გახლდათ, 900 წლის წინ, XII საუკუნეში, ახლანდელი რუსეთის ველბიდან, (ისინი ყაზახეთიდან ბესარაბიამდე მომთაბარებოდნენ) საქართველოში ჩამოსახლდა 200 ათასამდე ციფრალი და დავითის ისტორიკოსის ცნობით, ქვემო ქართლში, სავარაუდოდ, პერეთსა და ჩრდილოეთ სომხეთის მიდამოებშიც დაამკვიდრა.

ხოლო ციფრალის დაყენება ადგილთა სამათოდ მარჯუეთა დედანულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმეოცი ათასი, ესენი განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა“.

დიდი მეფის მიზანს წარმოადგენდა ანტითურქული ფრონტის შექმნა, ქართული ლაშქრის მეტად გაძლიერება და თურქ-სელჩუკთა გაყრა საქართველოს მოსაზღვრე რეგიონებიდანაც: შირვანიდან, რანიდან, ანისიდან, განჯიდან, მეფის სტრატეგიამ გაამართლა. ციფრალელები იყვნენ ველურები, გაუნათლებლები, ურწმუნოები, უსუფთაონი, მათ ომი, რბევა, კაცთა კვლა იტაცებდა. ისინი საქართველოს სამსახურში ჩადგნენ და „დიდგორის ბრძოლაში“ თავზარი დასცეს მაჰმადიანებს. მოგვიანებით ციფრალთა ნაწილი დარუბანდის გზით მშობლიურ სტეპებში დაბრუნდა, ბევრი XIII საუკუნის დასაწყისში, მონღოლების ურდოში გაითქვიფა, ცოტა გაქრისტიანდა და გაქართველდა.

თურქული მოდგმის, ურჯულო ციფრალეებისა და ქრისტიანი ქართველების თანაცხოვრება ვერ იქნებოდა ყოველთვის მშვიდობიანი, მათ შორის შუღლსა და დაპირისპირებაზე მეტყველებს ცნობილი ქართული-ხალხური ზეინაბ – „შემომეყარა ციფრალი“, რომლის სიუჟეტი მკაფიოდ ჩანს ციფრალის უმაღლური და ყაჩაღური ბუნება, რომელსაც მუხრანის მკვიდრმა ქართველმა მისცა საუკეთესო პური, ხორცი, ღვინო, გაუმადლარი ამას არ დასჯერდა და მისი ცოლის დასაჯუთრებაც მოინდომა, რის გამოც ტოლერანტმა, მაგრამ ამაცმა ქართველმა, ციფრალი ცხენიანად ხმლით გაჭრა შუაზე და თვითონაც დაიღუპა. ეს არის პირველი ზეინაბი ციფრალურ თეატრზე, რომლის 36 ვარიანტით თავმოყრილი ქართული ხალხური პოეზიის IV ტომში. ბუნებრივია, ზეინაბის კონკრეტული ავტორი და დანერგის თარიღი უცნობია, ზოგადად ის ქართველი ხალხის შეთხზულია.

2014 წელს „საბას“ წიგნების ეგიდით გამოიცა ანთოლოგია – „ციფრალი“ ქართულ ლიტერატურაში.

ციფრალური თემის ყველაზე ცნობილი ლექსი „ციფრალის პაემანი“, გოგლა ლეონიძეს 1928 წელს, 28 წლის ასაკში დაუწერია. პოეტი მიჰყვება იმ საუკუნის ზოგად ტენდენციას და ზეინაბი ახდენს ბარბაროსული ძალის ესთეტიზებას, რის შედეგადაც მხატვრულ ნაწარმოებს საგმირო-სამიჯნურო შინაარსს სძენს, სადაც მთავარი გმირი არის ტაძრების მღვანე და ქართველთა ცოლებზე მონადირე ციფრალი, რომლის გადმოსახედიდანაც არის ლექსი დანერგული. მან სხვისი ცოლის ზადავით ტკბილი ბაგენი დააგემოვნა, რის გამოც ქალის ქმარმა თავი შუაზე გადაუჩეხა. პოეტი მკითხველს ველური, მომაკვდავი ციფრალისადმი თანაგრძნობის განცდით მსჯელობს. გოგლას

აქვს იმავე წელს დანერგული მეორე ლექსიც „ციფრალური ლამე“.

გრ. რობაქიძის ლექსი „ვეფხვბობის თვე“, პოეტური შურისძიება უნდა იყოს ციფრალეების მიმართ. ზეინაბის სიუჟეტის მიხედვით, ტექსტის გმირი ციფრალეობა ქალს იტაცებს და ცხენზე ავაზასავით შემოიგდებს, შემდეგ უნაგირზე მის დაყურსულ ტანს გაშვარ-თავს და სხეულს ულომნის ველური უინით. მხატვრულ ტექსტს აქვს ეროტიკულ-სადის-ტური პასაჟები:

*ხტოდნენ ატეხილი, ავხორცი მუხლები.
და თვითონ ნადირი გავხდი, მე ნადირი.
კოცნა-კბენა იყო, ალერსი-დანა,
მუცელი გაზნეკილი, პირით გადავადარე
და მარჯვენა ნაპირიდან, ქალი გაფატრული
ვესროლე მდინარეს.*

1995 წელს დაინერგა გოდერძი ჩოხელის 7-სტროფიანი ლექსი „მე და ციფრალი“. მწერალი ლექსის სიუჟეტს აგრძელებს ქართველისა და ციფრალის ბრძოლის შემდეგი ეტაპიდან და საუბრობს ჭრილობებიდან სისხლმთქრიად ქართველის პოზიციიდან. მკვდარი მეგონა ციფრალი და მანაც ნამოდა, ძალა მოიკრიბა, ახლა პური, ღვინო და ცოლი კი არ მთხოვა, ესენი ისედაც მისი იყო, უკვე ჩემი მამულიც მოუწდაო. ამ პოეტური ტექსტის იდეური ჩანაფიქრი გაფრთხილებაა, შენს მიწაზე ჩამოსახლებულ უცხოტომელს, შესაძლოა, შენი სრულად შეჭმის მადა გავხსნას და ყველაფრის წართმევა მოგიწოდოს, თუ ანგარიშგასაწევ ძალად არ მიგიჩნია:

*მამული მთხოვა – ვერ მივეც,
ის ჩემი წინაპრისია,
შემომიტია ციფრალმა,
ჯიქურ და ჯიქურ მიტია,
ვახ, თუ მამული მას დარჩეს,
მე გავხდე საძრახისია,
იმედი მრჩება ღმერთისა,
და ჩემი პაპებისია.*

2008 წელს დაიბეჭდა მანანა ჩიტიშვილის 5-სტროფიანი ლექსი „ციფრალის კიდევ ერთი გახსენება“ (მას ამ ციკლის სხვა ლექსებზეც აქვს), სადაც ციფრალს გაკვირვებული ეკითხება ქართველის ცოლი: მართლა გიყვარდი თუ უბრალოდ ხიფათს ეძებდი, განა ვინ იყავი ისეთი, რომ დრომ დღემდე ვერ გაგახუნაო? რატომ არის, რომ ქართული ხმლით მოგკლეს, მაგრამ შენდამი შუღლი და ჯიბრი დღემდე აქვთ ქართველებსო? ლექსი ასე მთავრდება: „კიდევ ათას წელს ლექსში დამიცდი, თუმც, შენი ტროფობა, ალბათ, მეძრახვის, მაგრამ მუხრანთან ვარ და არ ვიცი, ქარი უსტვენს თუ... კვლავ შენ მეძახი.“

2009 წელს გამოქვეყნდა ლაშა გახარია 6-სტროფიანი ლექსი „ციფრალის მონანიება“, ლექსში ციფრალი გოდებს იმ შედეგებზე, რაც მას ქართველთან ცოლზე ცილობამ მოუტანა. ყველაფერს მაცდუნებელ ქალს აბრალეებს, რომელსაც შეუძლია კაცი თვისებებ ააბრიალოს, როგორი იარაც არ უნდა გჭირდეს, ხოხბის ხორცი, თავთუხის პური და მუხრანის ღვინო კი არა, ქართველი ქალის თმა თუ მოგარჩენსო. ლექსი ასე სრულდება:

*ვაი, რა შარი ყოფილა,
ვაი, რა შარი ყოფილა,
რა ბინდისფერი ყოფილა
ქართველის ცოლზე ცილობა.
ქვიშას ვჭამ მუხრანისასა,
ათასგანა მჭირს ჭრილობა.*

2013 წელს გავრცელდა თამაზ ნიკლაურის ლექსი „ციფრალის მონოლოგი“, ავტორი ავითარებს განსხვავებულ ნარატივს, სადაც ციფრალი თავის ბედზე ნუხს, განაწყენებული საყვედურობს ქართველებს, ისეთი არაფერი დამიშავებია, რომ ხმლით აგეკუნეთო:

*ცოლ-ქმარი შემომეყარეთ,
მავალნი შორი გზისასა,
მე შავ ჯოჯობეთს შემეყარეთ,
ვაი, ბედს ციფრალისასა.
რა მოხდა, თმა ჩაგიშალეთ,
ის კოცნაც რაღას გიზამდა?
ისეთი რა დავიშავე,*

*ქმარმა რო ხმალი მისართა?
გამრიყეთ გაურიყავი,
ახსოვთ გზათა და მინდორთა,
მაშინ კაი ყმა ვიყავი,
თურქებს რო ვჩეხდი დიდგორთან?!*

2014 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ლელა მეტრეველის ლექსი „ცოლის პასუხი“, საუბარია ციფრალს შემკვდარი მუხრანელი კაცის ცოლზე. პოეტი ორიგინალურად გადმოსცემს ცოლის პასუხს, რომელიც ქმარს საყვედურობს, – ქართველებს ზედმეტი ზნეკეთილობა გლუპავთო. ლექსში ვკითხულობთ:

*ორივემ სული დალიეთ,
ცრმელი მიღებდა ნამწამებს...
მე არავისთან ნავსულვარ,
ცილი ტყუილად დამწამებ.
სახე-მზიანი, სამზეო –
შვი მანდილით ვიფარე,
ათასი წელი გიგლოვე,
მანაც ვერ გადაგიყვარე.*

ზეინაბის ოსტატმა, ედუარდ უგულავამ 2016 წელს გამოაქვეყნა რუსთველური დაბალი შარით დანერგული ლექსი „ციფრალი“, რომლის სიუჟეტი მკაფიოდ არის დახატული ქართული ტრადიციების შეურაცხმყოფელი ციფრალი, რომელიც ბილიკს მიუყვება მუხრანის საზღვართან მდებარე წყაროსკენ, სადაც ქართველი ცოლ-ქმარი ზის. მათ ურწმუნად დაეწვევა პურ-ღვინოზე და შეზარხოშებული ქალს დაუწყებს ლომნას, რის გამოც სტუმართმოყვარე და დარბაისელი ქართველი კაცი თავს ხმლით გაუჩეხავს, პოეტი ზიზღს გამოხატავს სხვისი ცოლის პატივის არმცემელი ველურისადმი და ბოლოს მომაკვდავს შეუკურთხებს კიდევ:

*შენივე სისხლში იხრჩობი, ვით არ
შეზარავ მწახველს.
ხრიალებ, თურქულენოვან სასიდან
სიკვდილს ანთხევ.
მიღიხარ, მიგაქვს ჭრილობა, სული შავ
ლანდებს ებრძვის.
იქ – შენი დამხვედრისაც... და აქ – შენი
დამტირებლის!..*

რაც შეეხება ზეინაბ მეტრეველს და მის კონკრეტულ ლექსს, პოეტი კონფლიქტურ ზონაში ცხოვრობს, გორის სოფელ ფლავის მკვიდრია, პირველი რომანი „საყდრის ჩიტები“ 2004 წელს გამოცა, მეორე რომანი „ჯვალათის მუნდირი“ – 2014 წელს. ლიტერატურული საზოგადოების დიდმა ნაწილმა გაიცნო 2017 წელს, როდესაც „პოეზიარზე“ განთავსდა მისი შთამბეჭდავი ლექსები. თავმდაბალი პოეტის გამოჩენას აღფრთოვანებით შეხვდნენ პოეზიის მოყვარულები. მალე დაბეჭდეს არაერთ ლიტერატურულ ყურნალ-გაზეთში.

ზ. მეტრეველმა ციფრალის თემაზე დანერგული საუცხოო ლექსი, თავის გვერდზე 2019 წელს განათავსა, შემდეგ „პოეზიარზე“ დაიდო, ალბომში „21-ე საუკუნის ჩემი ანთოლოგია“, შემდეგ დაიბეჭდა „ჭოროხში“ და „აფინაჟში“.

ჩემი ფიქრით, აღნიშნული უსათაურო ლექსი, რომელსაც ასე დავასათაურებდი „სასჯელი ერთი კოცნისთვის“, ამ საუკუნეში დანერგული ციფრალური ციკლის საუკეთესო პოეტური ნაწარმოებია, სათქმელის სიახლითა და ორიგინალურობით, განსხვავებული ხედვით. მოგესხენებათ, რომ ლექსის თემა უკავშირდება მეტად ცნობილი ხალხური ზეინაბის მოტივს, რომელზეც ათობით ლექსია დანერგული, შესაბამისად ძნელია კიდევ დანერგო და იმიტირებოს, მეორეულობის განცდა არ დაუტოვო გემოვნებიან მკითხველს, ნიჭია, შესთავაზო სრულიად ცინცხალი ვარიანტი, სადაც ქალი ნუხს, იმის გამო, რომ ქმარი ციფრალის ერთი უნებლიე კოცნის გამო დაშორდა და ეჭვიანობის ნიშნად დაასამარა მათი სიყვარული.

შინაარსის მიხედვით, ის საბედისწერო დღე დიდი ხნის ჩავლილია. ქალი ფეხშიშველი დგას მუხრანთან და იქ გარდაცლილი სიყვარულის საფლავს დაეძებს. ლექსს თავიდან ბოლომდე სევდიანი ჰანგი გასდევს. ყოფილ ქმარს ახსენებს იმ

მთვარიან ღამეს, როდესაც ციფრალს გადაეყარნენ აზმორებულ არაგვთან ახლოს. ციფრალი მუხის მორიგით იდგა, როდესაც ელვამ ცხვრის დუმის ქონით გაზინტლული წვერიანი სახე გაუნათა. მერე იხსენებს ხმლების ტაკების ხმას და ნამიან მოლზე დაცემას, იმ ზაფრას, რაც ქმრის შესაძლო დაღუპვას და ციფრალის მკლავებში მის აღმოჩენას მოჰყვებოდა. მეტაფორების ოსტატი ბრძოლის სცენას გვიხატავს გაუნუმეორებელი ტროპის სახეებით, სიუჟეტის მიხედვით, კვდება მხოლოდ ციფრალი. ქალი იხსენებს, როგორ ცდილობდა ვნებით გალემილი ციფრალის მოშორებას, რა დროსაც „ციფრალმა ქართლის მინდვრები ყაყაროს თმებით ნამოთრია“ და ტურებით ლოყაზე მანაც მისწვდა საკოცნელად, რა დროსაც გაითიშა და გონს მოსული ქმრის მკლავებში გახეული ჩოხის მასრასავით ეგდო. ამასობაში კი ციფრალი აუკუნია მის ქმარს.

მკითხველი უდღეესი პატივისცემით იმსჯელებს, როდესაც მოკლულ ციფრალს ცოლ-ქმარი სამარეს გაუთხრის და დამარხავს, მტრობის მიუხედავად, მის გვამს ნადირის შესაჭმელად არ დატოვებს მიწაზე დაგდებულს, დამარხავს მათ სიყვარულთან ერთად. შემდეგ კი ქალი მონატრებულ მშობლებთან მიდის და გული ტკივილით ისე აქვს გაჩეხილი, როგორც მის ყოფილ ქმარს ციფრალის ხმლისგან ბეჭი, თუმცა ამ ნასვლას ნანობს და უბედურნი ფიქრობს, რომ ათასი წელია სასჯელს იხდის ციფრალის ერთი კოცნისთვის.

ფორმის თვალსაზრისით, ყველაზე გავრცელებული 5/5 საზომით დანერგული 10-მარცვლიანი ლექსია. მშვენიერი რითმები აქვს, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე არაკეთილხმოვან სარიტმო წყვილს. კომპოზიციურად შეკრულია, აქვს ლოგიკურ-აზრობრივი განვითარება, თუ ზეინაბ მეტრეველის ზოგიერთი უხვმეტაფორიანი ლექსი ფრაცემენტულობის, დაუმთავრებლობის და ლექსის თემის ბუნდოვანების განცდას გვიტოვებს, ეს პოეტური ნაწარმოები შეკრულია და აქვს ორიგინალური დასასრული. ნამდვილი ლექსი-დრამაა.

ამ ავტორს აქვს არაერთი ძვირფასი ლექსი და ვფიქრობ, საკმარისზე მეტი დრო, 10 წელი გავიდა მისი პირველი პოეტური კრებულის „ფოთლის ბარათების“ გამოცემიდან. ახალ ლექსების კრებულს დიდი ინტერესით ელოდება მისი ხუთასზე მეტი მკითხველი, რის გამოც უნდა გააქტიურდეს ავტორიც და გამოცემილობებიც.

ნათელი წარმოდგენისთვის ზეინაბ მეტრეველის ლექსის რამდენიმე სტროფს შემოგთავაზებთ:

სასჯელი ერთი კოცნისთვის

*იმ ძველ სატკივარს კვლავ ძვლებს ვუხრავ და
ეკონავ თავთუხებს, ქარის ნალენებს,
კვლავ ფეხშიშველი ვდგავარ მუხრანთან
და სიყვარულის საფლავს დავეძებ.*

*გახსოვს? იმ ღამეს მთვარე გემყარობდა
და ასტეხვოდა არაგვს ზმორება.
ის ციფრალი რომ არ გადაგყვროდა,
ჩვენ რა სიკვდილი გავგაშორებდა.*

*გზის პირას იდგა, ვით მუხის მორი
და როს იელვა ნისლის ძნებს იქით,
მე დავინახე ცხვრის დუმის ქონი,
წვერზე ეკიდა სისხლის წვეთით...*

*მერე, ხმა მახსოვს ხმლების ქნევის და
როგორ დავემხე მოლზე ნამიანს
და გამახსენდა, ხელის ხლებიდან
შეცოდებამდე ხუთი წამია...*

*დღეს სიყვარულის ციხე-საძვალეს
დალენილი აქვს სუყველა კარი
და ციფრალის ხმლით დაჭრილ ნაწნავებს
კვლავ ძაძასავით მიძენდავს ქარი.*

*წყალს ნაჰყვინენ წლები ბებერ ხიდივით,
მეც უშენობას ველარ მოვცილდი...
ათასი წელი სასჯელს ვიხდიდი,
სასჯელს – ციფრალის ერთი კოცნისთვის...*

კანტა სურბულაძე

მამაჩემი, აკაკი სურგულაძე 1913 წლის 24 ივნისს ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედში ნესტორ სურგულაძისა და ნინა ჭანუყვაძის ოჯახში დაიბადა. შემოქმედი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უღამაზესი სოფელია. მამა ამ სოფელში გაიზარდა და იქ გატარებული ბავშვობის წლები მისთვის ცხოვრების უღამაზეს ხანად დარჩა. მას სამი უფროსი ძმა, გიორგი, ბენიამინი და გრიგოლი და ერთი უმცროსი და – ლოლა ჰყავდა. მან მშობლიურ სოფელშივე მიიღო შვიდწლიანი განათლება და სწავლა თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში განაგრძო. 1934 წელს შევიდა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1939 წელს ნარჩინებით დაასრულა. 1940 წელს იქორწინა ეთერ ივანეს ასულ მათევილზე. მათ 1941 წლის 10 ოქტომბერს ქალიშვილი მედეა შეეძინათ, ხოლო 1947 წლის 20 ნოემბერს ვაჟიშვილი მერაბი. მე მათი მესამე შვილი ვიყავი და სანუთოს 1958 წლის 9 აპრილს მოვევლინე. მამა ამ დროს 43 წლის იყო, დედა 36-ის. ჩემი და მედიკო 17 წლის, ძმა მერაბი კი 11-ის. ოჯახში ნაბოლარა ვიყავი. მამა თავისუფალ დროს გვერდიდან არ მიშორებდა ხოლმე. პატარაობიდან სულ თან დაყვავდი. აქედან გამომდინარე, ყველა მის მეგობარს კარგად ვიცნობდი.

დედაჩემს სკოლაში მოსვლა საკმაოდ ხშირად უწევდა პიონერთა სასახლიდან გამომავალი ჩემი დიპლომებისა და სიგელების მისაღებად. სასახლეში მხარეთმცოდნეობის კაბინეტში დავდიოდი, რომელიც ცნობილი პედაგოგი ქალბატონ ირინე მიქელაძე ხელმძღვანელობდა. მამას ეს ძალიან სიამოვნებდა. ვცდილობდი კარგად მესწავლა და იგი ამითაც გამეხარებინა. მისდამი ჩემს დიდ სიყვარულსა და მოკრძალებასაც კარგად ხედავდა და გრძობდა. შესაბამისად მისი ჩემდამი დამოკიდებულებაც პატივისცემითა და ნდობით გამოიხატებოდა. ჩემი სჯეროდა და მენდობოდა.

მამამ უნივერსიტეტს თავისი ცხოვრება მას მერე დაუკავშირა, რაც 1934 წელს ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 57 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა აღმაშენებელს. თავდადებით უყვარდა უნივერსიტეტი და მის მიმართ განსაკუთრებული სათუთი და ფაქიზი დამოკიდებულება ჰქონდა. შეიძლება ითქვას ის მისთვის მეორე სახლი იყო. საახალწლოდ, 31 დეკემბერსაც კი შეივლიდა და ახალ გამარჯვებებს უსურვებდა ხოლმე თავის სათაყვანებელ უნივერსიტეტს. მე რომ ორი-სამი დღე ვერ მივიღოდი უნივერსიტეტში, საყვედურნარევი ტონით გაკვირვებული მეკითხებოდა, „პაატა, ამდენი ხანი რომ არ მიდიხარ, როგორ ძლებ, არ გენატრება უნივერსიტეტი?“

სახლში თავის კაბინეტში, სამუშაო მაგიდის თავზე უნივერსიტეტის დიდი სურათი ეკიდა. ვარაზის ხევიდან გადაღებული მართალი კარგი ფოტო იყო. რამდენჯერ დამიჭირია ამ ფოტოსკენ მიმართული მისი სიყვარულით გამსჭვალული მზერა. ბავშვობიდან ვხვდებოდი და ვგრძობდი, რომ უნივერსიტეტი მისთვის განსაკუთრებულად ძვირფასი იყო. „ჩვენი თეთრი ტაძარი“ – სიყვარულით ამბობდა ხოლმე უნივერსიტეტზე. ხშირად მეუბნებოდა, დიდი ივანეც კი უნივერსიტეტში შესვლისას ქუდას იხდოდა ხოლმეო. აი, ასეთი სათუთი დამოკიდებულება ჰქონდა მას უნივერსიტეტისადმი და თავისი ცხოვრება უნივერსიტეტის გარეშე ვერც კი წარმოედგინა.

იქვე, უნივერსიტეტის ფოტოს გვერდით, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, არჩილ ჯორჯაძის ფოტოებიც ეკიდა. ამ დიდმა კაცებმა მოიტანეს საქართველო დღევანდლამდე თავიანთი მხრებითი“ – მეტყვოდა ხოლმე.

მამა საქართველოს, სამხრეთ კავკასიის და რუსეთის ახალი და თანამედროვე ისტორიის მკვლევარი იყო. ხშირად ამბობდა, მაშინ ჩემი არჩევანი შემუშავდა საქართველოს ისტორიის ამ პერიოდზე, საკმაოდ სარისკო იყო. მეცნიერული მოღვაწეობის ბოლო პერიოდში იგი ქართული კულტურის ისტორიასაც იკვლევდა.

მეუბნებოდა, საქართველოს ისტორიის ჩემთვის საინტერესო პერიოდის ყველაზე მეტად აღიარებული მკვლევარი და დიდი ავტორიტეტი ნიკო ბერძენიშვილია. თავს მისი საქმის ერთ-ერთ გამგრძელებლად მიიჩნევდა. უფროს კოლეგასთან დაკავშირებით იგი იგონებდა: „მას-სოფს 1960 წელს ბატონმა ნიკომ თავის სამუშაო ოთახში დამიძახა (ამ დროს ნიკო ბერძენიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი იყო -ს.ს.). მისი საუბარი

შეხეო ქართველი ხალხის ურად ჩამოყალიბების საკითხს, მოკლედ განმარტა, თუ როგორ ჰქონდა წარმოდგენილი ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი. გამანდო, რომ იგი მუშაობდა ამ საკითხზე და წინადადებაც მომცა, XVIII საუკუნემდე ამ პრობლემას მე მოვეუვლი, XIX-XX საუკუნეები შენთვის მომიწევია და შრომის ასეთი განაწილებით შევექმნათ ერთი მთლიანი მონოგრაფია ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პრობლემაზეო. ასეთ გამოჩენილ მეცნიერთან თანავეტრობას ვინ არ ინატრებდა! კი წინადადება ამ აღმაფრთოვანა და შევუდექი კიდევ მუშაობას“. (აკაკი სურგულაძე, „არდავიწყება მოყვრისა“. თბილისი, 1986, გვ.38);

მამა პროფესიული მეცნიერი იყო. ბევრს წერდა. ამას მის თანდაყოლილ ნიჭთან და შრომისმოყვარეობასთან ერთად, მისი ცხოვრების წესიც განაპირობებდა. დღის 8 საათზე თავის კაბინეტში უკვე სამუშაო მაგიდასთან იჯდა და წერდა. როცა ვმუშაობ და ვწერ სხვა ყველაფერი მაგინყდებო, მეუბნებოდა. უღამაზესი კალიგრაფია ჰქონდა. ერთხელ ვკითხე: „მამა, არ ილღები, ამდენს რომ წერ, თან ასე ლამაზად-მეთქი?“ „რა დროს დალლა, შვილო, იცი, რამდენი რამ მინდა მოვასწროო.“ – მეტყვოდა ხოლმე.

მამას სამუშაო პროცესი 12-ის ნახევრამდე გრძელდებოდა. დროის ამ მონაკვეთში მის კაბინეტში შესვლას დედაც კი ერიდებოდა. აქვე ვიტყვი, რომ, დედა მას ყველანაირად უწყობდა ხელს. ცდილობდა, მუშაობისას ხელი არ შეეგვეშალა. საერთოდ, დედას მამასადმი დიდი მზრუნველობა და ყურადღება მის გარეგნობაზეც შესაბამისად აისახებოდა.

12 საათისთვის მამა უნივერსიტეტში მიდიოდა. ისტორიის ფაკულტეტის დეკანატში იცოდნენ მისი დღის განრიგი და ამის გამო ანგარიშსაც უწევდნენ. შესაბამისად, ცხრილში ლექციებსაც მისთვის მისაღებ დროს უნიშნავდნენ.

მამა უაღრესად დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის პედაგოგიურ მოღვაწეობას. მიუხედავად იმისა, რომ, თვითონ იყო სალექციო კურსის სახელმძღვანელოების ავტორი, ყოველი ლექციის წინ, მაინც დიდი პასუხისმგებლობით ემზადებოდა ხოლმე სტუდენტებთან შესახვედრად. მამას ყოფილი სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მისი ლექციები მართლაც გამორჩეული ყოფილა, რაც შესაბამისად მათ დიდ დაინტერესებას განაპირობებდა. ზოგიერთი მისი შეფასებები და ფრაზები ბევრ მათგანს დღესაც კარგად ახსოვთ. ძალიან უყვარდა სტუდენტობა და ზოგადად ახალგაზრდობა. ამას მის პირად არჩევნი დაცული მათგან მიღებული წერილებიც კარგად ადასტურებს.

ბოლომდე უერთგულა თავის სტუდენტებს 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული მოვლენების დროსაც. ამ პერიოდში მამა ისტორიის ფაკულტეტის დეკანი იყო. 9 მარტის მანიფესტაციის სისხლიანი ანგარიშსწორების შემდეგ დაპატიმრებულ სტუდენტთა შორის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებიც აღმოჩნდნენ. უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტების სტუდენტებს შორის მათი აქტიური მონაწილეობა აშკარად შესამჩნევია იყო. შესაბამისმა ორგანიზებმა უნივერსიტეტის მესვეურთაგან მათი დახასიათებები მოითხოვეს. ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტების დახასიათებების დაწერა მამას დაევალა. უარყოფითი დახასიათებების მიღების შემთხვევაში დაკავებულ სტუდენტთა მდგომარეობა საკმაოდ გართულდებოდა. ფაკულტეტის დეკანმა ყველა სტუდენტზე დადებითი დახასიათებები გასცა. რა თქმა უნდა, მამას ეს არ აპატივს და რამდენიმე თვეში, კერძოდ, იმავე წლის ივნისში, ის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანიდან გაათავისუფლეს. იხსენებდა, აბსოლუტურად მშვიდად შევხვდი ამ ამბავს, რადგან დარწმუნებული ვიყავი ჩემს სიმართლეში უნივერსიტეტისა და სტუდენტების წინაშეო. „რომ იტყვიან, ბატონი აკაკი პირდაპირ გადაეფარა თავის სტუდენტებს და არც ერთი მათგანისათვის რეუმიის თვალში დანაშაულის დამამძიმებელი დახასიათება არ მოუცია. ამისათვის თვითონ კი შევიწროება განიცადა, მაგრამ სხვები რეპრესიებს გადაარჩინა და ისტორიის წინაშე პირნათელი დარჩა“ (ოთარ ჯანელიძე, აკაკი სურგულაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 2023, გვ.28-29);

მე ვარ მომსწრე, თუ როგორ იწერებოდა მამას ბოლო პერიოდის წიგნები. ამბობდა, რომ წიგნები შეიღებოდა არიან და ჩემთვის ყველა ერთნაირად ძვირფასიაო. თუმცა, მას გამორჩეულად მაინც რამდენიმე მათგანი უყვარდა. ესენია: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“, „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნეში“, „ექვთიმე თაყაიშვილი“, „ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები“, „არ დავიწყებ მოყვრისა“, დაბოლოს, ჩვენი ერთობლივი საკითხავი წიგნი: „საქართველოს ისტორია“. „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქაში“ მან ახლებურად შეაფასა XIX საუკუნის პირველი ნახევრის მთელი რიგი მოვლენები და განსაკუთრებით – 1832 წლის შეთქმულება, რომელიც მანამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში რეაქციულ მოვლენად იყო შეფასებული. მამამ ეს შეთქმულება მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საეტაპო მნიშვნელობის დადებით მოვლენად წარმოაჩინა. წიგნში ხაზგასმული იყო, რომ, იდეურ-პოლიტიკურად სწორედ 30-იანელებმა მოუშავეს ნიადაგი ილიას და თერგდალეულებს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსასვლელად. ეს წიგნი, რომ გამოვიდა მე მაშინ 10 წლის ვიყავი. შესაბამისად არ და ვერ მეცოდინებოდა მისი გამოცემის პერიპეტები. მოგვიანებით,

და, მომავლისაკენ ვიციკრებოდი, უკან მოხედვის წუთიერ სურვილს ყოველთვის სჯავბნიდა ახლისკენ სწრაფვა.

და, მომავლისაკენ ვიციკრებოდი, უკან მოხედვის წუთიერ სურვილს ყოველთვის სჯავბნიდა ახლისკენ სწრაფვა.

და, მომავლისაკენ ვიციკრებოდი, უკან მოხედვის წუთიერ სურვილს ყოველთვის სჯავბნიდა ახლისკენ სწრაფვა.



მოგონება მამაზე

როცა ეს წიგნი წავიკითხე და გავაცნობიერე, რა პერიოდში და როგორ იყო დაწერილი, ვკითხე, როგორ მოხდა, რომ ეს წიგნი მამამდელმა ცენზურამ დასაბეჭდად გაუშვა-მეთქი. შევატყე, შეკითხვით კმაყოფილი დარჩა და, აი რა მამამო: 1968 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის 150 წლისთავი აღინიშნებოდა. მამამ წიგნის რედაქტორად თავისი მეგობარი, ბატონი დამიანე გოგობია აირჩია. ისიც სიამოვნებით დასთანხმდა. საქმე იმაშია, რომ ბატონი დამიანე მაშინ „მთავლიტის“ თავმჯდომარე იყო. სწორედ ეს ორგანიზაცია იყო გამოსაცემი წიგნების მთავარი გამომცემელი. თუ მისი თანხმობა არ იქნებოდა, წიგნი დღის სინათლეზე ვერ იხილავდა და გამოუცემელი დარჩებოდა. როდესაც ამ ორგანიზაციის თანამშრომლებმა ნახეს, ვინ იყო წიგნის რედაქტორი, პასუხისმგებლობა მოიხსნეს და ზედმეტი ჩაკრიკიტებისაგანაც თავი შეიკავეს. აი, ასე გადაურჩა მამამ ეს წიგნი ცენზორების გამამადლებელ მუშასა და ზედმეტად დაკვირვებულ თვალს.

მისთვის ასევე ძვირფასი იყო მონოგრაფია – „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“. ამ წიგნს აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია მიენიჭა. მასში შეფასებული იყო „თერგდალეულთა“ მოღვაწეობა ილიას წინამძღოლობით.

მამა ყოველთვის განიცდიდა იმას, რომ, იმ პერიოდში ცენზურის გამო ბოლომდე ვერ გამოთქვამდა თავის აზრს, თუმცა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გარკვეულწილად, ხან პირდაპირ, ხანაც სტრიქონებს შორის, მაინც ახერხებდა ხოლმე თავისი სათქმელის მკითხველამდე მიტანას.

ამონარიდი ჩანაწერებიდან: „ახლა ჩემი ასაკის კაცმა მოგონება უნდა წეროს. წეროს და შეინახოს საიდუმლოდ. იმედი მაქვს, გარკვეულ ხანში ალბათ გამოიდარებს. აი იმ დროისათვის შენს ახლანდელ ნააზრეს სულ სხვა ფასი (სურნელმა) დაეღებოდა. იმ ნათელი დღეების შუქზე უფრო გამოიჩნდება, რა კაცი ყოფილხარ, რა ფიქრები გქონია, როგორი გამბედაობა გამოგიჩენია. მოგონებების წერისადმი სურვილი აქამდეც მქონდა, მაგრამ ეს წუთიერი უინი იყო მხოლოდ. ჩაივლიდა იმ წუთის ფიქრთა ქარავანი და ეს უინიც გაქრებოდა, იგი იძირებოდა ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმეებში. ადრე ბევრი გეგმა მქონ-


და, მომავლისაკენ ვიციკრებოდი, უკან მოხედვის წუთიერ სურვილს ყოველთვის სჯავბნიდა ახლისკენ სწრაფვა.

და, მომავლისაკენ ვიციკრებოდი, უკან მოხედვის წუთიერ სურვილს ყოველთვის სჯავბნიდა ახლისკენ სწრაფვა.

და, მომავლისაკენ ვიციკრებოდი, უკან მოხედვის წუთიერ სურვილს ყოველთვის სჯავბნიდა ახლისკენ სწრაფვა.

და, მომავლისაკენ ვიციკრებოდი, უკან მოხედვის წუთიერ სურვილს ყოველთვის სჯავბნიდა ახლისკენ სწრაფვა.

და, მომავლისაკენ ვიციკრებოდი, უკან მოხედვის წუთიერ სურვილს ყოველთვის სჯავბნიდა ახლისკენ სწრაფვა.



გიონინო ვასარი

1920-2012

გიონინო ვასარი ერთი ფოტო მახსენდება – უბრალოდ ჩაცმული მწერალი განუყრელი უბის წიგნაკითხა და საწერკალმით ხელში...

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებში გიონინო ვასარი თბილისში ხშირად ჩამოდიოდა მშვენიერ მეუღლესთან, ლორა იაბლოჩინასთან ერთად. ერთი ასეთი ვიზიტის დროს ჩემმა მეგობარმა, ცნობილმა დიზაინერმა მადლენ ყუბიტაშვილმა ცოლ-ქმარს...

ეს ის დროა, როდესაც გიონინო ვასარი შემოქმედებით ძიებაშია, ამასთან, ხმაურისანი რომიდან მოშორებული პენიტენციური მეუღლესთან ერთად გადასვლასა და საბოლოოდ პროვინციაში დაბრუნებაზე ფიქრი განუწყვეტლივ თავს დასტრიალებს...

ქათვისან ტომარაკი

ორი ნოველა

ქათვისან ტომარაკის საროსკიპო ეძღვნება მიქლანჯელო ანტონიონის

მის წინ ისევე ის ვენეციური ვილა აღმართულა: უზარმაზარი მართკუთხა შენობა აგურის ფასადზე...

სუთი მონაზვნის ალი – კვალი სადღაც გაქრა. ჩვეულებისამებრ, ყველანი იტალიის სხვადასხვა მონასტრებში გადასვლას: მუდამ ასე ირჯება ვატიკანი, როცა ვინმეს თვალსმიფარება სურს...

ძრწოლით ახედა საპარადო კარის თავზე სახიფათოდ გადმოკიდებულ თეთრ აივანს და ზღურბლს გადააბიჯა. გაასხვინდა, ამ აივნის ქვეშ რა გამაღებელი გახტებოდნენ ხოლმე მონაზვნები...

აი, მოსამართლის მიერ მონასტრის წინამძღვრისთვის დასმული მრავალთაგან ერთი კითხვა: „რატომ არ დაინტერესდები, ვინ გაიღო სახსრები მიუსაფრებისთვის შენობის გასარემონტებლად და გასართობ სანახაობათა მოსაწყობად?“

შადრევნიანი ვრცელი შიდა ეზო გადაჭრა. შადრევანი აფრიკულ მცენარეთა ფართო ფოთლებით მცემული, მომწვანო ფერის წყლით სავსე უამრავი თასით დაემშვენიერებინათ. ირგვლივ, სულ ცოტა, ორმოცი ლეიბი ჩაემსკრივებინათ გასაშრობად. აშკარად პირველი დღე არ იყო, რაც ისინი მიეტოვებინათ. ვილის ყარაული, პატარა ადამიანი პირქუში მზერით, ლპობასთან ბრძოლის გარდუვალობაზე ყბედობს...

ფართო კიბეებით მეორე სართულს აუყვება, ცარიელ, მიტოვებულ შენობას სულგანაბული აყურადებს. მის წინ ვრცელ დერეფანს სადად განწყობილი ოთახები უერთდება: ორი სანოლი, მომცრო კარადა, თევზი, კედლის ნიშაში

თეთრი დოქი. შუაგულ დერეფანში დიდი ტუალეტი, ორანჟერეის მსგავსად, ლუკარნოდან ნათდება. თოკებით ჩამოშვებული, ქოთნებიდან გადმოკიდებული ფართოფოთლებიანი ყვავილები ბუჩქნადა ეფინება მთელ ნრეზე ორნამენტებით მოხატულ იატაკს...

ხის სკამზე ჯდება და ყვავილების საამო სურნელებში ეფლობა. ფართო, ნათელი ჰოლის იატაკზე დიდი, ყვითელნიზილებიანი, დაუდევრად ნახმარი ქრახი დგას. იქვე მარმარილოს ნიღაბა შუაში ნასვრეტით. საიდანაც შენობას, მინისქვეშა კალორიფერით, ჰაერი მიენოდება – ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი.

ქვემოთ სამზარეულოა. უზარმაზარი დარბაზის შუაში მაგიდა დგას საუცხოო ნადიმის ნარჩენებით: მაგრად მოხარული კვერცხები, პურის ნამცეცები, კამოხრული და ჟანგმოკიდებული ყავისფრად შეფერილი ძელები, კომბოსტოს ნაფლეთები, დაობებული კარტოფილი, ღვინისა და შამპანურის ცარიელი ბოთლები; ამასთან, მადის აღმძვრელ ნარჩენებზე მოჭურნული შინაური ცხოველების სკორე. ჩანს, სწორედ აქ გაიშალა საახალწლო სუფრა, რასაც მარიეტი პალუგის იდუმალი გაქრობა, ბოლოს კი მისი ლაგუნაში აღმოჩენა მოჰყვა. ყველაფერი მაშინ დაიწყო, მეთევზე ტომაზო კანინი ტალღებზე მოტივტივე ვილაც ბედერულს რომ ნაწყდა. იქვე, ფსკერიდან კი ყრმა ქრისტეს უამრავი სტატუეტი ამოიღო, ჩანს, მთელი იმ რეგიონისთვის „ქრისტეს ბაგათა“ დასამზადებლად. ამ ფაქტზე სასამართლოში მეორე კითხვა დაისვა, რამაც მონაზვნების საქციელს ჩრდილი მიაცენა: „მართალია თუ არა, რომ ქრისტეს სტატუეტებს მეჭუჭურ ქალთა რძით კვებავდნენ?“

ექვთი არ არის, ცოცხალი ჩვილები დედის მზრუნველობას ითხოვდნენ, მაგრამ როგორც კი დაბერილი მკერდიდან რძის ნაკადი დაიძრებოდა, მას ძიძის კერტებს მიდებული თაბაშირის ბაგები ეწაფებოდა. თუმც მსგავსი რამ ხომ უკვე მოხდა სანტა-მონიკა დი ბელმერის მონასტერში...

და აი, ახალწლის დღეს პალუგით თავისი ჩვილისთვის რძე რომ მოითხოვა და მისთვის წვეთი არ გაიმეტეს, საბრალო ქალს გონება აერიო, ღამე-ღამეში დაქაობებული სანაპიროსკენ გაიქცა, ყრმა ქრისტეს ყველა სტატუეტი, შურის საძიებლად, თან გაიყოლა და წყალში გადაეშვა.

განა მონაზვნებმა არ იცოდნენ, თავშესაფარში რა ხდებოდა?! მათმა ადვოკატმა ერთობ დამაჯერებლად აჩვენა, რაოდენ უბრალონი იყვნენ ამ საქმეში დედაობები. მამაკაცები, ჯარისკაცები, მენარმეები და შავი მუშებიც კი, თავშესაფარს რომ სტუმრობდნენ, მათ მარტოხელა დედების ნათესავები ეგონათ. თუმც მონაზვნების უნებლიე დაუდევრობით ყოველივე, ჩვეულებრივ, საროსკიპოს მსგავსად ხდებოდა. ეს ამბავი როგორც კი გასკდა, საქმე ხელდახელ მიაფუჩქეს და გაზეთების პირველი გვერდებიდან ცნობები გაქრა. ახლა განაჩენს მარტოდენ ნივთები, ყვავილები, ვილაში დაყრილი ლეიბები ელოდა. მაგრამ აქ, ჰაერში რაღაც იდუმალი, ჯერ

კიდევ გაურკვევლობის უცნაური სუნი ტრიალებდა – თითქოს ხმებით იყო გაჯერებული, იმათი ფრაზების ნახმევით, კაცმა რომ არ იცის, განგებამ საით მოისროლა. ჩვენი გმირიც პასუხს ელოდა. ის ხომ თავისი ფეხით მივიდა პროცესზე, როგორც მთავარი მოწმე, მის ცხოვრებაში ყველაზე სულისშემძვრელ განცდაზე, ერთ-ერთ მონაზონთან ინტიმურ კავშირზე ჩვენების მისაცემად.

თუმც მის ჩვენებას სხვა, ისეთივე სარწმუნო დაუპირისპირეს: ერთ-ერთმა ნორჩმა მონაზონმა აღიარა, რომ არა მარტო ის, სხვა დედაობიც ხშირად იპარავდნენ მძინარე მონაზვნების სამოსს და თავს ქრისტეს სასძლოებად ასალებდნენ, მამაკაცებისგან მეტი ფულის გამოსაძალად. სიმართლე ამგვარად მიიჩქვალა.

მაგრამ აქ ის ნაცნობი ადგილების ხელახლა ხილვის დაუოკებელმა სურვილმა და იმ მისტიკურ პაემანზე ეჭვების გაფანტვის ნადილება მოიყვანა, მთელი მისი ცხოვრება თავდაყირა რომ დააყენა.

ცისკნე აწვდილი კიბე

დასახლება ამგვარად გაჩნდა: ნახევრად ძირმომპალი ხე, სხვა არაფერი. მერე ქვით ნაგები მონასტერი. სომხეთში, სადაც უამრავი ტაძარია, ფარაჯანოვი ბავშვობაში, ალბათ, ხედავდა, როგორ თიბავდნენ ერთი ასეთი მონასტრის სახურავზე ბალახს მონაზვნები მას მერე, რაც ავდრიან წლებში, მცენარეთა თესვს ქარი ძველ კრამიტზე მიმოხვედა. ქვევით მუხლებზემდე ჭინჭარი, ყაყაჩო და შერია იზრდება. სოფელი გაუკაცურდა. ხალხი სტიქიურ უბედურებას განერიდა და სახურავებზე ბალახმა ერთ მეტრამდე მიაღწია. ბალახი სახლების ნაპირალებსა და მინიან იატაკზეც ამაზრზედა. ნერელი და გრძელი ბალახი, ნითვე ყაყაჩოებთან ერთად, ქარიან ამინდში, სახურავებზე ლბილ ტალღებდ ლივლივებს. ვინ იცის, რამდენი წლის წინათ ჩამქრალი ბუხრები აღარავის იცავს ირგვლივ აღმართული მთებიდან ნაწური სინესტისაგან.

მარტოხელა ბერძენმა ჩარჩმა „ჯიბი“ მოედანზე გააჩერა და მყისვე ვინმე სულიერის საძებნელად გაეშურა.

არავინაა. თითქოს ხალხი ქვეში ჩაიმალა. მაგრამ უეცრად, ჩაიღწიო ხელში, მაყალთან მიმჯდარ დედაბერს მოჰკრავს თვალს. იისფერ მოსაცმელზე ვარდისფერი შალი წამოუხსამს; თეთრი წინსაფრიდან ხელი მოუჩანს. ერთი შეხედვით ხელი ამოქარგულს ჰგავს, მაგრამ ნაქარგობა როდია, ვერცხლის სამაჯური, შუაში ვერცხლის მონეტით. წვრილი ტენკვებით მონეტი თითებზე წამოცმულ სამ ბეჭედს უერთდება. მაშინ კი ბერძენი ჯდება, ღირს სამაჯური შესავაჭრებლად. როგორმე უნდა მოიპოვოს. ეგებ სარგებელი ნახოს. სხვაგვარად რა აზრი ჰქონდა მთელ ამ წვალეზას, ოთხდღიან თავგადასავლებსა და აყრილი-დაყრილი ბილიკებით თავკარა მზისგულზე წვლრევას.

დედაბერი სიტყვებს ხან თითქოს თურქულად, ხანაც არაბულად ლეჭებს. აჯობებს, მთელი საქონელი ახლავე უჩვენოს, ნახოს, სამაჯურს რაში უცვლიან. თევზისა და წინილის კონსერვები. დედაბერი ხითხითებს და სახეს შალში მალავს. მერე შალს თვალედინან იშორებს და მის წინ გუბურის ამომშრალ ფსკერს აჩერდება.

ვაჭარი ჯიბთან მიდის და მასთან ტანსაცმელი, მძივები, ათასგვარი ნივთები მიაქვს, ფულს სთავაზობს, საფოსტო მარკებს უჩვენებს. მოხუცი ცენტრში ჩიტის გამოსახულებიან მარკას ირჩევს. მერე ტანსაცმლის ნაოჭებში ხელებს აფათურებს და იქიდან მაქრატელს ამოაძვრენს, ჩიტს გამოჭრის და ხელისგულზე იდებს. ეგებ ჩიტის გაფრენისა სჯერა... და ერთბაშად ამოვარდნილი ქარი მარკის ნაკუნს მიაფრიალებს. მოხუცი იცინის და ტაშს უკრავს. შეჰყურებს, როგორ მიფრინავს ქალაღდის ჩიტი გუბურიდან ხმაურზე წამოშლილ სხვა ჩიტებთან ერთად.

დედაბერი თურქულში დაიბადა, ყმანვილქლობაში კი აზერბაიჯანში გადავიდა საცხოვრებლად. აქ, მდინარეზე ნასვრეტისანი ქვა უნდა ეპოვა, ნოხების მცირე სანარმოში რომ მიელოთ სამუშაოდ. კარგა ხნის ძებნის მერე ასეთ ქვას თუ მიაგნებდა, დამტკიცებდა, რომ ნამდვილად შექმლოდღემო ათი ათასი ნასკვის გამოკვანდა. იმხანად სწორედ ასეთი პირობით იღებდნენ სამუშაოდ. თუ გოგონა მდინარის ქვიან ფსკერზე სიარულით დაიღვებოდა და ძებნას შეწყვეტდა, ესე იგი, მშვენიერ ნოხს ხელით ვერ მოკლოვდა.

ოცი წლის მერე ერთ სომეხს გაჰყვა ცოლად. მან ამ მთებში ჩაკარგულ, ხის სახლებიან სოფელში ჩამოიყვანა. ახლა კი იმ კაცის წინ ზის, მისი სამაჯურის გამოძალავს რომ ლამობს. და დედაბერი ყოველგვარ გაცვლაზე უარზეა.

ამასობაში ბნელდება კიდევ და ჩარჩი გადაწყვეტს, ღამე რომელიმე მიტოვებულ სახლში გადააგროს. შემდგომი და მისი მომდევნო დღეებიც ვაჭრობას შეეწირა. რაღაც არ უნდა დაუჯდეს, გარიგება უნდა გაჩარხოს. თუმც ამჯერად, სამაჯური როდია მნიშვნელოვანი, მთავარია დედაბრის სიკერზე გატეხოს. პრინციპის საკითხია. ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს მისი სიმარჯვე, ჩაგონების უნარი, მისი პროფესია. თანაც ეს ადგილები და სიმარტოვე იზიდავს. ბავშვობა ასხენდება, გამორჩევი სოფლის ბილიკები; თავსხმა წვიმა წყლის არხებს რომ მოლეკავდა და ყელიანი ფეხსაცმლის ლანჩებქვეშ ლოკოკინებს ჭრაჭა-ჭრუჭი გაჰქონდათ. დედაბერს უკვე აღარაფერს სთხოვს, გაცვლას აღარ სთავაზობს. ელის, მოხუცმა თავისი პირობა შესთავაზოს. თანაც, ხომ არსებობს რაღაც ძალზე ღირებული, სასოებით მოსაფრთხილებელი. და მოხუცი სამაჯურს ერთობ მიჯაჭვია.

ვაჭარი საბანს მინაზე აგდებს, შიგ ეხვევა და ხის კედელს ეყრდნობა. უნდა იმგვარად დაიძინოს, კარგა ხანია რომ აღარ უძინია – სურს, ცხოველივით იფრუტუნოს, მერე კი დილით გაიღვიძოს და გამზლართული ჭერს მიაშტერდეს; ანდა უმაღლე ქუჩას მიაშუროს; მერე ლოკოკინები ან სუკო შეაგროვოს; იმაზე მეტი დრო ჰქონდეს, განგებას რომ უბოძებია. ბოლოს და ბოლოს, ცხენად ანდა სხვა მახვილყნოსიან ცხოველად იქცეს, მჭვირ ჰაერზე ათასგვარი სურნელი შეისუნთქოს, დღე და ღამე არ ჩამარცვლოს. მიხვეულ-მოხვეული ბილიკები, ნანახი თუ უნახავი ქალაქები დაივიწყოს. დარჩეს ... მორჩა და გათავდა. არ იფიქროს, იმძირაოს და ქვეშთან ან ბალახთან შეჩერდეს. ტა-ატით მოარულს თვალი დიდხანს მიადევნოს, ანდა ქვათა ბზარებს დააპყროდეს. ბზვიან გარეული

►► დასასრული 80-16 83.

ბზიკები. ვინ ვარ და სად ვარ? მივინყებოდა კითხვები...

და აი, დედაბერი უეცრად ბალახში გამოჩნდება... ახლა თავად ეძებს მას, იქნებ გაცვლა უნდა. გამაღივს ხელისგულზე სამაჯური უდევს, მზად არის რამეში გაცვალოს, თუმცა ვერ აუხსნია, რა სურს. ტოტით რბილ მიწაზე რაღაცას ხატავს, მაგრამ მყისვე ღრმად წაჭდევებით გადახაზავს. დახატა, რაც სურდა, თუმცა მაშინვე იწინა. ეგება შერცხვა. მართლაც, გარბის და თავისივე საქციელით შემფოთებული, მაღალ ბალახში იმალება.

მინაზე ტოტი დარჩა, რომლითაც ხატავდა. რაღაც ძალზე მარტივის გამოახვდა ენადა, ბერძენი კი ვერაფერს მიხვდა. დედაბერთან ახალმა შეხვედრამ იმ მივინყებულ დღეებთან დააბრუნა, თავი ტყვეების ნებეირ, ლალ შვილად რომ ეგულეობდა.

ძებნას იწყებს და მუსლიმურ სასაფლაოზე აღმოაჩენს. მოხუცი ორმოს თხრის. ყოველ საფლაოში ხეშემად შეკრული ხის კიბეა ჩარჭობილი. ჩანს, კიბეს მიცვალეულის საფლაოში ჩასასვენებლად იყენებდნენ, მერე კი იქვე ტოვებდნენ სულის ცაათა საუფლოში ასასვლელად. ველური ბალახით დაფარული, ღარიბული სასაფლაო და ოდნავ დაბრეცილი, ცისკენ აწვდილი კიბე. გვერდით მართლმადიდებლური სარკოფაგია ორი დაბალი ქვის ნაგებობით. უამიანობისას სწეულები აქ მოდიოდნენ სულის განსატყვევებლად, სამარის გამთხრელიც რომ აღარავინ ებოძა ჩანდა.

დედაბერი თავაულებლივ მიწას ჩიჩქნის. ბოლოს ჩერდება და ჩარჩს ამტერდება. მერე ერთ-ერთ კიბეზე მიიწინებს. და ბერძენს ერთბაშად მიწაზე დახატული ახსენდება, - დედაბერმა კიბე დახატა.

„სანაცვლოდ კიბე გინდა?“ - განცვიფრებული ეკითხება. დედაბერი ორმოს ფსკერზე მოკუნტება და ატირდება. მერე სამაჯურს ხელიდან იძრობს და ბერძენს აძლევს. ბერძენი უმაღლე კიბის ძებნას იწყებს, მაგრამ ვერ პოულობს. მერე ჟანგიან დანას აგნებს და კლდეზე ლესავს. კადონებისთვის ხეებდან ტოტებს ჭრის. ორ ხეს არჩევს კიბის ლატანებად და მათზე კადონებს ბანრებითა და ტირიფის წნელებით ამავრებს. ყველაფერს ათ დღეს ანდომებს. და აი, კიბეც მზად არის. კიბეს დედაბერს გადასცემს. მას უნდა, კიბე ორმოში ჩაშვებული ნახოს. ბოლოს მოხუცს სახეზე ლიმილი ფივნილი...

მეორე დღით ვაჭარი სამაჯურს დედაბერის უბრუნებს და მიემგზავრება...

განხორება
„ლიტერატურული საქართველოს“ წინა ნომერში (26 იანვარი, 2024) მე-9 გვერდზე, ჟურნალ „კრიტიკის“ ანონსში, მე-10-12 სტრიქონებში უნდა იყოს: „მაცა ჯოხაძის წერილი „პატივი კატალონიას“ (ჯორჯ ორუელი)“ და შემდეგ როგორც ტექსტშია.
რედაქცია ბოდიშს უხდის ქალბატონ მაცა ჯოხაძეს ტექნიკური ხარვეზისათვის.

06082 სულხა...


ჯერ ისევ თბილისი მისი სამარის მიწა, ჯერ კიდევ სრულად ვერ გაუარებიათ მეგობრებსა და ახლობლებს მისი გარდაცვალება. ყველას თავისად ეგულეობდა, ყველას თავისი ჩალაბა ჰყავდა.

სამშობლოსავით იცხოვრა... სამშობლოსავით უჭირდა... სამშობლოსავით დიდობდა...

ვცხოვრობ უფლის განაჩენით, მწამს ღმერთი და სულიწმინდა. სხვა ჯანდაბას დანარჩენი, ქვეყნის გადარჩენა მინდა...

სხვა მაღლი ჰქონდა... სხვებისგან საკუთარი მანერებით გამოირჩეოდა: ლექსს დანერდა და თავისი იყო... იმღერებდა და თავისი იყო... იცეკვებდა და თავისი იყო... იუმორიც თავისებური და ორიგინალური ჰქონდა.

მახსენდება: მივიდევარტ ქუჩაში, ჩვენ წინ უცნობი მიაბიჯებს, დროდადრო ჩერდება და აცეცებს თვალებს. დახმარება ხომ არ შეგიძლიათო, ჰკითხა თემურმა. კაცს ვეძებო, თქვა უცნობმა. აბა, წინასწარ გეტყვი, ვერ იპოვი, გაეცინა თემურს, კაცი ასე იოლი საპოვნელია?!



დადიოდა თბილისის ქუჩებში და ქალაქს ალაზნებდა... მეგობრებს ამხნევებდა და გვერდში ედგა. ადამიანი უყვარდა. ახარებდა სიკეთის კეთება... საკუთარი თავისთვის არ შეეძლო, თორემ სხვის გამო, ქვეყანას შეძრავდა, ფეხზე დააყენებდა და ვიდრე არ დაეხმარებოდა, არ მოისვენებდა.

სამშობლოზე ფიქრი არ შორდებოდა გულსდანბევრჯერმიკარებულს, ბოლოს მაინც გულმა უმტყუნა, ველარ გაუძლო ამდენ დარდას და მღელვარებას... ხოლო მანამდე უკურნებელმა სენმა დალეჭა, სისხლი შეუსვა და ხორცი შეუჭამა, მაგრამ

ვერ დაძლია, მაინც ამაყი და ღამაზი იყო. გარდაცვალების შიშმა ვერ დაიბრიყვა, ეზადებოდა უფლთან შესახვედრად, არაერთხელ მიიღო ზიარება... ეს იყო მხოლოდ, არ უნდოდა ყველას ენახა მისუსტებული და ენერგია გამოცლილი, არ ეგონოთ, უმწეო ვარო... ლექსითაც იხუმრა:

კითხვის ნიშანს დავემსგავსე, ადრე ვგავდი ძახილისას. სიკვდილი რა ფეხებს მომჭამს - გემოს ვიგრძნობ სხვა ხილისას...

შვილებისა და შვილიშვილების ცქერით ხარობდა. ხუმრობდა ხოლმე, - შვილი მიზეზია და შვილიშვილი - მიზეზი.

ხშირად იგონებდა გარდაცვლილ მეგობრებს: თენგიზ არჩვაძეს, თემურ ნიკლაურს, ჰამლეტ გონაშვილს, ზურაბ ქაფიანიძეს... იტყოდა, - ისინი იქ დამხვდებიან, ადგილს მომზადებენ, არ მეშინია იქვეყნად წასვლისო... ან რისი უნდა შინებოდა ამდენი სიკეთის მქმნელს, ღვთის მომშობსა და კაცთმოყვარე შემოქმედს. სწამდა უფლისა და თუ ვინმე დაეჭვებოდა ღვთის არსებობაში, ეტყოდა, - არსებობთ ჩვენ ვარსებობთ, უფალი - სუფევსო.

სიონის საკათედრო ტაძრიდან გამოასვენეს პოეტი ჩოხოსნებმა. ფერწა-

სული და მხრებდაშვებული ეთხოვებოდა ძვირფას მუხლდეს ქალბატონი გეტა, ქალი, რომელმაც ვაჟკაცურად ზიდა პოეტის ცოლის უმძიმესი ტვირთი. ნამით არ მიუტოვებია, ყურადღება არ მოუკლია ბოქმური ცხოვრების ტალღებში გადაშვებული შემოქმედისთვის. კარგად იცოდა თემურმა მუხლდის ფასი:

გამომავლიზილებს როდემდე ნეტა, ხმა ტელეფონის - გეტა ვარ, გეტა! თან ვბრაზობ, თანაც ოცნებით ვთბები - თან სიტყვების მესხმება ფრთები.

დიდხანს ბუზღუნი „ნერვების წყვეტა“, ოლნდ მესმოდეს - გეტა ვარ, გეტა!

იქ არ დაღვრილა ყალბი ცრემლი და არც ხალხის სახეზე აღბეჭდილი მწუხარება იყო მოჩვენებითი... ეს იმ დღეს არავის სჭირდებოდა... ყველაფერი ნაღდი იყო. ეთხოვებოდნენ საყვარელ პოეტსა და მეგობარს... აცილებდნენ თემურ ჩალაბაშვილს... ეს ის ცრემლები აცილებდნენ, რაც ოდესმე თავად დაუღვრია... ეს ის სიტომ უბრუნდებოდა, რაც ოდესმე თავად გაუცია... იცოდა ხალხმა... იცოდა და გრძობდა, ვისაც ეთხოვებოდა...

იღუარდ უშულავა

იღუარდ უშულავა

თემურ შავლაძის ხსოვნას

ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან თემურ შავლაძე - 80-იანელთა თაობის ერთ-ერთი თვითმყოფადი, საინტერესო წარმომადგენელი. ღრმად ტკივილიანი იყო ის დღე და ქროდა ისეთი ქარი, რომ ქუჩებში ხეები მოგლიჯა, სახლებს სახურავები ახადა, სადღაც ადამიანი შეინირა. თითქოს გრიგალი აცილებდა მის სულს, რომელიც ქართობს იტყვდა, ქარბორბალასა და ბორბვას აოკებდა თავის თავში.

გარეგნულად უარესად მშვიდი, განწონასწორებული, თავდაჭერილი ადამიანი იყო, შინაგანად, როგორც შემოქმედი, მუდამ აფორიქებული ვახლდით, რასაც მონობის მთელი მისი შემოქმედება: პოეტური, პროზაული, ესეისტური ნაწარმოებები და ლიტერატურათმცოდნეობითი ოპუსები. ის იყო მწერალი, რომელსაც შეეძლო პოეტურ ფოკუსში მოექცია მიწიერებისა და თეორიის იდეალები და ეს შეერთება ყოფილიყო ყველასთვის გასაგები, მისაღები, გასაზიარებელი. სამშობლოს მომავალსაც ამ ერთიანობაში ხედავდა, 1994 წელს დაწერილ ერთ-ერთ ლექსში წერდა:


და სულ ამოი იყო, თურმე, რაზეც ედაობდი, თუნდაც ვნებლობდი, არ მესმოდა ქეშმარიტება - რომ სულ ერთია - ყველაფერში ყველგან ღმერთია - საითაც წახვალ ან არ წახვალ... - მითხრეს ჩიტებმა.

და ან მადლობა მე მათ რითი გადაეუხადო,

კიდევ რა მითხრეს, თითოეულ ბგერას ვიგონებ... იქნება ღამის მზე დილაამდე გადაეუხატო...

მიმაგნებინებს მერე ღმერთი ციურ სტრიქონებს...

მისი მადიბელი შემოქმედებითი ბუნების გამოხატულებაა მოთხრობები, რომლებსაც ბევრს არ წერდა, მაგრამ წერდა შთაგონებით, კონცეპტუალური მიზანდასახულობით, მისტიკური მდელიუმის კარნახით. დღეს უკვე სხვანაირი ინტერესით იკითხება სამი ათწლეული წლის წინათ დაწერილი მისი მოთხრობები: „ერთად მოვიდვართ ჯოჯოხეთიდან“ - 1990-იანი წლების კრიზისული ცნობიერების გამოვლინებანი, თვითგანადგურების იმპულსები და გადარჩენის გზების ძიებანი; „ორნი და ბევრნი“ - მამა-შვილის სანტიმენტალური ამბავი. თვითგადარჩენის იმპულსები, ცხოვრება როგორც



სიზმარი, ძიება ერთმანეთისა, სვლა ერთმანეთის გულებისაკენ;

„ქარავანი-2“ - პოსტმოდერნისტული შეხმანება ირაკლი ლომოურის მოთხრობასთან და ეგზისტენციის საკითხები: დრო, სივრცე, სიცოცხლე, ქეშმარიტება; „უცნობი“ - ქალაქი, მოქალაქენი, ურთიერთობების ეფემერა, გაუცხოება, ფასულობათა დევალუაცია;

„ერთადერთი“ - გამოცხადება იერუსალიმისაკენ მიმავალ გზაზე, სამარისა და გალღღას შორის, მთაზე შეფენულ სოფელთან... მიახლოება რწმენის ნათელთან;

„ცოფვა - განწმენდილი“ - მარიამ მაგდალელის ცოდვისაგან განწმენდის საიდუმლო და სინანული, როგორც სიცოცხლის ყველაზე ადამიანური საწყისი; „ის და ის(ინი)“ - მოძღვარი და თორმეტი მოციქული. ერთგულების, სიყვარულისა და ღალატის, ერთიანობა იქ, სადაც ჯერ კიდევ ბნელა და სინათლის სხივიც არ ჩანს.

პოემა „ვერცხლის თოჯინები“ - მკვეთრად გამოხატული მოქალაქობრივი პოზიციით, დაკარგული სამშობლოს ძიებითა და ცოდვისაგან გათავისუფლების მოტივაციებით.

თემურ შავლაძე სტატიამო „პოეზიის შესახებ“ წერდა: „წერას ვერც - ვერავის უფლი და ვერც აუკრძალავ. შენც მიიღე ისე და ისეთი, როგორც ხელგეწიფება! ლექსი ქართველი კაცის სიცოცხლეა და, აბა, როგორ აუკრძალავ ქართველ კაცს ულექსებოდ სიცოცხლეს?! ღმერთმა ნუ ინებოს! თუმცა - მაინც ყველაფერს გემოვნების ხელოვნება და მშენიერების აღქმა განაპირობებს, ნიჭის იდუმალება და ამაღლებული პოეტური ცნობიერება - ღმერთთან სიახლოვე...“

იყო უთოვდ მასში, მის მრწამსში, სიტყვაში, ფრაზაში - ეს სიახლოვე, რომელიც საშუალებას აძლევდა გაეერთიანებინა თავის არსში დიმიონური ქართობა და ღვთაებრივი შტილი.

„მეღაფრისათვის მადობა, შვალო!“

ასაკო, ვიტყვით ხანდახან, მაგრამ დრო ყველას როდი აჩნევს თავის ნაკვალევს. ლეილა მესხი სულ შემოაბოდა, წერდა, კითხულობდა, ყოველგვარ ლიტერატურულ სიახლეს თავისი თვალთახედვით აფასებდა. თითქოს ენერჯის ზღვა ამოეხაზა სადღაც და თავის მომცრო ოთახში აეღვლევიანა. დაბ, ლელავდა, შთითავდა, უსამართლობას ვერ ვგულეობდა. ეს მის მოთხრობებშიც გამოვლენდა. თუნდაც „ოფოფში“, „პოტელ კარინში“, ან თუნდაც „ქედანო თურმანაულში“, რომლის ლექსებიც სხვა მითთვისა და საყოველთაო პოპულარობაც დაიმსახურა. ლეილა მესხი, რა თქმა უნდა, ამ ფაქტს უყურადღებოდ ვერ დატოვებდა და თავისეზურად შეაჯანჯლარა კიდევ პლაგიატორი.

ის ფსიქოლოგიური ანალიზის და განსჯის მწერალი გახლდათ. ლეილა თითქოს პირდად იცნობდა თავის გმირებს, ისე ღრმად სწვებოდა მათ ემოციებს და ზრახვებს. ერთ-ერთ მკითხველს კიდევ მოუკითხებია მისთვის გამოცემილი „მერანში“, სადაც ის დიდი ხნის მანძილზე რედაქტორობდა მწერალთა გამორჩეულ ნიგნებს, და პასუხი მოუთხოვია, საიდან იციტ ჩემი ამბავი და გვარ-სახელიო. გაკვირებულა მწერალი, რადგან ის სულაც არ იცნობდა ამ ქალბატონს. შემდეგ გაიკვია, რომ ეს უბრალო დამთხვევა იყო და სხვა არაფერი.

ლეილა მესხი კარგად იცნობდა თანამედროვე ცხოვრებას, მაგრამ მისი მოთხრობები სულაც არ გახლავთ დროით შემოსაზღვრული. ის კარგად იყო გათვითცნობიერებული საქართველოს ისტორიაშიც და რამდენიმე მოთხრობა ისტორიულ თემაზეც აქვს შექმნილი. აი, მაგალითად: „ჯგომი საკამბახე“, „კოლხური თილისმა“, „მგალობლთა გუნდი“... ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მისტიკურიცაა და თანამედროვეც, რადგან ის წარსულის გადასახედიდან ანმეოში გვახედებს, ხანდახან განწირულების, ანუ თვითშეწირვის აუცილებლობასაც გვაგრძობინებს. ამას თვითონ მწერალიც არ მალავდა: „მტკვრის მოღვევლე ტალღებმა ისე გაიტაცეს მათი სხეულები, თითქოს შეწირული ზვარაკნი იყვნენ. მსურდა ყოველივე დამაფიქრებელი ყოფილიყო ახალგაზრდებისათვის, რადგან წარსული და დღევანდლობა ერთმანეთსა გადაბმული“.

ყველაზე მეტად სწორედ დღევანდლობა უკლავდა გულს, რომ იოლ სამოვარზე გადაგებულმა ახალგაზრდებმა მიატოვეს საკუთარი ადგილის დედა, სამშობლო და მშობლიური სოფელი. როცა ის მშობლიურ სოფელზე, ახალბედისუფლებზე, წერდა სწორედ ამას ჩიოდა. და საერთოდ, ხონში დაბადებულმა და ქუთაისში დიდხანს მცხოვრებმა ქალბატონმა იმერული კოლორიტი



შემოიტანა ქართულ მწერლობაში. თუმცა ეს ისე არ უნდა გაევიგოთ, თითქოს მისი კალამი სრულიად საქართველოს სატკივარს არ ეხებოდა. ამის მაგალითია ქალბატონი ლეილას მოთხრობების კრებული „მთავარი სასიერ(ნი) ქუჩა“. დაბ, სასიერნიც იყო და სასიერნიც რუსთაველის გამზირი თბილისში. რაც აქ ქუჩაზე ხდებოდა - მათა მკვლელი ომი, ერთმანეთის დაუნდობლობა, გაუგებარი კატაკლიზმები, ჭირიკნობა, ერთმანეთის გაკილვა და ყველაფრის მითვისების ეფორიაკი - თავისი თვალით იხილა გამოცემილი „მერანში“ მოლვანე მწერალმა და რა თქმა უნდა, ეს აისახა კიდევ მის შემოქმედებაში.

დიდი და საინტერესო ცხოვრება განვლო ლეილა მესხმა, მან კარგად იცოდა, იმედის, ერთმანეთის გვერდში დგომის, მეგობრობისა და სიყვარულის ფასი. ამის დასტურად მოვიყვანთ რამდენიმე სტრიქონს პოეტ დოღო ჭუმბურიძის მისადმი მიძღვნილი ლექსიდან: გაქრენწ ნლები ფიცხელი, ჩართულია მრიცხველი,

დარცხვნილა მკიცხველიც და დუმილი უფლობს, ეკალ-ბარდში ვიარეთ, მოურჩენელ იარებს

ჟამი ვითომ გვიამებს, თუ გვიღრმავებს უფრო...

დაბ, ქეშმარიტი მწერლისთვის დაამებული წყლული არ არსებობს, მით უმეტეს, თუ ის მცირერიცხოვანი ერის შვილია, მაგრამ ჩვენ ქრისტიანულად მადლობას ვუხდით უფალს ამქვეყნად მოვლენისათვის. როცა ლეილა მესხის „ფიქრის კრიალოსანს“ წაიკითხავთ, აუცილებლად დააკვირდით, რამდენჯერ უხდის ის მადლობას უფალს - იმისთვის, რომ ცხოვრობდა, იმისთვის, რომ წერის და სხვისთვის დარდის გაზიარების ნიჭი მისცა, იმისთვის, რომ ცხოვრების გზაზე უამრავი კეთილი და მადლიანი ადამიანი შეახვედრა.

ზემოთ დასახელებული ნიგნის ბოლოს „ანდერძის მინამსგავსა“ დართული, რომელიც იმავე სიტყვებით სრულდება: „ყველაფრისათვის მადლობა, უფალო!“

მადლობა უფალს, რომ შენ ჩვენ გვერდით იყავი და შენი არსებობით გვიღამაზებდი ცხოვრებას!

ნიმე ქუთათელაქა ზაალ ეზანოიქა ავთანდილ ყურაჰვილი

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ელისაბედ მატრაველი**
ფინანსური მენეჯერი **ქეთევან დეპტარაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბელა გველასინანი, მზია ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **პოლენაპრ ვანსკი**
ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი ს № 1 ; ტ ე ლ . : 2 9 3 6 9 7 7 E-Mail: litsaqtvelo@yahoo.com

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

გაზეთი გაბოდის 2 კვირაში პირობლ
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში მისამართი: თბილისი, თევედორე მღვდლის 57
ISSN 2720-8540
7 7 2 7 2 0 8 5 4 0 0 3